

მ. ბალიაშვილი

პროდუქციისა და მომსახურების მარკირება და სერტიფიკაცია

დამხმარე სახელმძღვანელო



პროდუქციისა და მომსახურების მარკირება და სერტიფიკაცია: დამხმარე სახელმძღვანელო. — მ. ბალიაშვილი. — თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი-ინფორმატიზაციის ცენტრი“, 2006. — 168 გვ.

წიგნში განხილულია მარკირების მაიდენტიფიცირებელი, საინფორმაციო, ხარისხის მიმთითებელი, პროპაგანდისტული ფუნქციები. მოცემულია მარკირების ძირითადი სახეების კლასიფიკაცია, მოთხოვნები პროდუქციის მარკირებისადმი, საფუთავის კოდირების და საკლასიფიკაციო ნიშნები. განხილულია აგრეთვე ეკოლოგიური მარკირების საკითხები. მოყვანილია ეკომარკირების, მანიპულაციური ნიშნების და საკვებდანამატების აღნიშვნები. მოცემულია კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტების მოთხოვნები საკვები პროდუქტების მარკირებისადმი. განხილულია შტრიხული კოდირების საკითხები, სასაქონლო ნიშნების წარმოშობის, განვითარების და გამოყენების სხვადასხვა ასპექტები. განხილულია სერტიფიკაციის არსი, სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის საკითხები, მოყვანილია სხვადასხვა სახის სერტიფიკატები, მათ შორის საერთაშორისო.

წიგნი გამიზნულია საინჟინრო და საინჟინრო-ეკონომიკური სპეციალობების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. იგი შეიძლება გამოიყენონ კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის, ბიზნესის სკოლების მსმენელებმა.

რეცენზენტები:

საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტ.მ.დ., პროფ. ვ. დოლიძე

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის ფედერაციის მეტროლოგიის აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბაქრაძე.

1. შეფუთვა

1.1. შეფუთვა – ლოგისტიკური სისტემის ელემენტი

განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში საქონელბრუნვაზე გაწეული დანახარჯების სიდიდე შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 20-25 %-ს. დროის 95%, რომელიც იხარჯება საქონელბრუნვის პროცესზე, დაწყებული პირველადი ნედლეულიდან ვიდრე იგი საქონლის ფორმას მიიღებს და მას მომხმარებელი გამოიყენებს, იხარჯება ლოგისტიკურ ოპერაციებზე.

არსებობს ლოგისტიკის მრავალი განმარტება, მაგრამ არც ერთი არ არის უნივერსალური. ზოგი ავტორი თვლის, რომ ლოგისტიკა არის საქონლის ტრანსპორტირების პროცესი, სხვანი აიგივებენ მიკროეკონომიკასთან, ინჟინერიასთან, მენეჯმენტთან ან კიდევ განიხილავენ როგორც საწარმოო და გადაზიდვის პროცესების ინტეგრაციის ცნებას. ზოგადად, ლოგისტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც მეცნიერება – იდეოლოგია, რომელიც აღორძინდა მასალების, ინფორმაციისა და ფინანსური ნაკადების, მართვის სისტემების ოპტიმიზაციის საფუძველზე.

ლოგისტიკაზე მსჯელობისას ასახელებენ ე.წ. „სწორი შესაბამისობის შიდა ლოგისტიკურ მოთხოვნას“:

1) „სწორი“ პროდუქტის არსებობის უზრუნველყოფა (შესაბამისად შეფუთული საჭირო საქონლის შეთავაზება, რომელსაც ექნება საჭირო მარკირება მომხმარებლისათვის საქონლით სარგებლობის წესებისა და საფუთავთან მოპყრობის განსამარტავად);

2) საქონლის შეთავაზება „სწორი“ რაოდენობით, ე.ი. მცირე პარტიების სახით, მოხმარების ეკონომიურობის უზრუნველყოფის და დასაწყობების სისტემაზე უარის თქმის მიზნით;

3) საქონლისათვის „სწორი“ მდგომარეობის უზრუნველყოფა, როდესაც გათვალისწინებული იქნება მარკირებაში მითითებული ინფორმაცია გადატანის შენახვის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის გადამუშავების და სხვ. შესახებ;

4) საქონლის „სწორ“ ადგილას ყოფნის უზრუნველყოფა, რაც ითვალისწინებს სრული და ამომწურავი ინფორმაციის (მარკირების) არსებობას საქონლის გადაადგილების პროცესის უზრუნველყოფის შესახებ;

5) საქონლის შეთავაზება „სწორ“ დროს, ე.ი. მომხმარებლის მიერ მისი გამოყენების რეალურობის გათვალისწინებით, მარაგის შექმნის დაბალი დონის უზრუნველყოფით, როგორც მომხმარებლისათვის ისე, განაწილების არხებში;

6) საქონლის „სწორი“ ფასის უზრუნველყოფა დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანისა და საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით;

7) საქონლის შეთავაზება „სწორი“ კლიენტისათვის ე.ი. კლიენტისათვის, რომელსაც აქვს მოთხოვნა აღნიშნულ საქონელზე.

ჯერ კიდევ მისი შექმნის საწყის ეტაპზე, (1950-იანი წლები) ლოგისტიკა შეიცავდა დასაწყობებას, ტრანსპორტირებას (ფრახტს), სასაწყობო გადამუშავებას, მარკირებას, შეფუთვას, პროდუქციაზე შეკვეთის ფორმირებასა და დამუშავებას, სერვისს, საქონელბრუნვის პროცესის აღრიცხვასა და კონტროლს.

ლოგისტიკის მიზნების გათვალისწინებით და ეკონომიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე 1.1 ცხრილში ნაჩვენებია მარკირების კონცეფციის ფორმირების ეტაპები.

საქონლის საფუთავსა და ტარაზე არსებული მარკირება ძალიან მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა შიგა თუ საექსპორტო მიწოდებისათვისაა იგი განკუთვნილი.

დროის პერიოდი	ეკონომიკის ორიენტაცია	ეკონომიკის შეფასებითი კრიტერიუმები	ლოგისტიკური მიზნები	მარკირებისადმი მიდგომა
XVIII-XIX ს.	საქონელზე ორიენტაცია. ხელოსნური წარმოება	ფასი. კონკურენციის ჩანასახები	გასაღების პრიორიტეტი. წარმოებული პროდუქციის აღრიცხვა და კონტროლი	ხელოსნური წარმოება. საფირმო მარკირების დაწყება. საკუთრების მარკირება
XX ს. დასაწყისი და 30-იანი წ. დასაწყისი	საქონელზე ორიენტაცია, წარმოებისა და რეალიზაციის ზრდა	გაყიდვის მოცულობების გადიდება. დაბალი კონკურენცია. ფასებით უმნიშვნელო მანიპულაცია	გასაღების პრიორიტეტი. განაწილებითი პრიორიტეტები, მარაგის აღრიცხვა და კონტროლი	საფირმო ნაკეთობების გამოყოფა, საქონლის უმეტესი ნაწილისადმი ფორმალურად (საქონლისა და მეწარმის დასახელება)
1930-1950 წ.წ.	გასაღებაზე ორიენტაციის გაძლიერება. კონკურენციის გაძლიერება. წარმოების მასშტაბების გაფართოება და ზრდა	მაღალი კონკურენცია. ფასებით მანიპულაციები. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა. გაყიდვების სტიმულირება.	ღონისძიებების გაძლიერება საქონელბრუნვის პროცესის კონტროლის გასაძლიერებლად. მარაგის კონტროლისა და მატერიალური ნაკადების მომგებიანობის სისტემის ფორმირება	მარკირებისადმი მოთხოვნების ამაღლება. მარკირებისათვის გამიზნულ ინფორმაციაზე სტანდარტის ფორმირება

დროის პერიოდ	ეკონომიკის ორიენტაცია	ეკონომიკის შეფასებითი კრიტერიუმები	ლოგისტიკური მიზნები	მარკირებისადმი მიდგომა
1950-1960 წ.წ.	ბაზარზე ორიენტაცია. ბაზრის გაჯერება	შემსყიდველთა ბაზრის ფორმირება მმართველობის დაბალი დონის და მარკეტინგული და ლოგისტიკური გადაწყვეტილების ინტუიციურად მიღების პირობებში	საქონლის კონცეფციის ცვლილება და ლოგისტიკური სისტემის მაფორმირებელი საქონლის თანმდევნი და დამატებითი მომსახურების მიწოდება (ბიზნეს-ლოგისტიკა)	მატერიალური ნაკადის გამჭოლი საინფორმაციო თანხლების უზრუნველყოფი მარკირების ინტეგრირებული კომპლექსის ფორმირება
1960-1980 წ.წ.	ეკონომიკის მარკეტინგული მართვა	გრძელვადიანი დაგეგმვის გაფართოება, მარკეტინგული ძალისხმევის მიზანმიმართულობა, ბაზრის ათვისების დონისძიებების კომპლექსურობა. საქონლისა და მომსახურების ხარისხის პრიორიტეტი	ფიზიკური განაწილება. ლოგისტიკის განსაზღვრა როგორც მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისადმი მიმართული მატერიალური, საინფორმაციო და სხვ. მართვის სისტემისა	იმ საქონლისა და მომსახურების მარკირების სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფენ ლოგისტიკური ოპერაციების შედეგინობას. მარკირება - ლოგისტიკის პრაქტიკული ინსტრუმენტი

დროის კეტილი	ეკონომიკის ორიენტაცია	ეკონომიკის შეფასებითი კრიტერიუმები	ლოგისტიკუ- რი მიზნები	მარკირები- სადმი მიდგომა
1990 წ-დან დღე- მდე	ეკონომიკაში ინტეგრაცი- ული პროცე- სების გაძ- ლიერება. ეკონომიკუ- რი კავშირე- ბის გლობა- ლიზაცია. ბრძოლა ეკოლოგი- ური უსაფრ- თხოებისა- თვის	მარკეტინგუ- ლი ძალისხმე- ვის გაფართო- ება. საქონლი- სა და მომსა- ხურების ხა- რისხი და უსაფრთხოება	ლოგისტიკის, როგორც ბიზნეს-პრო- ცესის ფორ- მირება	მარკირება, როგორც ბიზ- ნეს-პროცესის მარკეტინგუ- ლი უზრუნ- ველყოფა. სა- ქონლისა და მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოე- ბის უზრუნ- ველყოფა. ეკოლოგიური უსაფრთხოება

მარკირება ეწოდება ნიშნების, ნაწერებისა და ნახატების განთავსებას საქონელზე ან ტარაზე მისი ამოცნობის, გადაზიდვის, გადამუშავების და შენახვის საშუალებების მითითების მიზნით. იგი შეიცავს ოპერაციების მთელ კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ: საქონელბრუნვის ეფექტურობის ამაღლებას; საქონლის უსაფრთხოებისა და ხარისხის შესაბამისობას საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტებისადმი; ლოგისტიკური ჯაჭვის ყველა რგოლში საქონლის მდგომარეობის ეფექტურ კონტროლს.

ნებისმიერი სამომხმარებლო საქონლის საფუთავს უნდა ჰქონდეს მარკირება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მყიდველისათვის და სტანდარტით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს. საფუთავზე განთავსებული მარკირების ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს მუდმივსა და ცვლად მდგენელებს. პირველი – ესაა

პროდუქტის დასახელება, მისი რაოდენობა მოცემულ შეფუთვაში, შესაბამისი სტანდარტი, შტრიხული კოდი, ეკოლოგიური მარკირება, ფასი, საქონლის ქვეყანა-დამამზადებელი, სასაქონლო ნიშანი და სხვ. მეორე - პროდუქტის დამზადების თარიღი, პარტიის ნომერი, ხარისხი (სორტი), შეფუთვის თარიღი, ვარგისობის ვადა. მარკირების განთავსება ხდება, როგორც წესი, პროდუქციის შეფუთვისას სამომხმარებლო ტარაში ან დაფასოებისას.

საფუთავი - საშუალება ან საშუალებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის დაცვას დაზიანებისა და დაკარგვისაგან, ხოლო გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან და ხელს უწყობს პროდუქტის შენახვის, რეალიზაციის და ტრანსპორტირების რაციონალურ ორგანიზაციას. მოყვანილ განსაზღვრებაში საკმაოდ მკაფიოდაა აქცენტირებული საფუთავის ფუნქციური დანიშნულება.

საფუთავს სხვა დანიშნულებაც აქვს, რომელიც მნიშვნელოვანია მყიდველისათვის. საფუთავს იგი აღიქვამს როგორც მარკის სახეს. ამასთან დაკავშირებით სრულიად გამართლებულია მარკეტინგის სპეციალისტების დიდი ნაწილის პოზიცია, რომ საფუთავი მოწოდებულია მხარი დაუჭიროს და გაამყაროს სასაქონლო მარკის საბაზრო პოზიცია. აქ ყველაფერს აქვს მნიშვნელობა - ფორმას, ზომას, ფერთა გამას, კონსტრუქციას, გამოყენებულ შრიფტს, დასაწყობების რაციონალურობას, მასალის ეკოლოგიურობას და სხვ. თუმცა ძალიან ძნელია რეალურ ცხოვრებაში აღწარმოვდეს რთული ფსიქოლოგიური პროცესი, რომელშიც ჩართულია მყიდველი საქონლის შექენისას.

საქონლის შექენა შესაძლოა მოხდეს გააზრებულად და მას წინ უძღოდეს დროის გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაში ხდება იმ მიზეზების ერთობლიობის ანალიზი, რამაც გამოიწვია შესა-

ბამისი გადაწყვეტილება. ან შესაძლოა მოხდეს სპონტანურად, ირაციონალურად, წამიერი ფაქტორების ზეგავლენით ანუ პრინციპით: *დავინახე - მომეწონა - ვიყიდე*. ძალიან ხშირია, როდესაც საქონლის შეძენის მოტივი ხდება მიმზიდველი, მკვეთრი, ფუნქციონალური საფუთავი.

შეფუთვის დარგში საქმიანობის თეორიასა და პრაქტიკაში გამოყოფენ შეფუთვის რამდენიმე ძირითად ფუნქციას: ტევადობა, შენახვა და დაცვა; მოხმარების პრაქტიკულობა და მისი სტიმულირება; კომუნიკაციებისადმი მისადაგებულობა და ინფორმაციულობა; ბაზრის სეგმენტაციის უნარი, მიზნობრივი ბაზრის გამოყოფის შესაძლებლობა; ახალი პროდუქციის დაგეგმვა. ეს უკანასკნელი თვისება შეიძლება უმთავრესად ჩაითვალოს. მარკეტინგის დასავლეთელი სპეციალისტები სწორედ ამ ფუნქციის რეალიზებაზე აგებენ შეფუთვის არსობრივ დახასიათებას: „შეფუთვა პროდუქციის დაგეგმვის ნაწილია, რომლის დროსაც ფირმა შეისწავლის, ამუშავებს და აწარმოებს საფუთავს, რომელიც შეიცავს ტარას, სადაც თავსდება პროდუქცია, ეტიკეტს, და შიგსადებ ფურცელს“. ამავე დროს გამოყოფენ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ საპროექტო გადაწყვეტილების შედეგიანობას შეფუთვის სფეროში, მაგალითად:

- საფუთავის დიზაინი, რომელიც აყალიბებს მომხმარებლის წარმოდგენას საქონლისა და დამამზადებელი ფირმის შესახებ;
- ჯგუფური შეფუთვის შესაძლებლობა;
- საფუთავის სტანდარტიზაცია და ფერების შეხამება მისი დამამზადებლისას;
- საფუთავის ღირებულება, როგორც ფარდობითი, ისე აბსოლუტური;
- საფუთავის დასამზადებლად გამოყენებული მასალის არჩევა;
- საფუთავის ზომები და ფორმა;

- საფუთავისა და მარკირების შესაბამისობა;
- კომბინირებული საფუთავის გამოყენების შესაძლებლობა;
- შეფუთვის დაკავშირება ფირმის მარკეტინგულ სტრატეგიასთან განსაზღვრულ ბაზარზე ან მის სეგმენტზე;
- საფუთავის ეკოლოგიურობა.

არსებობს მოსაზრება, რომ საფუთავი საქონლის ტანსაცმელია და როგორც არასწორად შერჩეული ტანსაცმელი ამრუდებს ადამიანის სახეს, არასწორად შერჩეული საფუთავიც ამრუდებს წარმოდგენას საქონლის შესახებ, უქმნის ცრუ შეხედულებას მის ხარისხსა და თვისებებზე. საფუთავი საიმედო და ეფექტურია თუ შეესაბამება პროდუქციის სახეს, ხოლო მისი ფერი, მასალა, გრაფიკა და მასზე არსებული გამოსახულება გადმოსცემენ მის არსს და დანიშნულებას. გარდა ამისა შეფუთვა ადასტურებს, რომ პროდუქტი დახურულია, დაცულია. ეს წარმოსახვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მომხმარებელი საქონელს თავდაპირველად ეცნობა საფუთავზე არსებული აღნიშვნების დახმარებით. შეფუთვის სახეობის გავლენით მომხმარებელს მარტივად ექმნება წარმოდგენა პროდუქტის თვისებების შესახებ.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და უნდა გავითვალისწინოთ: მიუხედავად იმისა, თუ რას წარმოადგენს საფუთავი ფორმის, მოცულობის, ტევადობის, საწყისი მასალის და ხარისხის მიხედვით, იგი არის საქონლის შემადგენელი ნაწილი.

საფუთავის წარმოების განვითარების და მარკირების ეფექტურად გამოყენების თანამედროვე ეტაპი ლოგისტიკის მსოფლიო პრაქტიკაში ქმნის ე.წ. „ეკოლოგიური უსაფრთხოების“ ერას. პროდუქტის შექმნისა და მისი გამოყენების შემდეგ საფუთავს აგდებენ და გაირკვა, რომ ქალაქებისა და დასახლებების ნა-

გავსაყრელების ელემენტების 90% გამოყენებული პროდუქტების საფუთავია, ანუ მან მიიღო ნარჩენის სახე. იმისათვის, რომ არ გაწყდეს საქონელბრუნვის ლოგისტიკური ჯაჭვი, მიზანშეწონილია ნარჩენების გამოყენება. ეს შეიძლება ხდებოდეს შემდეგი მიმართულებებით:

- მათი მასალების სასარგებლო მდგენელების რეგენერაცია (აღდგენა და მეორადი გამოყენება);

- ნარჩენების ჩართვა თანამდგევი პროდუქტების წარმოებაში;

- გადამუშავება მეორადი ნედლეულის შექმნის მიზნით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია პროდუქტის საწარმოებლად საწყისი (პირველადი) ნედლეულის თანაბრად;

- არასასაქონლო მასის გატყორცნა გარემოში – ნიადაგში, წყალში, ჰაერში საწყისი ან სახეშეცვლილი შედგენილობით.


ლოგისტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა საქონელბრუნვის ეფექტური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურების მაღალ დონეს უმცირესი დანაკარგებით და როგორც პროდუქტის, ასევე მისი საფუთავის რაციონალურად გამოყენებას.

ლოგისტიკური არხი – ესაა ლოგისტიკური ჯაჭვის შემადგენელი ელემენტების (ლოგისტიკური რგოლების) გარკვეული რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური ნაკადის რაციონალურ დინებას გამყიდველიდან მყიდველამდე. მატერიალური ნაკადი შეიცავს საქონელბრუნვის პროცესის ისეთ მდგენელებს, როგორიცაა: შეფუთვა, მარკირება, ტრანსპორტირება, ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, ტვირთების დამუშავება, დასაწყობება და შენახვა, მომხმარებლისათვის მიწოდება, მასალებისა და საფუთავის მარაგის კონტროლი.

ლოგისტიკურ ჯაჭვში, რომელიც უზრუნველყოფს სასაქონლო და საინფორმაციო ნაკადების გადაცემას მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე, შეიძლება გამოიყოს შემდეგი რგოლები: ნედლეულის, მასალებისა და ნახევრად ფაბრიკატების მეწარმე-მიმწოდებლები; შესყიდვების სტადიაზე პროდუქციის შესანახი საწყობები; პროდუქციის წარმოება; საფუთავის წარმოება; პროდუქციის მარკირება; მზა პროდუქციის გასაღება მარკეტინგული ძიების საფუძველზე; საბითუმო და საცალო შუამავლები; მზა პროდუქციის მომხმარებლები.

შედარების მიზნით 1.1 ნახ.-ზე მოყვანილია სქემა, რომელიც გვიჩვენებს, XXI საუკუნის დასაწყისისათვის რა მოცულობით (კილოგრამი ერთ სულ მოსახლეზე) კვების პროდუქტები გამოიყენებოდა შეფუთული და დაფასოებული სახით სხვადასხვა ქვეყნებში.


250 P. 38



საფუთავი წარმოაჩენს საქონელს, იცავს მას დაზიანებისაგან, ხელს უწყობს საქონელბრუნვის პროცესს და თავის თავში იკრებს ისეთ პარამეტრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ლოგისტიკური პროცესების ეფექტურობას.

საფუთავისადმი წაყენებული მოთხოვნები მოცე-
მულია 1.2 ნახ.-ზე.

ს ა ფ უ თ ა ვ ი




ნახ.1.2.საფუთავის წარმოებისა და გამოყენებისადმი
წაყენებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი
ლოგისტიკური მოთხოვნები


შეფუთვის ხვედრითი წილი პროდუქციის თვით-
ღირებულებაში თანდათან მატულობს. მაგალითად,
საბჭოთა პერიოდში იგი შეადგენდა დაახლოებით 3%-ს,

ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში 20%-მდე გაიზარდა.

იმისათვის, რომ შევადაროთ რა ძირითად მასალებს გამოიყენებენ შეფუთვისას სხვადასხვა ქვეყნებში გავეცნოთ 1.3 და 1.4 ნახაზებს



ნახ.1.3. საფუთავის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურა რუსეთში 2000 წლისათვის



ნახ.1.4. საფუთავის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურა გერმანიაში 2000 წლისათვის

როგორც ვხედავთ მუყაოსა და ქაღალდის საფუთავები უფრო მეტად გამოიყენება ვიდრე მინისა, ხოლო ხის მოხმარება ძალიან შემცირებულია.

მნიშვნელოვანი საკითხია შესაფუთი მანქანათმშენებლობის განვითარება. ამ დარგში მსოფლიო ბაზარი გადანაწილებულია ისეთ სახელმწიფოებს შორის

რის როგორიცაა იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, იტალია.

გარდა სხვადასხვა საფუთავების წარმოებისა ლოგისტიკის წინაშე დგას საფუთავის კონტროლისა და შემოწმების პრობლემები. შემოწმება ხდება: ტრანსპორტირების ხანგრძლიობაზე; დარტყმაზე და გარკვეული სიმაღლიდან დაცემაზე (ქაღალდის ექვსფენიანი 50 კგ წონის მქონე სავსე ტომრებისათვის – 16 დაცემა 1 მ სიმაღლიდან); ტემპერატურული რყევები 50-დან მინუს 50 °C-მდე; შეკუმშვა გადაზიდვის პროცესში და სხვ. სპეციალისტები ასახელებენ 40-ზე მეტ ფაქტორს, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ როგორც საფუთავის, ისე საქონლის შენახულობაზე. შეფუთვის სფეროში კონსტრუქციული გადაწყვეტების სისტემატიზაცია მოცემულია სტანდარტებში ISO 4180 და D4169.

საფუთავებისადმი წაყენებული მოთხოვნები იცვლება მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად. მაგალითად, ადამიანთა ახალ თაობებს არ სურთ დიდ ხანს საოჯახო ქურასთან დგომა. ისინი სარგებლობენ მიკროტალღური ქურებით, შესაბამისად საფუთავს გარდა ძირითადი ფუნქციისა, დაიცვას პროდუქტი დაზიანებისაგან, დაემატა პროდუქციის დამუშავების ფუნქცია. ამასთან საჭირო გახდა სპეციფიკური საფუთავი მასალების შექმნა. შეიქმნა საკვები პროდუქტების საფუთავი, რომელიც ცნობილია “სმარტ”-ის (ინგლ. Smart - მოხერხებული) სახელით.

ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საფუთავებისადმი მოთხოვნების ცვლილებაზე მოსახლეობის დაბერება და საკვებ ნახევრად ფაბრიკატებზე გადასვლა, აგრეთვე ქალების ემანსიპაცია.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დამუშავდა ახალი ფარმაცევტული საფუთავები, რომლებიც იცავენ ბავშვებს წამლებთან გაუფროთხილებელი მოპყრობისაგან.

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხარისხიანი, საიმედო და ეკოლოგიურად უსაფრთხო საფუთავი ლიგისტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

1.2. საფუთავის კლასიფიკაცია

ცნება “საფუთავი” ძალიან ტევადია და შეიცავს მრავალ კლასიფიკაციურ სახესხვაობას. დანიშნულების მიხედვით ასხვავებენ სამომხმარებლო და სატრანსპორტო საფუთავს, გამოყენებული მასალების მიხედვით – გოფირებული მუყაოს, ლითონის, პოლიმერულ, მინის, კერამიკულ, პოლილითონურ და სხვ. საფუთავის დიფერენციაცია შესაძლოა აგრეთვე ტიპების, მექანიკური ზემოქმედებისადმი მედეგობის, ზომების, საყრდენი კონსტრუქციებისა და სხვ. მიხედვით. იმისათვის, რომ განისაზღვროს, როგორი საფუთავი სჭირდება პროდუქციის მწარმოებელს და რა რაოდენობით, საჭიროა ზუსტი ცოდნა იმისა, თუ როგორ ხდება საფუთავების კლასიფიცირება.

საფუთავის ძირითად ელემენტად ითვლება ტარა (Container), რომელიც წარმოადგენს ნაკეთობას პროდუქციის განსათავსებლად და სივრცეში გადასადგილებლად.

ტერმინი “ტარა” წარმოდგება არაბული სიტყვისაგან “Tarha”, რაც ნიშნავს გამოკლებას და გულისხმობს შეფუთული და შეფუთვის გარეშე საქონლის შეფარდებას. თანამედროვე გაგებით ესაა წონა “ბრუტო” – შეფუთული საქონლის წონა და წონა “ნეტო” – სუფთა წონა (საფუთავის გარეშე).

დანიშნულების მიხედვით ტარამ უნდა უზრუნველყოს ერთის მხრივ პირველადი საფუთავის მქონე საქონლის შენახვის ამოცანა, მეორეს მხრივ – მასში ჩაწყობილი საქონლის ტრანსპორტაბელურობა.


სახალხო მეურნეობაში გამოყენებული საფუთავებისა და ტარისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია:

- საქონლის დაცვა ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური ზემოქმედებისაგან;
- პროდუქციის ყველა სახეობის დაცვა და ტრანსპორტაბელურობა;
- სატრანსპორტო საშუალებებისა და სასაწყობო სათავსების გაბარიტებისა და ტვირთტევადობის რაციონალურად გამოყენება;
- კომპლექსური მექანიზაციის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულებისას;
- ვაჭრობის ორგანიზების ხარისხობრივი დონის ამაღლება;
- მომხმარებლის მაქსიმალური ინფორმირება პროდუქტის თვისებების, მისი გამოყენების პირობების, შენახვის, გადატანის თავისებურებების შესახებ;
- ეკოლოგიური უსაფრთხოება და ხმარებიდან გამოსული საფუთავის რეცირკულაციისა და რეგენერაციის შესაძლებლობა.

1.5 ნახ.-ზე ნაჩვენებია სამომხმარებლო ტარის კლასიფიკაცია (სპეციფიკურობის გათვალისწინებით კლასიფიცირდება საწარმოო და სატრანსპორტო ტარა).

საფუთავის დასამზადებლად გამოყენებული მასალის მიხედვით ასხვავებენ ხის, მუყაოს, ქაღალდის, ლითონის, პოლიმერულ, ქსოვილის, მინის და კომბინირებული მასალის საფუძველზე დამზადებულ საფუთავებს.





ნახ.1.5. სამომხმარებლო ტარის კლასიფიკაცია

ზომების შესაბამისად არსებობს დიდი და მცირე ზომის საფუთავები: პირველს განეკუთვნება სატრანსპორტო ტარა, რომლის ზომები აჭარბებს 400X600 მმ-ს, ხოლო მეორეს—ზომებით 400X600 მმ-მდე. მოხმარების ჯერადობის მიხედვით არსებობს ერთჯერადი, დასაბრუნებელი და მრავალჯერ დასაბრუნებელი ტარა.

კონსტრუქციული შესრულების მიხედვით არსებობს დაუშლელი, დასაშლელი, დასაკეცი და დასაშლელ-დასაკეცი ტარა. სახუფავის ან სხვა სახის საცობის არსებობის გათვალისწინებით ტარა შეიძლება იყოს დახურული ან ღია. არსებობს აგრეთვე მჭიდრო ტარა, რომლის დეტალები ერთმანეთს უერთდება ღრეჩოების გარეშე და ცხაურა — გარკვეული ზომის ღრეჩოებით.

ფუნქციური დანიშნულების და კონსტრუქციული შესრულების თავისებურებების მიხედვით არჩევენ იზოთერმულ, იზობარულ და აეროზოლურ ტარას. პირველის შიგნით გარკვეული დროის განმავლობაში შენარჩუნებულია მოცემული ტემპერატურა. მეორეს შიგნით — მოცემული წნევა. აეროზოლური ტარა ესაა იზობარული ტარა გამფრქვევი კლაპანით, რომელსაც პროდუქცია მოხმარებისას გადაჰყავს აეროზოლურ მდგომარეობაში.

პროდუქციის დასაცავად რადიოაქტიური და მომწამვლელი ნივთიერების, აგრეთვე ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) საშუალებების ზემოქმედებებისაგან, გამოიყენება დამცავი საფუთავი.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, რომელთაც ახორციელებენ საწარმოები და ფირმები განაპირობებს საექსპორტო და იმპორტული საფუთავის კატეგორიის შექმნას.

დანიშნულების ხასიათის მიხედვით საფუთავი არსებობს უნივერსალური და სპეციალიზებული. პირველი გამოიყენება პროდუქციის ფართო ჩამონათვალის შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვი-

სათვის, მეორე - კონკრეტული სახის პროდუქციისათვის, მისი ფორმის, შენახვის და გადატანის პირობების გათვალისწინებით.

საფუთავისათვის ხდება კოდის მინიჭება კლასიფიკაციისა და კოდირების სისტემის შესაბამისად. მაგალითად, რუსეთში მოქმედი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კლასიფიკატორის მიხედვით კოდი 547223 ნიშნავს: 54 - ცელულოზა-ქაღალდის წარმოების პროდუქცია, 547 - სატრანსპორტო ტარა, 5472 - ქაღალდის ტომრები, 54722 - ტენგაუმტარი ქაღალდის ტომრები, 547223 - ტენგაუმტარი ქაღალდის ტომრები პოლიეთილენით ლამინირებული ქაღალდის ფენით.

საფუთავის კოდირების სისტემის და საკლასიფიკაციო ნიშნების ცოდნის პრაქტიკული გამოყენება საშუალებას მისცემს მეწარმეს უფრო ხარისხიანად მიუდგეს პროდუქციის საქონელბრუნვის ამოცანის გადაჭრას.

2. მარკირება


2.1. მარკირების ნაირსახეობები

მარკირება არსებობს სასაქონლო, გასაგზავნი, სატრანსპორტო და სპეციალური. საექსპორტო და იმპორტულ ტვირთებზე გათვალისწინებულია მარკირებისადმი დამატებითი მოთხოვნები, ხოლო საშიში ტვირთით ტვირთის ერთეულებზე განათავსებენ საფრთხის აღმნიშვნელ ნიშნებს.

2.1 ნახ.-ზე ნაჩვენებია საქონლისა და საფუთავის მარკირების ძირითადი სახეების კლასიფიკაცია.

მარკირებისათვის განმსაზღვრელია საინფორმაციო ფუნქცია, ანუ მომხმარებელის უზრუნველყოფა მისთვის საჭირო სასაქონლო ინფორმაციით. მარკირების საინფორმაციო ფუნქციის რეალიზება ხდება

შემდეგი სახესხვაობებით: ფუძემდებელი, სამომხმარებლო და კომერციული.



ნახ. 2.1

როგორც წესი, უმეტესი წილი მოდის ფუძემდებელ და სამომხმარებლო ინფორმაციაზე. ფუძემდებელი ინფორმაცია იმეორებს საქონლის თანმხლებ დოკუმენტაციაში მოცემულ ინფორმაციას. ასეთი დუბლირების აუცილებლობა გამოწვეულია მარკირებისა და საქონლის თანმხლები დოკუმენტაციის ერთობლივი მაიდენტიფიცირებელი ფუნქციით, თუმცა, მომხმარებელთა ძირითადი მასისათვის, მარკირება პრაქტიკულად ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალებაა საქონლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

მარკირების მაიდენტიფიცირებელი, მიმითებელი, სარეკომენდაციო, შემზღუდავი ფუნქციები უზ-

რუნველყოფენ საქონლის პარტიების მიკვლევადობას ლოგისტიკური ჯაჭვის ყველა რგოლში – მომარაგების, სატრანსპორტო-სასაწყობო და სხვ. ეს საშუალებას იძლევა ძირითადი ლოგისტიკური ფუნქციების რეალიზებისა, როგორცაა: საქონლის მიმოქცევისა და შენახვის ტექნოლოგიური პროცესის დაცვა, მარაგის მართვა, საქონლის განაწილება და მოხმარება, საქონლის წარმოების პროცესის დაცვა და ოპტიმიზაცია.

მარკირების ემოციური, პროპაგანდისტული და მოტივაციური ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია. კარგად გაფორმებული მარკირება, განმარტებითი ტექსტები, საზოგადოდ მიღებული სიმბოლოების გამოყენება მომხმარებელში იწვევს დადებით ემოციას და მნიშვნელოვანი მოტივაციაა საქონლის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.


არსებობს საქონლის მარკირების ზოგადი წესები, თუმცა რიგ შემთხვევაში ხდება ზოგიერთი პოზიციიდან გადახვევა მომხმარებლის სასარგებლოდ. ზოგადად, საქონლისა და საფუთავის მარკირება შეიცავს ძირითად, დამატებით და საინფორმაციო წარწერებს, მანიპულაციურ ნიშნებს ჩატვირთვის, გადმოტვირთვის, გადატანის შესახებ. აგრეთვე დამატებით მითითებებს, რომლებიც ახასიათებს პროდუქციის დამამზადებელ ქვეყანას (მაგალითად, „Made in USA“).

სასაქონლო მარკირება მიუთითებს საქონლის დასახელებას, მის დამამზადებელს, მისამართს, საქარხნო მარკას, ხარისხს, სტანდარტს, რომლის მიხედვითაცაა დამზადებული საქონელი, შეკვეთის ნომერს, რიგით ნომერს პარტიაში.

ნებისმიერი საქონლის მარკირება რეგლამენტირებულია შესაბამისი სტანდარტით ან სხვა ნორმატიული დოკუმენტით.

ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მარკირება, მოცემულია 2.2 ნახ.-ზე.

ძირითადი მოთხოვნები
საქონლის მარკირებისადმი




ნახ. 2.2. ძირითადი მოთხოვნები საქონლის მარკირებისადმი

საქონელზე ან საფუთავზე საღებავით დატანილი მარკირება არ უნდა ჩამოირეცხოს, ხოლო გამოყენებული საღებავის მოხმარება დასაშვები უნდა იყოს სანიტარული ზედამხედველობის სამსახურების მიერ.

როგორც 2.1 ნახ.-ზე იყო ნაჩვენები, მარკირების მატარებელი შეიძლება იყოს: ეტიკეტი, იარლიყი, შიგსადები, ბირკა, კოლიერეტი, საკონტროლო ლენტი, დალი, შტამპი და სხვ. (დაწვრილებით შემდეგ განვიხილავთ).

თავისი სტრუქტურის მიხედვით მარკირება შეიცავს სამ ელემენტს, მოკლე ტექსტს, ნახატს, საქონლის პირობით აღნიშვნას ან საინფორმაციო ნიშნებს. 2.3 ნახ.-ზე ნაჩვენებია დაახლოებით რა პროპორციით უნდა იყოს ეს ელემენტები.




ნახ. 2.3. მარკირების ელემენტების სავარაუდო შეხამება

ტექსტი მარკირების ყველაზე გავრცელებული ელემენტია. იგი მნიშვნელოვანი როლდენობით ინფორმაციას აწვდის მყიდველს საქონლის მოხმარების, ხარისხის, ვარგისიანობის ვადის და სხვ. შესახებ. ამიტომ, მომხმარებელი სხვა ელემენტებთან შედარებით მეტ უპირატესობას ანიჭებს.

ნახატი არ არის მარკირების აუცილებელი ელემენტი. თუ იგი არსებობს, როგორც წესი ასრულებს მოტივაციურ და ემოციურ ფუნქციებს. იშვიათად იგი საიდენტიფიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებსაც შეიძლება ასრულებდეს.

პირობით აღნიშვნებს მარკირებაზე განათავსებენ, როდესაც ხდება პროდუქციის საწარმოო და სასაქონლო მარკირება. მისი მიზანია საქონლის იდენტიფიცირება კონკრეტულ ფირმასთან და მისი გამოყოფა ანალოგიური საქონლის მასიდან. პირობით აღნიშვნებს უნდა ახასიათებდეთ სისხარტე, თვალსაჩინოება, სწრაფად ცნობადობა, მიმზიდველობა,

კომპლექსურობა. პირობითი აღნიშვნების საკლასიფიკაციო ჩამონათვალი მოცემულია 2.4 ნახ.-ზე.



ნახ. 2.4. პირობითი აღნიშვნების საკლასიფიკაციო ჩამონათვალი

განვმარტოთ ზოგიერთი მათგანი.

კომპონენტური ნიშნები – შესაძლოა შეიცავდნენ ინფორმაციას გამოყენებული საკვებდანამატის ე.წ. “E ინდექსის” შესახებ, საქონლის ქიმიური შედგენილობის – საღებავი, ლაქი, ლითონები და სხვ. შესახებ.

ზომითი ნიშნები – შემოღებულია კონკრეტული ფიზიკური სიდიდეების აღსანიშნავად, რომლებიც განსაზღვრავენ საქონლის რაოდენობრივ პარამეტრებს: მასას, წონას, მოცულობას, სიგრძეს და სხვ.

საერთაშორისო შეთანხმების თანახმად 1980 წლიდან ზომითი ნიშნებით განსაზღვრული ფიზიკური სიდიდეები უნდა შეესაბამებოდეს ფიზიკური სიდიდეების ერთეულების საერთაშორისო სისტემით (SI) გათვალისწინებულს, თუმცა ზოგჯერ გამოიყენებენ ერთეულთა ნაციონალურ სისტემებსაც.

მასა “ნეტოს” აღსანიშნავად იმპორტულ საქონელზე ხშირად არის ზომითი ნიშანი “e” (ინგლ. – exactly -ზუსტი), მოცულობის აღსანიშნავად – ნიშანი “V”. მაგალითად, აღნიშვნა 250 გე ნიშნავს, რომ მასა ტოლია 250 გ-ისა.

ზომითი საინფორმაციო ნიშნები მიუთითებენ ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ზომას, ან თეძოების გარშემოწერილობას, მაგალითად კოლგოტებზე.

საექსპლუატაციო მარკირების ნიშნები გამიზნულია მომხმარებლის ინფორმირებისათვის სამომხმარებლო საქონლის ექსპლუატაციის, მონტაჟის, გაწყობისა და მოვლის წესების შესახებ. მათი განთავსება ხდება იარღიეებზე, ბირკებზე, ეტიკეტებზე, საფუთავზე, საკონტროლო ღენტებზე ან უშუალოდ საქონელზე. ასეთი ნიშნების ჩამონათვალი დადასტურებულია საერთაშორისო დონეზე. ძირითადად გავრცელებულია საექსპლუატაციო ნიშნები, რომლებიც გამოიყენება ტექსტილის ნაკეთობებისათვის. ასევე ფართოდ გამოიყენება მართვის ნიშნები (სარეცხ მანქანებზე, მიკროტალღურ ელექტროღუმელებზე, უთოებზე და სხვ.), საინფორმაციო ნიშნები ტემპერატურული რეჟიმების დასაყენებლად მაცივრებში, აუდიო-, ვიდეო და ტელევიზორების რეგულირებისათვის და სხვ.

მანიპულაციური ნიშნები ქმნიან პირობითი აღნიშვნების კომპლექსს, რომლებიც გამიზნულია ტვირთებისა და საქონლისადმი მოპყრობის (შენახვა, დასაწყობება, გადაზიდვა, ჩატვირთვა-გადმოტვირთვა და სხვ.) წესების შესახებ ინფორმირებისათვის.

გამაფრთხილებელი ნიშნები გამიზნულია მომხმარებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გარემოს დასაცავად პოტენციურად საშიში საქონლის გადაზიდვის, შენახვის და მოხმარებისას ხიფათის შესახებ გაფრთხილების ან ხიფათის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად შესასრულებელი ქმედებების მითითების გზით.

ეკოლოგიური მარკირების ნიშნები (ეკომარკირება) – ნიშნების კომპლექსი, რომლებიც გამიზნულია მომხმარებლის ინფორმირებისათვის სამომხმარებლო საქონლის ეკოლოგიური სისუფთავის ან მისი გამოყენების ან უტილიზაციის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების შესახებ.

სტანდარტებით დადგენილია მარკირების თავისებურებები საქონლის სხვადასხვა ჯგუფებისათვის. მაგალითად, ხორცის, თევზის, რძის და სხვ. კონსერვირებული პროდუქციის ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს საწარმო-დამამზადებლის რეკვიზიტები (დასახელება, ადგილმდებარეობა, სასაქონლო ნიშანი), კონსერვის დასახელება, მისი ხარისხი (სორტი), მასა ნეტო, ნორმატიული დოკუმენტის სახე, რომლის მოთხოვნებსაც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის ხარისხი, მოცემული უნდა იყოს საინფორმაციო მონაცემები კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების, შენახვის ვადისა და პირობების შესახებ, მოხმარებისათვის მომზადების მეთოდი და სხვ.

თუმცა, ეტიკეტის გარეშე დარჩენილი კონსერვის ქილის იდენტიფიცირება შესაძლოა მასზე ამოტვიფრული პირობითი ნიშნების დახმარებით. მაგალითად, აღნიშვნა

220807

308 67

2P

ნიშნავს, რომ ასორტიმენტის ნომერია 308 (საირა ნატურალური); დამზადებულია №67 საწარმოს მიერ (საწარმოო გაერთიანება "Дальморепродукт"); საწარმო განეკუთვნება თევზის მრეწველო-

ბას (P); დამზადდა მეორე ცვლაში (2); დამზადების თარიღია 2007 წლის 22 აგვისტო (220807).

2.2. მარკირების მატარებლების სახეები

მარკირების მატარებლების ძირითადი სახეებია;

1. *ეტიკეტი* (ფრ. etiquette) – გარკვეული მოთხოვნების, ნორმების, პირობითობების დაცვის დადგენილი და მიღებული წესი, რომელიც ხელს უწყობს საქონლის თვისებების ერთმნიშვნელოვნად გაგებას. იგი შეიცავს საქონლის დასახელებას, სასაქონლო ნიშანს, შტრიხულ კოდს და ა.შ.

ეტიკეტი ხასიათდება მნიშვნელოვანი ინფორმაციული ტევადობით. როგორც წესი, ტექსტის გარდა იგი შეიძლება შეიცავდეს გამოსახულებას, სიმბოლოებს, სასაქონლო ნიშნებს, ლოგოტიპებს, განმარტებით ტექსტებს და სხვ.

სურსათის ეტიკეტირება მეწარმისა და გამყიდველისათვის მომხმარებელთან და მყიდველთან კომუნიკაციის წინასწარი საშუალებაა.

სურსათის ეტიკეტირების წესები განსაზღვრულია კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტებით და განხილული იქნება უფრო დაწვრილებით.

კოლიერეტი – ეტიკეტის ნაირსახეობა, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ფორმა (ძირითადად ამობრუნებული წვეთის, ოვალური ან სწორკუთხა) მინის ტარის ფორმის შესაბამისად, რომელზედაც მას აწებებენ ეტიკეტის აუცილებელი არსებობის პირობის გათვალისწინებით. დამოუკიდებლად კოლიერეტი პრაქტიკულად არ გამოიყენება. მისი ინფორმაციული დატვირთვა მინიმალურია. ძირითადად ესაა ლამაზი ნახატი, რომელიც ამშვენებს ბოთლებს ალკოჰოლური, არაალკოჰოლური სასმელით ან ლუდით. ტრადიციულად კოლიერეტებზე შესაძლოა მითითებული იყოს

სახმელის დასახელება, დამზადების წელი, ფირმა-დამამზადებელი, ზოგჯერ დამზადების თარიღი და სხვ.

2. *საეაჭრო იარაღი* (თურქული “იარაღე”-ბრძანება, განკარგულება) – ნაწები საქონელზე, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება, რაოდენობა, საწარმო (ფირმა)-დამამზადებელი და სხვ.

იარაღი შესაძლოა იყოს დაწებებული, მიბმული, მიმაგრებული. მასზე არ არის ნახატები, შეიცავს მინიმალურ ინფორმაციას თვით საქონლის შესახებ: საქონლის დასახელებას; ფირმა-დამამზადებლის დასახელებას და საფოსტო რეკვიზიტებს; გამოშვების თარიღს; ხარისხს; ფასს. გარდა ამისა იარაღზე არის საიდენტიფიკაციო მონაცემები – ნაკეთის არტიკული (საქონლის ციფრული ან ასოითი აღნიშვნა, რომელიც მის ტიპს ახასიათებს), მოდელის ნომერი, ზომა, გამოშვების თარიღი. შესაძლოა იარაღზე იყოს პირობითი აღნიშვნები – სასაქონლო ან საფირმო ნიშანი, სხვა სასაქონლო აბრევიატურა.

ბირკა – იარაღის სახესხვაობა, კიდევ უფრო მცირე ინფორმაციით. როგორც წესი ძალიან ლაკონურია და შეიცავს ინფორმაციას ფირმა-დამამზადებლის შესახებ (დასახელებას, პარტიის ნომერს, ზომას და სხვ.) ან საფირმო მარკას.

შეკადები – შეიცავს საკმარისად დაწვრილებით და მიზანმიმართულ ინფორმაციას დამამზადებლის შესახებ (ცვლის ნომერი, ყუთში ჩამწყობის ნომერი, საქონლის დამამზადებელი ორგანიზაციის დასახელება, თვით საქონლის დასახელება). უმეტეს შემთხვევაში იგი შეიცავს ინფორმაცია-ინსტრუქციას საქონლის ექსპლუატაციის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შიგსადები ასრულებს სარეკლამო ფურცლის ან პროსპექტის დამატებით ფუნქციას. მომხმარებელი მათ ხვდება სამკურნალო პრეპარატების, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური საშუალებების, საყოფაცხოვრებო ქიმიის

საშუალებების მოხმარებისას, საკონდიტრო ნაწარმის ჩასაწყოვ ყუთებში და სხვ.

დალი და შტამპი - საიდენტიფიკაციო ინფორმაციის სპეციალური მატარებლები, რომელთა საშუალებით პირობითი ნიშნების სახით არსებული ინფორმაციის დატანა ხდება უშუალოდ საქონელზე, საფუთავზე, ეტიკეტზე. დატანის ადგილის მიხედვით არსებობს საწარმოო და სავაჭრო დალები. დანიშნულების მიხედვით - ვეტერინარული, სასაქონელმცოდნეო, საკარანტინო, საადრიცხვო და სხვ. ფორმის მიხედვით შესაძლოა იყოს სწორკუთხა, ოვალური, კვადრატული, რომბისებური, სამკუთხა, რთული და სხვ.

დალით მარკირება გამოიყენება როგორც სამრეწველო, ისე სასურსათო საქონლისათვის. კერძოდ, ხორცის, ხორცპროდუქტების და სუბპროდუქტების დადალვა აუცილებელია. უნდა დაიდალოს დაკლული ცხოველისა და ფრინველის ნაკლავი.

დალები და შტამპები ნაკლებად გვხვდება სამრეწველო საქონელზე (ძირითადად კეთილშობილ ლითონებზე, ჭურჭელზე, ქსოვილებზე). შტამპები შესაძლოა იყოს კონსერვის ლითონის ქილების ძირზე და მინის ქილების ლითონის სახურავებზე, კომბინირებული ან პოლიმერული მასალის საფუთავზე, რომელიც გამოიყენება წველების, სასმელების, რძის, ღვინის, არაჟნის, იოგურტის და სხვ. პროდუქტებისათვის. შტამპები გვხვდება აგრეთვე რთულ ტექნიკასა და დეტალებზე - ავტომობილის ძრავებზე, მაცივრის კომპრესორებზე და სხვ.

არსებობს დადაღვისა და დაშტამპვის რამდენიმე მეთოდი: რელიეფური მარკირება, საღებავით დადაღვა ან დაშტამპვა, დაღის ამოწვა - ელექტროდადაღვა, კაზეინის ან პლასტმასის ასოების გამოყვანა პროდუქტზე, მაგალითად, ყველის წარმოებისას.

საკონტროლო ლენტის საშუალებით ხდება საქონლის შესახებ ინფორმაციის დუბლირება. იმ მიზ-

ნით, რომ შესაძლებელი იყოს აღდგეს ინფორმაცია საქონლის შესახებ თუ დაიკარგა იარლიყი, ბირკა, ეტიკეტი. საკონტროლო ლენტზე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: ნაკეთის არტიკული, მოდელის ნომერი, ხარისხი, ზომა, საექსპლუატაციო ნიშნები და სხვ. საკონტროლო ლენტი გამოიყენება ფეხსაცმელებისა და ტანსაცმლის საქონელბრუნვისას. ინფორმაცია თავსდება ტანსაცმლის სარჩულზე ან ფეხსაცმლის შიგა ნაწილზე.

სასაქონლო და საღაროს ჩეკები წარმოადგენენ სავაჭრო მარკირების მატარებლებს. მათი საშუალებით ხდება საქონლის გაყიდვის ფაქტის და მისი გამყიდველის იდენტიფიკაცია თვით საქონლის შესახებ ინფორმაციის გაშიფრვის გარეშე. მისი ძირითადი მიზანია, რომ საჭიროების შემთხვევაში გახდეს საქონლის გამყიდველისადმი პრეტენზიის წაყენების საფუძველი. სასაქონლო ჩეკი მომხმარებელზე უნდა გაიცეს გადახდის საღაროს ჩეკთან ერთად. სასაქონლო ჩეკი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მაღაზიის დასახელებასა და ნომერს, საქონლის შექმნის თარიღს, საქონლის არტიკულს, ხარისხის აღნიშვნას, საქონლის ფასს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საღაროს ჩეკი, წარმოადგენს რა სავაჭრო მარკის მატარებელს, აუცილებლად უნდა გადაეცეს მყიდველს.

2.3. კოდექს ალიმენტარიუსის მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირებისადმი

კოდექს ალიმენტარიუსი (Codex Alimentarius ლათ. სასურსათო კანონი) – სტანდარტების საერთაშორისო სისტემა, რომლის მიზანია საკვები პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მსოფლიო ვაჭრობაში ბარიერების მოხსნა. ეს ორი ამოცანა გან-

საზღვრავს კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტების სისტემის აგების პრინციპებს:

- უსაფრთხოებისადმი მინიმალური მოთხოვნები, რომელთა უზრუნველყოფა შეეძლება ღარიბ ქვეყნებსაც;

- სტანდარტების ერთიანი ფორმა;

- სტანდარტების შემუშავების ერთიანი წესები (მართვა ერთი ცენტრიდან);

- უსაფრთხოებისადმი და ხარისხისადმი მოთხოვნების მკვეთრი გამიჯვნა.

კოდექს ალიმენტარიუსი ითვლის რამდენიმე ათას დოკუმენტს: 300-მდე სტანდარტს, განმარტებებს, რეკომენდაციებს და სხვ. საკვები პროდუქტების ცალკეული სახეების მიხედვით, რომლებიც მსოფლიო გაჭრობის ობიექტებს წარმოადგენენ.

დოკუმენტაცია გაერთიანებულია შემდეგ ჯგუფებში: საბაზო პრინციპები; საკვები პროდუქტების მარკირება, ეტიკეტირება და შეფუთვა; საკვები დანამატები (მათ შორის საკვები დანამატების ნარევიები, დამატკობლები, საკვები საღებავები, არომატიზატორები) და კონტამინები; კვების ჰიგიენა; პესტიციდების ნარჩენი რაოდენობა; საკვებში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენი რაოდენობა; ნიმუშების აღებისა და ანალიზის მეთოდები; იმპორტისა და ექსპორტისას პროდუქტების ინსპექცია და კონტროლის სისტემა; სპეციალური დანიშნულების პროდუქტები; სწრაფი გაყინვის პროდუქტები.

კოდექსის ზოგადი სტანდარტი წინასწარ დაფასოებული სურსათის ეტიკეტირებისათვის მიღებულ იქნა სასურსათო კოდექსის კომისიის მიერ 1981 წელს (გადაისინჯა 1985, 1991 და 2001 წლებში).

სტანდარტით დადგენილია შემდეგი განსაზღვრებები:

სურსათი - აღნიშნავს ნებისმიერ გადამუშავებულ, ნაწილობრივ გადამუშავებულ თუ გადაუმუ-

შეკლებულ ნედლეულს, რომელიც განკუთვნილია ადაპტაციის მიერ მოსახმარად (მაგალითად, სასმელი, სალუჯი რეზინა და არა თამბაქო, კოსმეტიკური პროდუქტი ან წამალი).

საზოგადოებრივი კვებისათვის გამიზნული სურსათი - აღნიშნავს სურსათს, რომელიც გამოიყენება რესტორნებში, სკოლებში, საავადმყოფოებში და მსგავს დაწესებულებებში, სადაც სურსათის შეთავაზება ხდება უშუალო მოხმარებისათვის.

საკვებდანამატი - აღნიშნავს ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც ჩვეულებრივ არ მოიხმარება დამოუკიდებლად როგორც სურსათი და არ გამოიყენება ტიპიური ინგრედიენტის სახით სურსათში.

ინგრედიენტი - აღნიშნავს ნებისმიერ ნივთიერებას, მათ შორის საკვებდანამატს, რომელიც გამოიყენება სურსათის წარმოებაში ან მის დამზადებაში და რომელიც წარმოდგენილია საბოლოო პროდუქტში, შესაძლოა მოდიფიცირებული სახით.

ეტიკეტი - აღნიშნავს ნებისმიერ იარაღს, მარკას, ნიშანს, გამოსახულებას ან სხვა სახის აღწერილობას, რომელიც დაწერილი, დაბეჭდილი, ტრაფარეტით აღბეჭდილი, აღნიშნული, ამოტვიფრული ან გამოსახულია სურსათის კონტეინერზე ან თან ერთვის მას.

კონტეინერი - საფუთავი, რომელიც გამიზნულია სურსათის საცალო მიწოდებისათვის და რომელშიც სურსათი მოთავსებულია ნაწილობრივ ან მთლიანად, შესაფუთ ქაღალდთან ერთად. კონტეინერმა შესაძლოა დაიტოს პაკეტის რამდენიმე ერთეული, თუ სურსათს ასეთი სახით სთავაზობენ მომხმარებელს.

წარმოების თარიღი - აღნიშნავს თარიღს, როდესაც სურსათმა მიიღო აღწერილი პროდუქტის სახე.

შეფუთვის თარიღი - თარიღი, როდესაც სურსათი მოათავსეს იმ კონტეინერში, რომელშიც ის გაიყიდა.

ბოლო გასაყიდი ვადა - აღნიშნავს სურსათის გაყიდვისათვის გათვალისწინებულ ბოლო დღეს, რომლის შემდეგაც მომხმარებელს რჩება გარკვეული პერიოდი სურსათის სახლში შესანახად.

ვარვისიანობის მინიმალური ვადა (ვარვისია X-მდე) - აღნიშნავს დროის იმ მონაკვეთის დამთავრებას, რომლის განმავლობაშიც პროდუქტი სრულად ვარვისია რეალიზაციისათვის და ინარჩუნებს პროდუქტისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებებს.

პარტია - საქონლის გარკვეული რაოდენობა, რომელიც არსებითად ერთნაირ პირობებშია წარმოებული.

წინასწარ დაფასოებული სურსათისადმი სტანდარტით დადგენილია შემდეგი ზოგადი მოთხოვნები:

➤ აღწერილობა ან ეტიკეტზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს ყალბი, შეცდომაში შემყვანი და არ უნდა მოატყუოს მომხმარებელი ან შეუქმნას მცდარი შთაბეჭდილება სურსათის მახასიათებელი თვისებების შესახებ.

➤ ინფორმაცია არ უნდა იყოს აღწერილი ან წარმოდგენილი ეტიკეტზე ისეთი სიტყვების, გამოსახულების ან სხვა სახის ნიშნების გამოყენებით, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიუთითებს ან მიანიშნებს სხვა რაიმე პროდუქტზე, რომელშიც შესაძლოა ასეთი სურსათი იქნას არეული.

წინასწარ დაფასოებული სურსათის სავალდებულო ეტიკეტირებაში სტანდარტის მიხედვით უნდა შედიოდეს:

- *სურსათის დასახელება*, რომელიც უნდა მიანიშნებდეს სურსათის ნამდვილ ბუნებაზე და უნდა იყოს კონკრეტული. თუ კოდექსის სტანდარტი ადგენს სურსათის დასახელებებს, მაშინ გამოყენებული უნდა იყოს სტანდარტით დადგენილი. შესაძლოა აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი დასახელებები.

ბის გამოყენება. დასაშვებია დამატებითი სიტყვების გამოყენება, მაგალითად: გამომშრალი, შებოლილი, კონცენტრირებული და სხვ;

- *ინგრედიენტების ჩამონათვალი* (იმ სურსათსა და ინგრედიენტებს, რომლებიც ითვლებიან ჰიპერ-შერძნობელობის გამომწვევად და რომელთა ჩამოთვლა აუცილებელია განეკუთვნება: გლუტენის შემცველი მარცვლეული; კვერცხი და კვერცხის პროდუქტები; თევზი და თევზის პროდუქტები; არაქისი, სოიოს მარცვალი და მათი პროდუქტები; რძე და რძის პროდუქტები; თხილი, კაკალი და მათი პროდუქტები; სულფატი, რომლის კონცენტრაცია 10 მგ/კგ ან მეტია);

- *სუფთა შედგენილობა და დრენირებული წონა* (სუფთა შედგენილობა მოცემული უნდა იყოს საერთაშორისო მეტრული სისტემის (SI) ერთეულებში: თხევადი სურსათისათვის – მოცულობაში; მყარი სურსათისათვის – წონაში; ნახევრად მყარი და ბლანტი სურსათისათვის – წონაში ან მოცულობაში);

- *სახელი და მისამართი* (აუცილებელია სურსათის მწარმოებლის, დამფასოებლის, დისტრიბუტორის, იმპორტიორის, ექსპორტიორის ან გამყიდველის სახელისა და მისამართის აღნიშვნა);

- *წარმოშობის ქვეყანა* (თუ სურსათის გადამუშავება, რომელიც ცვლის სურსათის ბუნებას ხდება სხვა ქვეყანაში, ეტიკეტირებისათვის წარმოშობის ქვეყნად უნდა ჩაითვალოს ქვეყანა, რომელშიც მოხდა გადამუშავება);

- *პარტიის იდენტიფიცირება* (ყველა კონტეინერზე ამოტიფირვის წესით კოდირებულად ან სიტყვით აღნიშნული უნდა იყოს მწარმოებელი ქარხანა და პარტიის ნომერი);

- *თარიღის აღნიშვნა და შენახვის ინსტრუქციები* (აღნიშნული უნდა იყოს ვარგისიანობის მინიმალური ვადა და სურსათის შესანახად საჭირო სპეცი-

ალური პირობები, თუ მათზე დამოკიდებულია ვარგისიანობის ვადა);

- ინსტრუქციები გამოყენებისათვის (თუ ეს საჭიროა სურსათის სწორად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

- დასხივებული სურსათის აღნიშვნა (თუ სურსათმა განიცადა მაიონიზირებელი დასხივება, მისი ეტიკეტი უნდა შეიცავდეს წერილობით განაცხადს ამ ფაქტის შესახებ, რომელიც განთავსებული უნდა იყოს სურსათის დასახელებასთან ახლოს. სურსათის დასხივების საერთაშორისო სიმბოლოს (ნახ. 2.5) გამოყენება ნებაყოფლობითია, ხოლო მისი არსებობის შემთხვევაში იგი უნდა განთავსდეს სურსათის დასახელებასთან ახლოს.



ნახ. 2.5

კოდექსის სტანდარტის მიხედვით მცირე ზომის ერთეული, სანელებლებისა და მწვანე ხაჭაპურის გარდა, რომლის ზედაპირის ფართობი 10 სმ²-ზე ნაკლებია სავალდებულო ეტიკეტირებისაგან შესაძლოა გათავისუფლდეს. კერძოდ, დასაშვებია მასზე არ იყოს მითითებული ინგრედიენტების ჩამონათვალი, პარტიის საიდენტიფიკაციო აღნიშვნა, თარიღი და შენახვის ინსტრუქციები, ინსტრუქციები გამოყენებისათვის.

კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტებით რეგლამენტირებულია აგრეთვე სპეციალური დიეტური საკვების ეტიკეტირება და ტერმინ “ჰალალის” გამოყენების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები.

2.4. "E" ინდექსი საკვები პროდუქტების საფუთავზე

საკვები პროდუქტების საფუთავზე განთავსებული "E" ინდექსი მყიდველის მიერ ხშირად აღიქმება როგორც საქონლის ხელოვნური წარმოშობის დასტური, რომელშიც ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედი საზიანო დანამატებია. თუმცა მთლად ასეც არ არის. პირიქით, მომხმარებელი ეჭვის თვალით უნდა უყურებდეს "E" ინდექსის შესახებ ინფორმაციის არ არსებობას, როგორც პროდუქციის დაბალი ხარისხის მიმანიშნებელს. ინდექსი "E" მიუთითებს, რომ პროდუქტში არის გარკვეული საკვებდანამატები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქტის გემოს, და კვებით თვისებებს, მის შენახულობას და სხვ.

საფუთავზე მითითებული საკვებდანამატების სიმრავლე მოჩვენებითია. ევროსაბჭოს მიერ შემოღებული წესებით განსაზღვრულია 296 ნივთიერება, რომელთა მოხმარება დასაშვებია ევროპის ქვეყნების კვების მრეწველობაში, თუმცა რიგ სახელმწიფოებში გამოსაყენებლად დაშვებული საკვებდანამატების რაოდენობა შესაძლოა აღემატებოდეს დასახელებულ რაოდენობას. ევროსაბჭოს მიერ დაშვებული საკვებდანამატებიდან 150 აქტიური ნივთიერებაა, ხოლო დანარჩენი 146 მათგან წარმოებული ე.წ. მარილები და სხვ. გარდა ამისა უნდა ვიცოდეთ, რომ სტანდარტიზებული დანამატებიდან კვების მრეწველობაში გამოიყენება მხოლოდ 50.

საკვებდანამატი ნიშნავს ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც ჩვეულებრივ არ მოიხმარება როგორც საკვები და რომელიც ჩვეულებრივ არ გამოიყენება როგორც საკვების ტიპური ინგრედიენტი. სურსათში მისი დამატება ტექნოლოგიური (ასევე ორგანოლექტიკური) მიზნებისათვის გამოიწვევს მის გადაქცევას ამ

სურსათის კომპონენტად და ზეგავლენას მოახდენს მის მახასიათებლებზე.

ევროპული კანონმდებლობა კვების სფეროში და მრავალი სხვა ქვეყნის ნორმატივები და საკანონმდებლო აქტები მოითხოვენ, რომ საკვებდანამატების დასახელება მოცემული იყოს საკვები პროდუქტების მარკირებისას, ამასთან თითოეული მათგანი ცალცალკე, მისი დასახელების ან ევროპული ნომრისა და კლასის ჩვენებით. არსებობს საკვებდანამატების 22 კლასი: საღებავები; კონსერვანტ-ანტიდამუხანგველ-ემულგატორები, შემასქელებლები; ჟელეს წარმომქმნელი ნივთიერებები; სტაბილიზატორები, გემოს გამაძლიერებლები; საცხობი ფურცლებისა და ფორმების საცხი საშუალებები; შემმჟავებლები; სიმუხვიანობის რეგულატორები (ბუფერები); დამატკობლები; გამაფხვიერებლები, ქაფის წარმომქმნელი ნივთიერებები; ჭიჭური; მარილები-მდნობები; ფქვილის გამაუმჯობესებლები; შემმაგრებლები; ტენის რეგულატორები; შემავსებლები; აირ-გამომდევნი (საკვები პროდუქტებისათვის აეროზოლური შეფუთვით); მოდიფიცირებული სახამებელი და სხვ.

მსოფლიო პრაქტიკაში უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული აზრი საკვებდანამატის გამოყენების შესახებ – იგი არ არის აუცილებელი, მაგრამ მის მოხმარებაზე უარის თქმა მნიშვნელოვნად ართულებს პროდუქციის დამზადების პროცესს, შესაბამისად ბაზარზე გამოტანილი პროდუქტების ასორტიმენტი მცირდება. საკვებდანამატების გამოყენება ხილისა და ბოსტნეულის კონსერვირებისას ხდება გემოს კორექციის, უფრო მიმზიდველი სახის მიცემის, არომატიზაციის და სხვ. მიზნით. ეფექტები, რომელთაც იძლევა საკვებდანამატების გამოყენება მოცემულია 2.1 ცხრილში.

საკვებდანამატის სახეობა	ეფექტი
ორგანული საკვები მჟავები (ლიმონის, ღვინის ძმრის, რძის), შაქრისებრი ნივთიერებები, დამატებობლები, უმაღლესი სპირტები (სორბიტი, ქსილიტი), მარე და მწველი ნივთიერებები, ცილოვანი ჰიდროლიზები, ნატრიუმის ჭორიდი	გემოს კორექცია, აქტიური მჟავიანობის ცვლილება
საღებავები, გამჭვირვალობისა და მღვრიე მდგომარეობის სტაბილიზატორები	პროდუქტის გარეგანი ხედის კორექცია და სტაბილურობა
არომატიზატორები, არომატის წარმოქმნელი ფერმენტები, CO ₂ -სანულელებელი მცენარეების ექსტრაქტები	არომატის კორექცია
კონსერვანტები, ანტიოქსიდანტები, გამჭვირვალობის სტაბილიზატორები, ფერმენტები	პროდუქციის ხარისხის სტაბილიზაცია შენახვისას
შემსქელებლები (პექტინი, აგარ-აგარი, ქელატინი და სხვ.	პროდუქციის კონსისტენციის კორექცია
ვიტამინები, ამინომჟავები, ცილოვანი დანამატები, ანტიოქსიდანტები	პროდუქტის გამდიდრება აქტიური ნივთიერებებით
ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, დაბალი სიბლანტის ქელატინი, ფიტინი, ბენზომჟავა	ლითონის ტარის კოროზიის პროცესის ინჰიბირება

ცნობილია, რომ კვების მრეწველობაში ხშირად გამოიყენება საკვები საღებავი. იგი ემსახურება პროდუქტის გადამუშავების პროცესში დაკარგული ბუნებრივი შეფერილობის აღდგენას ან გამოიყენება უფრო პროდუქტების შესაფერადებლად.

საკვები საღებავი არსებობს ნატურალური და სინთეზური. ნატურალური საღებავი წარმოადგენს მღებავი პიგმენტების მქონე ბუნებრივი წარმოშობის სხვადასხვა კომპონენტების ნაერთს. ასეთი საღებავი, როგორც წესი, მომხმარებელს პრობლემებს არ უქმ-

ნის, ვინაიდან გამოიყენება მცირე დოზით და ორგანიზმი ადვილად ითვისებს. რაც შეეხება სინთეზურს, ბევრ მომხმარებელს მასზე ალერგიული რეაქცია აქვს.

რუსეთის სანიტარული ზედამხედველობის მიერ ნებადართულია შემდეგი სახის სინთეზური საღებავების მოხმარება:

- ყვითელი: „ტარტრაზინი“ (E102) და ქინოლინის ყვითელი (E104);

- ნარინჯისფერი - „ყვითელი მზისჩასვლისებრი“ (E110);

- წითელი: „აზო-ლალი“ (E122), „4P“ (E124), „მომხიბლავი წითელი“ (E129);

- ლურჯი: „დაპატენტებული ლურჯი (E131), „ინდიგოკარმინი“ (E132), „ბრილიანტისებური ცისფერი“ (E133);

- მწვანე: „მწვანე C“ (E142), „მტკიცე მწვანე“ (E143);

- იისფერი - „ბრილიანტისებრი შავი“ (E151).

უნდა აღინიშნოს, რომ „ტარტრაზინი“ ალერგიულ ადამიანებში იწვევს მოგუდვის შეგრძნებას და გამონაყარს. საზღვარგარეთელ მეცნიერებს მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ მისი გამოყენება იმ საკონდიტრო ნაწარმში, რომელსაც მეტწილად ბავშვები მოიხმარენ.

რუსეთის კანონმდებლობით აკრძალულია შემდეგი საკვები საღებავები: „ალკანეტი“ (E103); „ყვითელი 2e“ (E107); „ალისფერი 3X“ (E125); „ერიტროზინი“ (E127); „წითელი 2e“ (E128); „ყავისფერი EK“ (E154) და „ყავისფერი HT“ (E155).

2.2 ცხრილში დასახელებულია ზოგიერთი საკვები საღებავები და პროდუქციის სახეები, რომლებშიც ისინი გამოიყენება.

კოდი	საღებავის დასახელება	გამოყენება
სინთეზური საღებავები		
E102	Tartrazin (ტარტრაზინი)-ოქროსფერ-ყვითელი	საკონდიტრო ნაკეთობები, უალკოჰოლო სასმელები და სიროპები, რომლებიც მზადდება ხელოვნურ ესენციებზე; კარამელები; მარმელადი, ნამცხვარი, ნაყინი, წამლის ტაბლეტების ყვითელი გარსები (ალაქოლი, ნო-შპა, ტავეგილი, ვიტამინები და სხვ.)
E110	Sunset Yellow FCF –მზისჩასვლისფერი	უალკოჰოლო სასმელები
E132	Indigotine (ინდიგოკარმინი – ლურჯი)	საკონდიტრო ნაწარმი, ტორტის კრემები, სასმელები
ბუნებრივი საღებავები		
E120a	Carotenes (კაროტინები) – ნარინჯისფერი-ყვითელი ii – ნატურალური კაროტინის ექსტრაქტები	მარგარინი, ნაღების კარაქი, საკონდიტრო ნაწარმი
E160 b	Annato extract (ანატოს ექსტრაქტი) – ყვითელი	მარგარინი, ნაღების კარაქი

სინთეზური საკვები საღებავების შემუშავება ხდება ფხვნილებისა და გრანულების სახით. მათი გამოყენება (დამატება) ხდება მშრალ ნახევრად ფაბრიკატებში (სასმელების კონცენტრატებში, კექსებისათვის გამიზნულ მშრალ ნარევებში, ჟელეებში და სხვ.). სინთეზური საკვები საღებავების დოზირება

(მაქსიმალური დასაშვები დოზა) შეადგენს 100 გ-ს ერთ ტონა მზა საკვებ პროდუქტზე. ძირითადად რეკომენდებულია დოზირება რაოდენობით 5-დან 50 გ-მდე ერთ ტონა მზა პროდუქტიაზე, შესაფერადებელი საკვები პროდუქტის და საღებავის სახის გათვალისწინებით. ყველა გამოყენებული საკვები დანამატი გამოტანილი უნდა იყოს საფუთავზე, კონკრეტული ინდექსის ჩვენებით.

ინდექსის მაჩვენებელია ასო "E" და სამ-ან ოთხნიშნა რიცხვი, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ საკვებდანამატს. დანამატების გამოყენების რეგულირება ხდება კონტამინანტების გაერთიანებული კომიტეტის ნებადამრთველი დოკუმენტებით. აღნიშნული კომიტეტი ეკუთვნის გაერთიანებული ერების სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO - the Food and Agriculture Organization of the Union Nations). ანალოგიური კომისია მუშაობს ევროპის ეკონომიკური საბჭოს სისტემაშიც. აღნიშნული კომიტეტი დაწვრილებითი გამოკვლევების საფუძველზე განსაზღვრავს საკვებდანამატების ადამიანის ორგანიზმისათვის მისაღებ სადღეღამისო ნორმას შემდეგი გათვლების საფუძველზე: ორგანიზმისათვის დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა შემცირებული ასჯერ, ზოგჯერ ათასჯერ.

ამჟამად, ამა თუ იმ საკვები პროდუქტის წარმოებისას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება 500-მდე სხვადასხვა საკვებდანამატი. ამასთან, ყველა ქვეყანას აქვს ნებადართული და აკრძალული ინგრედიენტების ნორმატიულად დამტკიცებული ჩამონათვალი.

ყველაზე ხშირად გამოყენებული საკვებდანამატების კლასიფიკაციას აქვს შემდეგი სახე:

✓ E100 - საღებავები, რომლებიც პროდუქტს აძლევენ საჭირო ფერს;

✓ E200 - კონსერვანტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქტის დიდხანს შენახვას ჩვეულებრივ პირობებში;

✓ E300 - ანტიოქსიდანტები, რომლებიც ანელეზენ პროდუქციის დამჟავებას;

✓ E400 - სტაბილიზატორები, რომლებიც უზარუნებენ პროდუქტს მოცემულ კონსისტენციას;

✓ E500 - ემულგატორები, რომლებიც უზარჩუნებენ პროდუქტს გარკვეულ სტრუქტურას;

✓ E600 - გემოს და არომატის გამაძლიერებლები;

✓ E700 - E800 - სამარაგო ინდექსები;

✓ E900 - ანტიფლამინგები, ნივთიერებები, რომლებიც ამცირებენ ქაფის რაოდენობას (მაგალითად, ლუდის ჩამოსხმისას),

✓ E1000 - მომჭიქურებელი აგენტები, საკონდიტრო ნაკეთობებისა და წველების დამატებობლები და დანამატები, რომლებიც ხელს უშლიან შაქარსა და მარილს დალექვაში.

არსებული წესების შესაბამისად საფუთავზე მიუთითებენ მხოლოდ საკვებდანამატის შესაბამის ინდექსს, თუმცა ზოგჯერ მიუთითებენ საკვებდანამატის რაოდენობას, მაგალითად, 60 ppm (part per million), რაც ნიშნავს პროდუქტის ერთ მილიონ წონით ან მოცულობით ნაწილზე მოდის საკვებდანამატის არა უმეტეს 60 წილისა.

რუსეთის ტერიტორიაზე აკრძალულია შემდეგი დანამატები: კონსერვანტი „ფორმალდეჰიდი“ (E240); ფქვილისა და პურის გამაუმჯობესებელი „კალიუმის ბრომატი“ (E924a); ფქვილისა პურის გამაუმჯობესებელი „კალციუმის ბრომატი“ (E924b).

საკვებდანამატების ეტიკეტიტება რეგლამენტირებულია კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტით (სტანდარტი 107-1981), რომლის მიხედვით საკვებდანამატები არ უნდა იქნას აღწერილი ან წარმოდგენილი ეტიკეტ-

ზე ისეთი გზით, რომელიც არის მცდარი, შეცდომაში შემყვანი ან მაცდუნებელი ან რომელმაც შესაძლოა შექმნას არასწორი შთაბეჭდილება მის თვისებებთან დაკავშირებით. არ უნდა იყოს გამოყენებული ისეთი სიტყვები, სურათები ან სხვა საშუალებები, რომელიც მითითებულია ნებისმიერ სხვა პროდუქტზე, რომელშიც შესაძლოა მყიდველს აერიოს ასეთი საკვებდანამატი.

ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი, შესამჩნევი და მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები შესყიდვისა და გამოყენების ჩვეულებრივ პირობებში. ინფორმაცია არ უნდა იყოს გაუგებარი დიზაინით ან სხვა ნაწერი, ნაბეჭდი ან გრაფიკული გამოსახულებით და უნდა იყოს არსებული ფონის კონტრასტული. საკვებდანამატის დასახელებში ასოები უნდა იყოს ეტიკეტზე არსებული სხვა შესამჩნევი ინფორმაციის მსგავსი.

მნიშვნელოვანია, რომ დანამატებს გააჩნდეთ დამტკიცებული კოდი, რომელიც შეტანილი იქნება ჩამონათვალში და გამოქვეყნებული შესაბამის გამოცემებში, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია მისი მწარმოებლის, უსაფრთხოების დადგენილი კრიტერიუმების, თარიღისა და ჰიგიენური სერტიფიკატის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, ჩამონათვლის არსებობა საშუალებას იძლევა სწორად იქნას გამოყენებული შემმუშავებლის რეკომენდაციები დანამატების შენახვის და პროდუქციის დამზადებისას მისი გამოყენების შესახებ.

სავაჭრო ქსელში პროდუქტის შექენისას სასურველია გავეცნოთ ინფორმაციას ამა თუ იმ საკვებდანამატის არსებობის შესახებ. გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ზოგიერთ საკვებდანამატს მისი მუდმივად მოხმარების შემთხვევაში შეუძლია გარკვეული საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას. 23 ცხრილში ნიმუშის სახით მოცემულია ზოგიერთი საკვებ-

დანიშნულების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შედეგები დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრ "Кедრ"-ის მონაცემების თანახმად.

ცხრილი 2.3

აღნიშვნა	ზემოქმედება	აღნიშვნა	ზემოქმედება	აღნიშვნა	ზემოქმედება
E123	ძალიან საშიში	E231	საზიანოა კანისათვის	E310	გამონაყარი
E125	აკრძალულია	E233	გამონაყარი	E320	ქოლესტერინი
E151	საზიანოა კანისათვის	E250	არტერიული წნევა	E626	კუჭის აშლილობა
E154	კუჭის აშლილობა	E270	საშიშია ბავშვებისათვის	E951	საზიანოა კანისათვის

საზოგადოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის ორგანიზმი ინდივიდუალურია და იმ პროდუქტის მოხმარებამ, რომელიც შეიცავს საკვებდანამატს, შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საკვებდანამატების გამოყენება უნდა აიკრძალოს. საჭიროა მხოლოდ, რომ მომხმარებელმა იცოდეს თავისი ორგანიზმის რეაქციის თავისებურება და გაითვალისწინოს პროდუქციის ყიდვისა და მოხმარებისას.

2.5. მოთხოვნები სატრანსპორტო მარკირებისადმი


სატრანსპორტო მარკირების ძირითადი წარწერები უნდა შეიცავდეს:

- ტვირთის მიმღების სრულ ან პირობით დასახელებას, მის კოდს სატრანსპორტო კოდიფიცირების სისტემის შესაბამისად;
- დანიშნულების პუნქტის დასახელებას;
- ტვირთის ერთეულის რიგით ნომერს პარტიაში და ტვირთების რაოდენობას.

ნებისმიერ ტარაზე, რომელსაც აქვს პარალელუპიკედის, კუბის, ტეტრაედრის ფორმა მარკირების გან-

თავსება ხდება ერთ-ერთ გვერდით კედელზე. დასაშვებია მომდევნო კედელზე და სახურავზეც, თუ ერთი კედელი საკმარისი არ აღმოჩნდა. კასრებზე და დოლებზე მარკირებას ათავსებენ ძირზე.

სატრანსპორტო მარკირების განთავსების სქემა ნაჩვენებია 2.6 ნახ.-ზე.



ნახ. 2.6. ტარაზე სატრანსპორტო მარკირების განთავსების სქემა. 1-მანიპულაციური ნიშნები; 2-გამაფრთხილებელი ნიშნები; 3-ერთეულების რაოდენობა ტვირთის პარტიაში და რიგითი ნომერი პარტიის შიგნით; 4-ტვირთის მიმდების დასახელება და დანიშნულების პუნქტი; 5-გადატვირთვის პუნქტის დასახელება; 6-სატრანსპორტო ორგანიზაციების წარწერები; 7-ტვირთის გამგზავნის დასახელება; 8-გაგზავნის პუნქტის დასახელება; 9-საქონლის დამამზადებელი ქვეყანა; 10-ტვირთის ერთეულის მოცულობა; 11-ტვირთის ერთეულის გაბარიტული ზომები; 12-მასა ნეტო; 13-მასა ბრუტო.

დამატებითი წარწერები უნდა განთავსდეს ტარის კედლის მარცხენა ქვედა კუთხეში, ხოლო გამაფრთხილებელი წარწერები და ნიშნები (მანიპულაციური ნიშნები) – მარცხენა ზედა კუთხეში.

იმპორტული ტვირთების მარკირება უნდა მოთავსდეს კვადრატში ან სამკუთხედში. შეიცავდეს იმპორტიორისა და მიმდების დასახელებას, კონტრაქტის ნომერს, სატრანსპორტო დავალების ნომერს, დანიშნულების პუნქტის დასახელებას, მასებს – ბრუტოსა და ნეტოს.

იმ მიზნით, რომ დაზუსტდეს საფუთავისა და მისი მარკირების ორიგინალ-მაკეტის შექმნისადმი მოთხოვნები მხატვრული, ინფორმაციული და ეკოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით საჭიროა დაჰყვადეს ტექნიკური დავალება შემსრულებლისათვის, რომელშიც მითითებული იქნება:

- პროდუქციის ზუსტი დასახელება მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად;

- საფუთავის ზომები, მისი ტევადობა, სასურველი გაბარიტული ზომები;

- ეტიკეტებისა და კოლიერეტების ზომები და ფორმა ეტიკეტირების ავტომატების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არსებული ნორმების მიხედვით საფუთავის ერთ-ერთ გვერდზე განთავსებული კომერციული რეკლამა ზომით არ უნდა აღემატებოდეს საბეჭდი მინდვრის ერთ მესამედს და ჰქონდეს აუცილებელი რუბრიკა “რეკლამა”. სარეკლამო გამოსახულება გაველენას არ უნდა ახდენდეს პროდუქტზე განთავსებულ მარკირების ინფორმაციაზე.

ტექნიკურ დავალებას თან უნდა ახლდეს:

- საფუთავზე განსათავსებელი აუცილებელი სამარკირებელი წარწერების და ტექსტების ნუსხა;

- საწარმოს სასაქონლო ნიშნის ნიმუში;

- ნაკეთის საფუთავის ნიმუში;

- საფირმო გაფორმების ნიმუში (თუ საწარმოს გააჩნია პროდუქციის გაფორმების საფირმო სტილი).

მარკირების წარწერები უნდა იყოს მკაფიო და გასაგები. საცნობარო წარწერებისათვის გამოყენებული შრიფტი უნდა იყოს არა ნაკლებ 6 კეგლისა, საინსტრუქციო – არა ნაკლებ 8 კეგლისა.

ტვირთის წყლის ტრანსპორტით გადაზიდვისას მარკირება უნდა გაკეთდეს არაჩამორეცხვადი საღებავით. აკრძალულია ისეთი საღებავის გამოყენება, რომელიც

მელიც უარყოფითად იმოქმედებს ტვირთზე, მაგალითად, დაუშვებელია საკვები პროდუქტის შემცველი ტვირთის მარკირება ნავთში ან სკიპიდარში გაზაფხული საღებავით.

მარკირებისათვის გამოყენებულ იარლიყებს ამზადებენ ლითონისაგან, ხისაგან და საიმედოდ ამარებენ ტვირთზე. მარკირების დატანა ხდება ტრაფარეტით, ტიპოგრაფული წესით, საბეჭდი მანქანით ან ამოტვიფრვით. იარლიყების ლურსმნით მიჭედება ფანერის, მუყაოს ან ქაღალდის ყუთებზე არ დაიშვება.

ძირითადი წარწერების განთავსება ხდება საფუთავის ცენტრალურ ნაწილზე, ხოლო მანიპულაციური ნიშნებისა - ზედა მარცხენა კუთხეში, მიმდებარე კედლებზე (ფრონტალურზე და გვერდითზე).



მარკირების სისტემატიზების მიზნით ISO-ს მიერ შემუშავებულია სტანდარტი ISO 2716, სახელწოდებით "BIC-code"










ტვირთისათვის საკონტროლო ნიშნების მიღება ტვირთის პატრონს შეუძლია კონტეინერების საერთაშორისო ბიუროში. ამ მარკირების კოდი შედგება ოთხი ასოსაგან, რომლებიც განლაგებულია ალფაბეტური თანამიმდევრობით. "BIC-code"-ის ნუსხის დახმარებით სწრაფად შეიძლება კონტეინერის პატრონის განსაზღვრა ან მისი კონტეინერის მოძებნა.

2.6. მანიპულაციური მარკირების ნიშნები





მანიპულაციური ნიშნები (გამაფრთხილებელი წარწერები), რომლებიც მიუთითებენ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ტვირთისადმი მოპყრობა, უნდა განთავსდეს ტვირთის ყოველი ერთეულის მარცხენა ზედა კუთხეში, ტარის ორ მეზობელ კედელზე.

ტვირთების მარკირებისას გამოყენებული მანიპულაციური ნიშნები მოცემულია 2.4 ცხრილში (ზომები დაცული არ არის)

მანიპულაციური ნიშანი		დანიშნულება
ნომერი და აღნიშვნა	გამოსახულება	
1. მყიფეა. ფრთხილად		ტვირთი მყიფეა და მას ფრთხილად ექცევიან
2. დაიცავით გახურებისაგან		საჭიროა ტვირთი მოვარიდოთ სითბოს
3. დაიცავით სინესტისაგან		აუცილებელია ტვირთის დაცვა ტენის ზემოქმედებისაგან
4. დაიცავით გამოსხივებისაგან		ნებისმიერი სახის გამოსხივებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ტვირთის თვისებებზე
5. ტემპერატურის შეზღუდვა		ტვირთის შენახვის ან მანიპულირების ტემპერატურული დიაპაზონი
6. მაღფუჭებადი ტვირთი		ტვირთი არ შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ
7. ჰერმეტიკული შეფუთვა		ტრანსპორტირების ან შენახვისას საფუთავის გახსნა დაუშვებელია

8. კაუჭით არ აიღოთ		აკრძალულია ტვირთის ასადებად კაუჭის გამოყენება
9. ჯამბარას ადგილი		ადგილი, სადაც უნდა მოთავსდეს ტვირთის ასაწევი ბაგირები და ჯაჭვები
10. საზიდარის გამოყენება აკრძალულია		ადგილები, სადაც არ შეიძლება ტვირთის აწევისას საზიდარის გამოყენება
11. ზემოთ		ტვირთის სწორი ვერტიკალური მდგომარეობა
12. სიმძიმის ცენტრი		ტვირთის სიმძიმის ადგილის ცენტრი
13. ტროპიკული აღნიშვნები: T-ტროპიკული შეფუთვა, □□-□□ - შეფუთვის თვე და წელი		ტვირთის შეფუთვის დაზიანება გამოიწვევს ტროპიკული კლიმატის ზემოქმედების შედეგად მის გაფუჭებას
14. შტაბელებად დაწყოება აკრძალულია		არ შეიძლება ტვირთის შტაბელებად დაწყოება
15. ასწიეთ უშუალოდ ტვირთზე მოჭიდებით		ტვირთის აწევა საფუთავზე მოჭიდებით არ შეიძლება
16. გახსენით აქ		საფუთავი უნდა გაიხსნას მხოლოდ მითითებულ ადგილას

გაგრძელება ცხრ.2.4

<p>17. მორიდეთ სითბოს და რადიოაქტიურ გამოსხივებას</p>		<p>სითბოს ან გამოსხივების შეღწევას შეუძლია დაადაბლოს ან გაანადგუროს ტვირთის ფასეულობა</p>
<p>18. არ გააგოროთ</p>		<p>ტვირთი არ უნდა ქანაობდეს</p>
<p>19. შტაბელებად დაწყოება შეზღუდულია</p>	<p>kg max</p> 	<p>შტაბელებად დაწყოება შეზღუდულია (შესაძლოა მითითებული იყოს შტაბელებად დაწყოების შემზღუდავი მასა)</p>
<p>20. მოუჭირეთ აქ</p>		<p>მოჭერის ადგილი ტვირთით მანიპულირებისას</p>

საექსპორტო ტვირთის მარკირება უნდა მოხდეს ლათინური შრიფტით ან კლიენტთან შეთანხმებით იმ ენაზე, რომელიც მის მიერ იქნება მითითებული დოკუმენტაციაში. 2.5 ცხრილში მოცემულია ყველაზე გავრცელებული ინგლისურენოვანი წარწერები და მათი ქართული შესატყვისები.

ცხრილი 2.5

ინგლისური	Top	Bottom	Not to be tipped	Handle with care	Keep dry
ქართული	ზემოთ	ქვემოთ	არ გადაყიროთ	ფრთხილად შეეხეთ	მორიდეთ სინესტეს

გაგრძელება ცხრ.2.5

ინგლისური	Center of gravity	Weight net	Weight gross	Not to drop	Open here	Use no Hooks
ქართული	სიმძიმის ცენტრი	წონა ნეტო	წონა ბრუტო	არ დააგლოთ	გახსენით აქ	კაუჭებით არ აიღოთ

2.7. ეკოლოგიური მარკირება და გამაფრთხილებელი ნიშნები

სისტემაში “ადამიანი-ბუნება” მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკოლოგიურ მარკირებას.

სტატისტიკური მონაცემებით დადასტურებულია, რომ ამერიკული კომპანიები ყოველწლიურად ხარჯავენ 80 მილიარდ დოლარს გარემოს დაცვის წესების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად (ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5-1,7%-ს), რაც ნიშნავს, რომ სერიოზული ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებას იცხოვროს ჯანსაღ გარემოში.

საქართველოში ეს უფლება დაცულია კანონებით “გარემოს დაცვის შესახებ” და “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ”.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკოლოგიურ სერტიფიკაციას უკვე აქვს საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა – ინგლისური სტანდარტი BS7750, რომელიც მოქმედებს 1992 წლიდან, დირექტივა EC/836/93 და ISO 14000 სერიის საერთაშორისო სტანდარტები.

ადამიანის სურვილმა შეინარჩუნოს მის გარშემო არსებული ბუნება, ბუნებისდაცვითი საქმიანობის აუცილებლობის შეგნებამ, ბუნებასთან ჰარმონიზების მისწრაფებამ საჭირო გახადა ნიშნებისა და აღნიშვნების სპეციალური სისტემის შექმნა, რომელსაც ეკოლოგიური მარკირება (ეკომარკირება) ეწოდება. კანონმდებლობის შესაბამისად იგი არ არის აუცილებელი ნებისმიერი პროდუქციისათვის, მაგრამ მისი გავლენა კონკურენტუნარიანობაზე იმ პროდუქციასთან შედარებით, რომელსაც არა აქვს ასეთი მარკირება, ძალიან მნიშვნელოვანია. ეკომარკირება მიმზიდველი სარეკლამო საშუალებაა. მაგალითად, ჰოლანდიაში იმ ყვავილების ფასი, რომლებიც გამოყვანილია ორგანულ გარემოში და აქვთ სპეციალური სერტიფიკატი

30%-ით მაღალია სხვებთან შედარებით. დიდ ბრიტანეთში, საქონელი რომელიც დამზადებულია მყარ საფუძველზე ექსპლუატირებული ტყის ხეების მერქნისაგან, საშუალოდ 13%-ით ძვირია. ბევრი ქვეყნისათვის (განსაკუთრებით განვითარებადისათვის) ეკომარკირება განსაზღვრავს იმპორტული ბაჟის სიდიდეს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც უკავშირდება ეკომარკირებისა და ეკოსერტიფიკაციის ნაციონალური სისტემების არსებობის გამო ვაჭრობაში არსებული ბარიერების გაუქმებას, ფართოდ გამოიყენება ეკომარკირების ურთიერთალიარება. რიგი ქვეყნები, რომლებიც არ არიან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრები აღიარებენ ევროკავშირის ეკომარკირებას.

ვინაიდან საქონლის შესახებ გარკვეული ინფორმაციის ასახვა ძირითადად საფუთავის ფუნქციაა, ეკომარკირებაც მასზე უნდა განთავსდეს.

ეკომარკირების ნიშნები პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- რომლებიც გამოიყენება საქონლის ან მისი ცალკეული მდგენელების ერთობლიობის ეკოლოგიურობის აღსანიშნავად;

- რომლებიც მოუწოდებენ ადამიანებს მოუფროთხილდნენ გარემოს;

- რომლებიც აფიქსირებენ, რომ მოცემული საგანი სახიფათოა გარემოსათვის და ერთობლივად მოიცავენ გამაფრთხილებელ და ეკომარკირებას.

პირველ ჯგუფს შეადგენენ 2.7 ნახ.-ზე მოცემული ყველაზე ხშირად გამოყენებული ნიშნები.

“ცისფერი ანგელოზი” (ნახ.2.7ა) პირველად გამოჩნდა 1978 წელს გერმანიაში. თავისი გრაფიკული გამოსახულებით წააგავს გარემოს დაცვის სფეროში გაეროს პროგრამის ემბლემას. იგი პრაქტიკულად წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის სიმბოლოს. გერმანიაში ათასობით საქონელია ამ ნიშნით

აღნიშნული. ნახ.2.7,ბ-ზე ნაჩვენებია სხვადასხვა ფირმების ეკონიშანი, რომლითაც ისინი აღნიშნავენ თავი-



ა



ბ



გ



დ



Low emissions during production

ე



ვ



ზ



თ



ი

ნახ. 2.7. ეკოლოგიური მარკირების ნიშნები

ანთ წველილს გარემოს დაცვაში და ამით სურთ მიიპყრონ მომხმარებლის ყურადღება. ნახ.2.7,დ-ზე მოცემული ნიშანი გათვალისწინებულია ისრაელის სტანდარტებით და აღნიშნავს, რომ ამ ნიშნით მარკირებული პროდუქცია „მეგობრულადაა განწყობილი“ გარემოსადმი. „თეთრი გედი“ (ნახ.2.7,ე) – გვხვდება სკანდინავიის ქვეყნების პროდუქციაზე. ეკონიშანი რომელიც ნაჩვენებია ნახ.2.7,ვ-ზე დამახასიათებელია იაპონური პროდუქციისათვის. ნახ.2.7,ზ-ზე მოცემული „Forn“ სავაჭრო მარკის ნიშანი ადასტურებს ამ ფირმის მიერ წარმოებული სარეცხი ავტომატების, ჭურჭლის სარეცხი მანქანების ეკოლოგიურ სისუფთავეს. ნახ.2.7,თ-

ზე მოცემულია საწერი მოწყობილობების, მარკერების, შტემპელების დამამზადებელი ფირმა „Schwan Stabilo“-ს ნიშანი.

ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად ერთიანი მარკირების საფუძველს წარმოადგენს ნახ.2.7,გ-ზე გამოსახული ნიშანი. იგი შესაძლოა განთავდეს საფუთავზე შემდეგ ფერში: მწვანე ან ცისფრად, ან შავი ფერით თეთრ ფონზე (ზოგჯერ პირიქით). ამ ნიშნის შემოღების მიზანი იყო მომხმარებლისათვის მის მიერ შეძენილი პროდუქტის ეკოლოგიურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე დამამზადებლის სტიმულირება გარემოს დაცვაში ნორმებისა და წესების შესასრულებლად. მიღებული წესების თანხმად ევროკავშირის ეკონიშანი არ ვრცელდება საკვებ პროდუქტებზე, სასმელებზე, სამკურნალო პრეპარატებზე. ეკოლოგიური მარკირებისა და ეტიკეტირების საკითხებზე მუშაობს ISO/TC 207.

ჩამოთვლილის გარდა გამოიყენება ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ მეორადი გამოყენების საგნებს – ე.წ. „რესაიკლინგის“ სიმბოლოები. არსებობს მათი ნარსახეობები, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია შეკრული ფიგურის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც გამოსახავს ციკლს *შექმნა-გამოყენება (მობხარება)-უტილიზაცია-პროდუქტის აღდგენა* (ნახ.2.7,ი, ნახ.2.9). ეს ნიშნები ხშირად გვხვდება ამერიკულ, ინგლისურ, სკანდინავიურ და სხვა ქვეყნების პროდუქციაზე. ამ ნიშნით აღნიშნავენ არა მარტო მეორადი ნედლეულისაგან მიღებულ, არამედ იმ საგანსაც, რომელიც ექვემდებარება მეორად გადამუშვებას (მაგალითად, ბოთლი, ვარცლი, ქილა და სხვ.).

ხშირად იმპორტულ პროდუქციაზე ვხედავთ ნიშანს „მწვანე წერტილი“ (ნახ.2.7,ი). იგი აღნიშნავს, რომ შეფუთული პროდუქტის წარმოება ეკოლოგიურად სუფთაა, ხოლო ტარა ექვემდებარება მეორად გადამუშავებას.

თავის დროზე, გერმანიაში „მწვანე წერტილის“ სისტემის შემოღებამ სრულიად გაუთვალისწინებელი პრობლემები შექმნა. გერმანიის მოქალაქეები მკაცრად იცავდნენ რა დადგენილ მოთხოვნებს, აქტიურად აბარებდნენ „მწვანე წერტილის“ ნიშნიან პლასტიკის პაკეტებს გადასამუშავებლად. თუმცა გადამამუშავებელი წარმოების სიმძლავრეებისაკმარისი არ აღმოჩნდა და გერმანია პლასტიკის ნაგვის ტყვეობაში აღმოჩნდა (ექსპორტირებაც კი დაიწყეს ინდონეზიაში).

არსებობს აგრეთვე ნიშნები, რომლებიც მოუწოდებენ მოქალაქეებს არა თუ არ დაანაგვიანონ გარემო, არამედ შეაგროვონ და ჩააბარონ გამოყენებული ტარა შემდგომი გადამამუშავებისათვის (ნახ.2.8).



ნახ.2.8

მეორე ჯგუფს შეადგენენ ნიშნები, რომლებიც მოუწოდებენ ადამიანებს დაიცვან ბუნება. სიმბოლიკის მიხედვით ისინი იმეორებენ პირველი ჯგუფის ზოგიერთ ნიშანს, მაგრამ დამატებით აქვთ დამახასიათებელი წარწერები ან გრაფიკული სიმბოლოები. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 2.8 ნახ.-ზე მოცემული სიმბოლოები.

პროდუქტზე რესაიკლინგის ნიშნის განთავსებას რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. თუ სიმბოლო შედგება მოღუნული ბრტყელი ისრებისაგან (ნახ.2.9,ა) ნიშნავს, რომ ეს ნიშანი რეგისტრირებულია



ა



ბ

ნახ.2.9

ISO-ს მიერ და საფუთავისა და პროდუქტის მწარმოებლებს ამ ორგანიზაციისაგან მიღებული აქვთ ნებართვა ნიშნის გამოყენებაზე. ხოლო თუ მარკირებას აქვს მთლიანი ისრებისაგან შემდგარი სამკუთხედის სახე ნიშნავს, რომ ნიშანი რეგისტრირებულია გერმანული სტანდარტების – DIN მიხედვით. ამ ნიშანთან ერთად გერმანიაში მიუთითებენ კონკრეტულ ნომერსაც, რომელიც აღნიშნავს გამოყენებული პლასტმასის ტიპს, იმ მიზნით, რომ მოხდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების სორტირება. ანალოგიური სისტემა გამოიყენება დიდ ბრიტანეთში.

მესამე ჯგუფი ნიშნებისა (ნახ.2.10) გამოიყენება მომხმარებლის გასაფრთხილებლად ცალკეული პრო-



ა



ბ

ნახ.2.10. სპეციალური ნიშნები: ა – იმ ნივთიერებების აღსანიშნავად, რომელთა გადახიდეა საწყლოსნო გზით სახიფათოა ზღვის ფლორისა და ფაუნისათვის; ბ – „საშიშა გარემოსათვის“

დუქტების მოხმარების საშიშროების, ან კონკრეტულ ნივთიერებებთან ფრთხილად მოპყრობის აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან ისინი შეიცავენ საფრთხეს გარემოსათვის. ეს შეეხება ყველა ტიპის ავეჯს, რომელიც მზადდება მერქან-ბურბუშეულას ფილებისაგან (ე.წ. ДСП). ამის მიზეზია შემკვრელის სახით გამოყენებული კარბამიდოფორმალდეჰიდური ფისი, რომელიც გამოყოფს ამიაკს, მეთანოლს და ძალიან ტოქსიკურ ფორმალდეჰიდს.

1985 წ. მიიღეს ვენის კონვენცია ოზონის ფენის დაცვის შესახებ. ცნობილია, რომ ოზონის ფენა იფა-

რავს დედამიწაზე არსებულ ცოცხალ ორგანიზმებს მზისაგან მომავალი საზიანო რადიაციისაგან. მეცნიერებმა ატმოსფეროში აღმოაჩინეს „ოზონის ხვრელები“, რომელთა ზომები თანდათან დიდდება და დაადგინეს, რომ ერთ-ერთი მიზეზია სამაცივრო აგენტის – ფრეონის გამოყენება, რომელიც არღვევს ოზონოსფეროს. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა შემცირდეს ფრეონის შემცველი აპარატურის გამოშვება.

ეკოლოგიურად სუფთა ხელსაწყოებს უკეთდება მარკირება ნიშნით, რომელიც მოცემულია 2.11 ნახაზზე.



ნახ.2.11

ზოგიერთ დარგებში, რომლებიც აწარმოებენ სახალხო მოხმარების საქონელს, შემუშავებულია გამაფრთხილებელი სიმბოლოების სისტემა, რომლის მიზანია მომხმარებლის ინფორმირება, რომ საქონლის მოვლისა და მოხმარების პროცესში გათვალის-

წინებული უნდა იყოს მისი თავისებურებები, ქიმიური და სხვა თვისებები. მაგალითად, ტექსტილის წარმოებაში სუფთა შალისაგან დამზადებულ ნაწარმს უნდა ჰქონდეს სპეციალური მარკირება და სპეციალური ეტიკეტი ტემპერატურული რეჟიმების შეზღუდვის ჩვენებით, რეცხვის, წმენდის და დაუთოებისას.

მნიშვნელოვან საკითხად ითვლება სხვადასხვა ნიშნებზე სტანდარტების დამუშავება, მათი სისტემების შექმნა საერთაშორისო დებულებების და წესების მიხედვით. ყურადღება ექცევა ნიშნის ტექნოლოგიურობას, მის აღქმადობას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (ბავშვების, სუსტი მხედველობის მქონე ადამიანების და სხვ.) მიერ, ასევე გრაფიკული შესრულების სიმარტივეს, იდენტიფიკაციისა და საქონლის საფუთავზე განთავსებისას ლოგიკურობას.

მარკირების ნიშნის შემუშავებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნიშანი უნდა:

- ხასიათდებოდეს კომპაქტური გრაფიკული სიმბოლიკით და სრულად გადასცემდეს მომხმარებელს ინფორმაციას საქონლის შესახებ;

- იყოს ადვილად ცნობადი, განსხვავდებოდეს სხვა ნიშნებისაგან და აღიქმებოდეს სხვადასხვა სახით (ვიზუალურად, შეხებითი და სხვ);

- შეიცავდეს გარკვეულ განმარტებით-ნებადამრთველ და ამკრძალავ ფუნქციებს და არ იცვლიდეს მათ საქონლის სახის შესაბამისად;

- იყოს აღქმის თვალსაზრისით უნივერსალური, რისთვისაც საჭირო ხდება ნიშნის გვერდით განმარტებითი წარწერის ან დამატებითი ტექსტის განთავსება.


ვეროკავშირის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება მარკირების ნიშნები, რომელთაც ათავსებენ საფუთავზე ან უშუალოდ საქონელზე იმ ადგილებში, სადაც ნაკლებად მოსალოდნელია მომხმარებელი შეეხოს საფუთავს პროდუქტის ყიდვის ან მოხმარებისას. ასეთი ნიშნები გამოისახება წვეროებში ან გვერდებზე ამობურცული სამკუთხედის სახით და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საფუთავზე ადგილის უკმარისობის გამო შეუძლებელია ნიშნის მთლიანად აღწარმოება.

2.8. სასტუმროს სერვისის მარკირება

ტურისტული კავშირების განვითარება გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს სასტუმრო მომსახურების გაწევის და მისი თანმდევი სერვისის სისტემა. სერვისის აღნიშვნა ხდება პიქტოგრამის სახით.

სასტუმროების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს. ყოველი სასტუმრო განსხვავებულია განთავსების ხარისხის და შეთავაზებული მომსახურების შესაბამისად. განთავსების ხარისხი დიფერენცირდება იმის გათვალისწინებით თუ რა ტიპისაა საცხოვრებელი ადგილი: ოტელი, კემპინგი, მოტელი, ახალგაზრდული სასტუმრო-საერთო

საცხოვრებელი და ა.შ. აქედან გამომდინარე ძნელია სასტუმროს მომსახურების ხარისხის შესახებ ერთიანი უნივერსალური სტანდარტების შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება მსოფლიოს ქვეყნების ნაციონალური ტრადიციები. მიუხედავად ამისა, ტურისტების განთავსების სავარაუდო კლასიფიკაციას შესაძლოა ჰქონდეს 2.12 ნახ.-ზე ნაჩვენები სახე.



ნახ.2.12

დასავლეთის ქვეყნებში ტურისტული ბიზნესის სერტიფიკაციის საკითხით დაინტერესება დაიწყო 1970-იან წლებში, როდესაც წამოიჭრა საერთო კრიტერიუმის პოვნისა და შემუშავების საკითხი შეთავაზებული მომსახურების ხარისხის ურთიერთშესადარებლად, რამაც საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ISO 9000 სერიის საერთაშორისო სტანდარტებში.

მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე სასტუმროების დიფერენციაციის გათვალისწინებით შემუშავდა გარკვეული კრიტერიუმები – სასტუმროსათვის ერ-

თი, მოტელისათვის სხვა სახის და ა.შ. ამას განსაზღვრავს სასტუმროს მიერ გაწეული მომსახურების ნაკრები და ხარისხი, ვინაიდან მომსახურების სტილი და დონე დამოკიდებულია როგორც ჩამოყალიბებულ ტრადიციაზე, ასევე მომსახურე პერსონალის მიზანსწრაფვაზე შეინარჩუნოს იგი და ამავე დროს შეაგნოს მომსახურების ახალი სახეებით. იგულისხმება პერსონალის მანერები, თეთრეულის კომპლექტში შემავალი ერთეულების რაოდენობა, მათი გამოცვლის სიხშირე, სამეფო საწოლის არსებობა, ჯაკუზი, ლიფტის არსებობა და მისი მოძრაობის სიჩქარე და სხვ. მაგალითად, საშუალო კლასის სასტუმროს (2-3 ვარსკვლავიანს) აუცილებლად უნდა ჰქონდეს ლიფტი, რესტორანი, ბარი, ჰყავდეს უცხო ენაზე მოლაპარაკე პერსონალი და სხვ.

ზოგადად, ყველა სასტუმროში ხდება გარკვეული სახის მომსახურების ნაკრების შეთავაზება, რომელშიც შედის: განთავსებითი მომსახურება; კვების ორგანიზაცია; საყოფაცხოვრებო ხასიათის მომსახურებები და დასვენების ორგანიზაცია.

თანამედროვე ეტაპზე სასტუმროების კლასიფიკაციის რეგლამენტირება ხდება ეროვნებათშორის და ეროვნულ დონეზე, აგრეთვე სასტუმროების მსხვილი გაერთიანებების (ჰილტონი, შერატონი, აკორი, ჰოლიდეი, რედისონი, ფორტე, გრუპო სოლი და სხვ.) ჩარჩოებში. არსებული სხვადასხვა კლასიფიკაციებიდან ყველაზე გავრცელებულია:

- ვარსკვლავების სისტემა (1, 2, 3, 4, 5) – ფრანგული ეროვნული კლასიფიკაციის საფუძველზე;
- ასოითი სისტემა (A – B – C – D);
- ნომრების ღირებულება;
- ბალების (ქულების) მინიჭებული რაოდენობა;
- გვირგვინი ან გასაღები ვარსკვლავის ნაცვლად;
- ბრილიანტის რეიტინგი (2, 3, 4, 5).

დიდ ბრიტანეთში მიღებული ბრილიანტის რეიტინგი სხვა მოთხოვნებთან ერთად სასტუმროებისათვის ითვალისწინებს:

➤ 2 ბრილიანტი - კომფორტული, ავეჯით კარგად გაწყობილი ოტელი, სადაც ნომრის ღირებულება დღე-ღამეში არ აჭარბებს 45 ფუნტ სტერლინგს;

➤ 3 ბრილიანტი - კომფორტული, ავეჯით კარგად გაწყობილი, საშუალი დონის კეთილმოწყობით, რომელშიც აუცილებელია იყოს საუზმე "შვედური მაგიდის" სისტემით, ხოლო ნომრის ღირებულებაა დღე-ღამეში არა უმეტეს 75 ფუნტისა;

➤ 4 ბრილიანტი - ქალაქის საქმიან ნაწილში განლაგებული ოტელი, სავსებით კეთილმოწყობილი, მაღალი დონის მომსახურებით, ნომრის ღირებულებით 95-დან 135 ფუნტამდე;

➤ 5 ბრილიანტი - ოტელი იშვიათი არქიტექტურით, რომელიც განლაგებულია ქალაქის კულტურულ და საქმიან ცენტრში, კეთილმოწყობის და მომსახურების უნიკალურად ფართო არჩევანით, ნომრის ღირებულებით დღე-ღამეში 250 ფუნტამდე.

კატეგორიის მიუხედავად ყველა სასტუმრო უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. უნდა ჰქონდეს მოხერხებული მისასვლელი გზები აუცილებელი საგზაო ნიშნებით, კეთილმოწყობილი და განათებული ტერიტორია, მოედანი მყარი საფარით ავტოტრანსპორტის მცირე ხნით პარკირებისა და მანევრირებისათვის (მათ შორის ავტობუსების), აბრა სასტუმრო საწარმოს დასახელებით და კატეგორიის ჩვენებით, რესტორანში ცალკე შესასვლელის არსებობის შემთხვევაში - აბრა მისი დასახელებით. თუ სასტუმროს უკავია შენობის ნაწილი, მას უნდა ჰქონდეს ცალკე შესასვლელი;

2. სასტუმროს არქიტექტურულ-გეგმარებითი და სამშენებლო ელემენტები, ასევე გამოყენებული ტექ-

ნიკური მოწყობილობები უნდა შესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებსა და მოთხოვნებს;

3. სასტუმროს ადგილმდებარეობის ეკოლოგიური უსაფრთხოება გათვალისწინებული უნდა იყოს მისი მშენებლობისას;

4. სასტუმროში მცხოვრებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს სიცოცხლის უსაფრთხოება და ქონების დაცულობა. შენობაში უნდა იყოს აგარიული გახასვლელები, კიბეები, ადვილად შესამჩნევი საინფორმაციო მაჩვენებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუმრის ორიენტაციას როგორც ჩვეულებრივ, ასევე საგანგებო სიტუაციაში;

5. სასტუმრო ადჭურვილი უნდა იყოს ხანძარსა-წინააღმდეგო დაცვის სისტემით, შეტყობინების სამსახურით და სახანძრო უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული ხანძრისაგან დაცვის საშუალებებით;

6. სასტუმროში დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და წესები, რომლებიც დადგენილია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ორგანოების მიერ. კერძოდ, შენობის სისუფთავის, სანტექნიკური ადჭურვილობის მდგომარეობის, ნარჩენების მოცილების და მწერებისა და მღრღნელებისაგან ეფექტური დაცვის თვალსაზრისით;

7. ნებისმიერი ელექტრული, აირის, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო ადჭურვილობის დამონტაჟება და ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს შესაბამისი წესების მიხედვით;

8. სასტუმრო ადჭურვილი უნდა იყოს საინჟინრო სისტემებითა და ადჭურვილობებით, რაც უზრუნველყოფს:

- ცხელი და ცივი წყლით მომარაგებას დღე-ღამურად, ხოლო იმ რაიონებში, სადაც წყალმომარაგებაში წყვეტებია, უნდა იყოს რეზერვუარი წყლის მინიმალური მარაგისათვის (არა უმცირეს ერთი დღე-ღამისა);

- კანალიზაციის ფუნქციონირებას;
- გათბობას, რომელიც უზრუნველყოფს ტემპერატურას არა უმცირეს 18,5 °C საცხოვრებელ და საზოგადოებრივ სათავსებში;
- ბუნებრივ ან იძულებით ვენტილაციას, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ნორმალურ ცირკულაციას და გამორიცხავს გარეშე სუნის მოხვედრას ნომერსა და საზოგადოებრივ სათავსებში;
- რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის (მიყვანილი უნდა იყოს ყველა ნომერში) ფუნქციონირებას;
- სატელეფონო კავშირს;
- განათებას ნომერებში: ბუნებრივს (სულ მცირე ერთი ფანჯარა); ხელოვნურს, რომელიც უზრუნველყოფს 100 ლუქს განათებულობას ვარვარების და 200 ლუქსს ლუმინესცენტური ნათურით სარგებლობისას, ასევე ბუნებრივ ან ხელოვნურ განათებას დერეფნებში.

9. ახალი სასტუმროს დაგეგმარების ან ძველის რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული უნდა იყოს პირობები სავარძლის ან საგორავებიანი სავარძლის მომხმარებელი ინვალიდების მიღებისა და მომსახურებისათვის.

ამ მოთხოვნების შესაბამისად ყოველ სასტუმროს ენიჭება გარკვეული ვარსკვლავური კლასი 1-დან 5-მდე, ხოლო მოტელებს 1-დან 4 ვარსკვლავამდე. ყოველ ვარსკვლავურ კატეგორიას შეესაბამება გარკვეული პირობები, რომლებიც მოიცავენ ინფრასტრუქტურას, კომფორტულობის დონეს, პერსონალის კვალიფიკაციას, სერვისულ მომსახურებას და სხვ. მაგალითად, რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული სასტუმრო უნდა შეესაბამებოდეს ამ ქვეყნის სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ, სამვარსკვლავიანი სასტუმროსათვის ესაა:

- ცალკე შესასვლელები სტუმრებისა და პერსონალისათვის;

- დაცული ავტოსადგომი;
- ბარი, რესტორანი ან კაფე;
- ორმაგი შესასვლელი რესტორანში, როგორც ქუჩიდან, ასევე სასტუმროდან;
- სასტუმროს თითოეული ნომრის უზრუნველყოფა ტელევიზორით;
- ორი ან მეტი ოთახისაგან შემდგარი ნომრებისათვის მაცივრის არსებობა;
- საწოლის თეთრეულის გამოცვლა სულ მცირე სამ დღეში ერთხელ, ხოლო პირსახოცის ყოველდღიურად.

ხუთვარსკვლავიანი სასტუმროსადმი მოთხოვნები უფრო მკაცრია. მას უნდა გააჩნდეს:

- აუზის მქონე ფიტნეს ცენტრი;
- საბანკეტო დარბაზები;
- არა უმცირეს ორი რესტორანი;
- სადღეღამისო სამრეცხაოები, კიმწმენდა და ე.წ. room service-ები;

▪ მატერიალური მოწყობილობები აბაზანისათვის, ხალათი, ქოშები და სხვ.

▪ საწოლის თეთრეული აუცილებლად უნდა იცვლებოდეს ყოველდღე.

საბოლოოდ, სასტუმროს ესა თუ ის კატეგორია განისაზღვრება ძირითადი და დამატებითი მომსახურების ხასიათით და ორგანიზაციის დონით; განთავსების საბაზო დონით და მისი უზრუნველმყოფი მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალით; პერსონალის კვალიფიკაციის დონით და მომსახურების სისტემით.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, რომლის წევრი 1993 წლიდან საქართველოცაა, თავის საქმიანობაში იზღუდება მხოლოდ ცალკეული პარამეტრების გათვალისწინებით ვარსკვლავური კლასიფიკაციის შემოღებით. ეს პარამეტრებია: ოტელის მდებარეობა, ნომრების სიდიდე, დაგეგმარება, აღჭურვა, გარკვეული კეთილ-

მოწყობის არსებობა, მომსახურების შეთავაზებული კომპლექსი, ლიფტის არსებობა და მისი მოძრაობის სისწრაფე, დამატებითი სათავსების არსებობა და სხვ.

სასტუმროების კლასიფიკაციის შემდგომი დეტალიზება საკმაოდ რთულია სახელმწიფოების კულტურულ-ისტორიული განვითარების განსხვავებულობის, ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებების გამო, ვინაიდან წლის უმეტესი დროის განმავლობაში ოტელებში ცხოვრობენ თავისივე ქვეყნის მოქალაქეები და ისინი აფასებენ მის ხარისხობრივ პარამეტრებს. მაგალითად, გერმანიაში კარგ ოტელს უნდა ჰქონდეს სრულფასოვანი ეროვნული სამზარეულო, ღვინისა და ღვინის მრავალი ნაირსახეობა, ხოლო ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში ძალიან მნიშვნელოვანია კონდიციონერის არსებობა და ა.შ.

საერთაშორისო კორპორაცია „მსოფლოს ლიდერი ოტელები“ (The leading Hotels of the World LTD) რეგულარულად მუშაობს ოტელებში მომსახურების ხარისხის სისტემატიზაციის საკითხზე, რომელიც ეყრდნობა მნიშვნელოვანი სერვისული მომსახურების ერთობლიობას და განთავსების დონეს. ამ ორგანიზაციის წევრობა გულისხმობს ოტელის სერვისის უმაღლეს დონეს და მისი დაცვის პერიოდულ კონტროლს. მსოფლიოს საუკეთესო ოტელების აღწერა მოცემულია კორპორაციის გამოცემაში „ყოველწლიური ცნობარი“, სადაც ნაჩვენებია შენობების გარე ხედები, მოცემულია მათი აღწერა, მისამართები და ტელეფონები, მანძილი აეროპორტამდე, ნომრების (ღუქსი, ერთ და ორ ადგილიანი) რაოდენობა, ფასები (\$3000-მდე). გარდა ამისა მითითებულია გადახდისათვის დასაშვები საკრედიტო ბარათების სახეები, შეთავაზებული საუზმე: EP (European Plan - კვების გარეშე), CP (Continental Plan - კონტინენტალური საუზმე), MAP (Modified American Plan - ნახევრად პანსიონი), AP (American Plan - სრული პანსიონი). აუცილებლადაა მითითებული

რესტორნის ტიპი ან მისი მენიუ, ავტოგაქირავების, სპორტული ტრენაჟერების, აუზის არსებობა და სხვ. მომხმარებლისათვის შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურება აღინიშნება პიქტოგრამებით, რომლებიც მოცემულია 2.13 ნახაზზე.



თანამგზავრული ტელევიზია



აუზისპირა ბარი



მომსახურება ნომერში



ჯაკუზი



ღამის კლუბი



სამასაჟო



სამეფო საწოლი



მანქანის გაქირავება

ნახ.2.13. სასტუმროს მომსახურების პიქტოგრამები

სადღეისოდ საუკეთესო ოტელებია ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში, იაპონიაში.

2.9. კეთილშობილი ლითონების მარკირება

დაჟანგვისა და ქიმიური ნაერთებით ზემოქმედებისადმი მედეგობის, მაღალი ჭედადობის, სიბლანტის, დნობადობის და შედარებით მაღალი სიმტკიცის გამო კეთილშობილი ლითონი შესანიშნავი მასალაა საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად. კეთილშობილ ლითონებს განეკუთვნება ოქრო, ვერცხლი, პლატინა და აგრეთვე მათ საფუძველზე მიღებული შენადნობები. მალეგირებელი დანამატის სახით, რომელიც

სიმტკიცეს მატებს ნაკეთობას, გამოიყენება პალადიუმი და ირიდიუმი.

მეტრე I-ის მეფობისას რუსეთში გამოიკა ბრძანება „სინჯის კონტროლის ორგანიზების შესახებ“, რომელიც აწესებდა ოქროს 4 სინჯს: I – ხალასი; II – ჩვეულებრივი; III და IV ჩვეულებრივზე დაბალი. სინჯის გარანტირება ხდებოდა სახელმწიფო დალით, რომელიც ადასტურებდა ერთის მხრივ საიუველირო ნაკეთობის ფასეულობას, მეორეს მხრივ კეთილშობილი ლითონის შენადნობის ხარისხს.

სინჯების ძირითადი სახეებია: მისხლური (ЗОЛОТНИКОВАЯ), მეტრული და კარატული.

მისხლური სინჯი რუსეთში გამოიყენებოდა 1927 წლამდე და განისაზღვრებოდა კეთილშობილი ლითონის მისხლების რაოდენობით შენადნობის ფუნტში. ერთი მისხალი უდრიდა 4,266 გ ოქროს, ხოლო ერთი ფუნტი შეადგენდა 96 მისხალს ან 409,51 გ-ს.

მეტრული სისტემა სსრ კავშირში შემოიღეს 1927 წლიდან. ამ სისტემის მიხედვით სინჯს აღნიშნავენ კეთილშობილი ლითონის ნაწილების რიცხვით ლიგატურული შენადნობის 1000 ნაწილში (მასის მიხედვით). მეტრული სინჯი აღინიშნება სამნიშნა რიცხვით. მაგალითად, თუ ოქროს აქვს მეტრული სინჯი 583 ეს ნიშნავს, რომ 1000 გ შენადნობში 583 გ ქიმიურად სუფთა ოქროა, ხოლო დანარჩენი 417 გ ლიგატურული ლითონებია.

საიუველირო ნაკეთობებისათვის დადგენილია შემდეგი მეტრული სინჯები:

ოქროსათვის – 375; 500; 583; 585; 750; 958.

ვერცხლისათვის – 800; 875; 916; 960.

ხალას ლითონს შეესაბამება 1000-იანი სინჯი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში და შვეიცარიაში მიღებული კარატული სისტემის მიხედვით ლითონის 1000-იან სინჯს შეესაბამება 24 პირობითი ერთეული – კარატები.

2.6 ცხრილში ნიმუშის სახით მოცემულია ოქროს შენადნობების სინჯები

ცხრილი 2.6

სინჯის აღნიშვნის სისტემა			შენადნობის ფერი	ლიგატურის შედგენილობა	გამოყენების ძირითადი სფერო
შეტ-რული	მისხ-ლური	კარა-ტული			
958	92	23	ყვითელი	სპილენძი	ნიშნობის ბეჭედი
750	72	18	წითელი	სპილენძი, ვერცხლი	საიუველირო ნაკეთობა
			ყვითელი	სპილენძი, ვერცხლი	ფილიგრანის ნაკეთობა
				სპილენძი, ვერცხლი, ნიკელი	
			თეთრი	ნიკელი, თუთია, სპილენძი	ბრილიანტის ნაკეთობა
პალადიუმი, ვერცხლი, სპილენძი					
583	56	14	წითელი	სპილენძი, ვერცხლი	საიუველირო ნაკეთობა
			ყვითელი		
			მწვანე	ვერცხლი სპილენძი	საიუველირო ნაკეთობათა დეტალები
500	-	-	წითელი	სპილენძი, ვერცხლი	საიუველირო ნაკეთობა
			მკრთალი ყვითელი	ვერცხლი	ფილიგრანის ნაკეთობა
375	-	-	წითელი	სპილენძი, ვერცხლი	საიუველირო ნაკეთობა და საათების კორპუსები
			ვარდისფერი	ვერცხლი, პალადიუმი, სპილენძი	ნიშნობის ბეჭედი

კარატი გამოიყენება აგრეთვე როგორც ძვირფასი ქვების წონის ერთეული. იგი 0,2 გ-ის ტოლია და



ოქრო 375; 585; 750; 958



პლატინა 950



ვერცხლი 830; 875; 925; 960



პალადიუმი 500; 850

ნახ.2.17. „ბ“ ლიტერის დაღები

ოქროს ნაკეთობის მიწოდება ხდება პლომბზე მიმაგრებული ეტიკეტებით. გამონაკლისია ნაკეთობები, რომელთა კონსტრუქცია ეტიკეტის პლომბზე საიმედოდ მიმაგრების საშუალებას არ იძლევა. ასეთ შემთხვევაში ეტიკეტს დებენ ნაკეთობასთან ერთად ინდივიდუალურ ტარაში ან მასზე ამაგრებენ. ნაკეთობის წონის შემოწმება ხდება მაღაზიაში, ხოლო ნაკეთობაზე უნდა დამაგრდეს დამატებითი ეტიკეტი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. ოქროს ნაკეთობების ეტიკეტებზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული საწარმო დამამზადებლის დასახელება და შიფრი, არტიკული პრეისკურანტის მიხედვით, შენადნობის სინჯი, ნაკეთობის წონა გრამებში, სტანდარტის ნომერი, ფასი, ჩანასმის მახასიათებლები და ტექნიკური კონტროლის მუშაკის პირადი დაღი. საიუველირო საწარმის მიწოდება ხდება კოლოფებში. ტარის ეტიკეტზე მიუთითებენ ნაკეთობის ძირითად რეკვიზიტებს.

თუ მომხმარებელი ბანკში ყიდულობს კეთილშობილი ლითონის ზოდს, მან უნდა შეამოწმოს ზოდზე არსებული ქარხნული დაღი, რომელზეც მითითებული უნდა იყოს სინჯი, წონა, რიგითი ნომერი. ბანკის თანამშრომლებს აუცილებლად მოეთხოვებათ, რომ

ნაატარონ ზოდის საკონტროლო აწონა, შეამოწმონ ლითონის სისუფთავე. ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის დასრულებისას ბანკმა მყიდველს უნდა მისცეს:

- დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ზოდის წარმოშობას;

- საღაროს ჩეკი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ლითონის დასახელება, მასა, სისუფთავე, ნომერი, ზოდის ფასი, გარიგების თარიღი და მთლიანი გასახდელი თანხა (თუ გარიგების თანხა \$10000 აღემატება, რუსეთის კანონმდებლობით ბანკი მოვალეა აცნობოს საგადასახადო ინსპექციას, მყიდველის სურვილის მიუხედავად).

ოქროზე და სხვა ლითონებზე ფასის დადგენა ხდება ლითონის ბირჟის მიმდინარე კურსის შესაბამისად.

საზღვარგარეთული წარმოების ნაკეთობებს უნდა ჰქონდეთ დაღის ნაჭდევეები, ან თუ კანონმდებლობა არ თვალისწინებს მათ დადაღვას, უნდა ჰქონდეთ ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

იმპორტულ ოქროსაგან დამზადებულ ნაკეთობებს უნდა ეწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა "Gold" და მითითებული იყოს სინჯი კარატებში. თუ მარკირებაა "Gold field" ნიშნავს, რომ ნაკეთობა შედგება გარკვეული შენადნობისაგან და დაფრქვეული აქვს ოქრო. ამასთან მეწარმე მიუთითებს დაფრქვეული ოქროს სინჯს და დაფრქვევის სისქეს, მაგალითად, 20 ან 30 მკმ. თუ ამ ტიპის ნაკეთობა დამზადებულია გერმანიაში მარკირება იქნება "Goldmilt" - ოქროთი მოხატული.

3. ინფორმაციის შტრიხული კოდირება

საქონელბრუნვის პროცესი, როგორც ლიგისტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილი საჭიროებს საინფორმაციო უზრუნველყოფას.

საინფორმაციო ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პირველადი ინფორმაციის შეკრება ობიექტების, მოვლენების, თვისებებისა და სხვათა შესახებ. რაც უფრო ზუსტი და ოპერატიული იქნება ეს ინფორმაცია, მით უფრო ეფექტური იქნება კომპიუტერის მიერ დაგროვილი მონაცემთა დიდი მასივების გამოყენებით გაცემული ანალიზური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ხდება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება.

ნებისმიერი საწარმოსათვის მნიშვნელოვანია პროდუქციის მახასიათებლების, მისი წარმოშობის და სხვ. შესახებ ინფორმაციის არსებობა. გარკვეულ დრომდე ასეთი ინფორმაციის წყარო იყო სასაქონლო იარაღი, ეტიკეტი, ბირკა და სხვ. ასეთი სახით მიღებული ინფორმაციის დამუშავებისას კომპიუტერის გამოყენება არაეფექტურია, ვინაიდან კლავიატურიდან პირველადი ინფორმაციის ხელით შეყვანა სრულიად არ ეთანადება კომპიუტერის სწრაფქმედებას (მილიონობით ოპერაცია წამში) და სიზუსტეს (ადამიან-ოპერატორს წამში შეჰყავს სამი-ხუთი ნიშანი და შეცდომას უშვებს საშუალოდ ყოველ 300 შეყვანილ ნიშანზე), რაც აფერხებს კომპიუტერის გამოყენების ეფექტურობას.

ამიტომ, საჭირო გახდა იდენტიფიკაციის ახალი სისტემის დამუშავება, რომლის საშუალებით:

- ინფორმაცია კომპიუტერულ სისტემაში უნდა მოხვდეს იმავე დროს იმ ადგილიდან, სადაც წარმოიქმნება;

- ინფორმაციის შეყვანა უნდა ხდებოდეს აბსოლუტურად საიმედოდ;

- ინფორმაციის შეყვანისას უნდა გამოირიცხოს მონაცემთა ხელით აკრეფა;

- ადამიანის მონაწილეობა დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე.

კომპიუტერულ სისტემაში ინფორმაციის სწრაფად და ზუსტად შეყვანის ამ პირობებს აკმაყოფილებს შტრიხული კოდირების ტექნოლოგიის გამოყენება. იგი არის მონაცემთა ავტომატური იდენტიფიკაციის* ტექნოლოგიის სახესხვაობა.

ტერმინი „ავტომატური იდენტიფიკაციის ტექნოლოგია“ გულისხმობს ობიექტისადმი მიკუთვნებული განმასხვავებელი (მაიდენტიფიცირებელი) ნიშნების საფუძველზე ავტომატიზებული სისტემის მიერ ობიექტის შესახებ ინფორმაციის გამოცნობის მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობას. ავტომატურ იდენტიფიკაციას მიეკუთვნება აგრეთვე ტექნოლოგია, სადაც გამოიყენება რადიოეტიკეტი, მაგნიტური ზოლი, სმარტ-ბარათი, ოპტიკური განმასხვავებელი ნიშნები, მაგნიტური მელნის საფუძველზე ნიშნების გამოცნობა და სხვ.

შტრიხული კოდებით ობიექტის იდენტიფიკაციის გამოყენების სფეროა:

▪ სამრეწველო წარმოება (ავტომშენებლობასა და ელექტრონიკაში ანაკრები ერთეულების, მზა პროდუქციის, ხელსაწყოების და სხვათა იდენტიფიკაცია);

▪ საბითუმო და საცალო ვაჭრობა (საქონლის იდენტიფიკაცია, ბეჭდური გამოცემებისა და სამკურნალწამლო საშუალებების ჩათვლით);

▪ ტრანსპორტი და ფოსტა (ტვირთების, საფოსტო გზავნილების, სამგზავრო ბილეთებისა და ბარგის და ა.შ. იდენტიფიკაცია);

▪ მედიცინა (სისხლის პროდუქტების, დონორების, პაციენტების, ავადმყოფობის ისტორიების, საავადმყოფოს თეთრეულისა და ა.შ. იდენტიფიკაცია);

* იდენტიფიკაცია ნიშნავს ობიექტისათვის უნიკალური დასახელების, ნომრის, ნიშნის, პირობითი აღნიშვნის, ნიშანთვისების და ა.შ. მინიჭებას სხვა ობიექტისაგან მისი ცალსახად გამოყოფის მიზნით.

▪ საბიბლიოთეკო და საარქივო საქმე (ერთეულებებისა და შენახვის ადგილების, მომხმარებლების იდენტიფიკაცია);

▪ სასაწყობო მეურნეობა (ერთეულებისა და შენახვის ადგილების, მიმწოდებლებისა და მიმღებების, სასაწყობო დოკუმენტაციაში შეტყობინებების და სხვათა იდენტიფიკაცია);

▪ საქმისწარმოება (მომხმარებელთა იდენტიფიკაცია, პირადი შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია) და სხვ.

შტრიხული კოდი წარმოადგენს გარკვეული სიმბოლიკის* წესით განლაგებული მუქი (შტრიხები) და ღია (გამოტოვებები) სხვადასხვა სიგანის მართკუთხა ელემენტების თანამიმდევრობას, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა სიმბოლოების წარმოსახვას მანქანისათვის წასაკითხად მისადები სახით. მონაცემები შეიძლება იყოს ასოები, ციფრები და სპეციალური გრაფიკული სიმბოლოები, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებში.

ყველაზე ვიწრო ელემენტის (შტრიხის ან გამოტოვების) სიგანე მიჩნეულია როგორც ძირითადი ზომამოდული. ნებისმიერი ელემენტის სიგანე უნდა იყოს მოდულის ჯერადი ან დაცული უნდა იქნეს მუდმივი ფარდობა განიერსა და ვიწრო ელემენტებს შორის.

შტრიხებისა და გამოტოვებების გარკვეული კომბინაცია ქმნის *შტრიხული კოდის ნიშნების* ნაკრებს. მაგალითად, სიმბოლიკაში „კოდი 39“ შტრიხული კოდის ყოველი ნიშანი შედგება 9 ელემენტისაგან (სამი განიერი და ექვსი ვიწრო) და უნდა შეიცავდეს ხუთ შტრიხსა და ოთხ გამოტოვებას (ნახ.3.1). შტრიხული კოდის ნიშანს (შტრიხებისა და გამოტოვებების კომ-


* სიმბოლიკა მონაცემების შტრიხული კოდის სახით წარმოსახვის სტანდარტული სქემაა.

ბინაციას) შეესაბამება მონაცემების ნიშანი ან სპეციალური ნიშანი.

კოდირებული ნიშნები	ორბითი წარმოსახვა
0 ■■■■	000110100
1 ■■■■	100100001
2 ■■■■	001100001
.....
A ■■■■	100001001
B ■■■■	001001001
C ■■■■	101001000
.....
· ■■■■	010010100
S ■■■■	010101000
/ ■■■■	010100010
.....

ნახ.3.1. სიმბოლიკა „კოდი 39“-ის შტრიხული კოდის ნიშანი

მარცხნიდან მარჯვნივ განლაგებული შტრიხული კოდის ნიშნების ერთობლიობას, რომელიც იწყება ნიშნით „დასაწყისი“, მთავრდება ნიშნით „დასასრული“ და შემოსაზღვრულია საწყისი და საბოლოო თავისუფალი მინდვრებით ეწოდება შტრიხული კოდის სიმბოლო (ნახ.3.2). ესაა დამთავრებული გრაფიკული ობიექტი, რომელიც უნდა ამოიკითხოს მანქანამ.



ნახ.3.2. შტრიხული კოდის სიმბოლო

სიმბოლოების ასეთი სტრუქტურა დამახასიათებელია წრფივი შტრიხული კოდების სიმბოლიკისათვის, სადაც სიმბოლოები ფორმირდება შტრიხული კოდის სიმბოლოს ნიშნების ერთი სტრიქონით (მაგალითად, „კოდი 39“, „კოდი 128“ და სხვ.).

მრავალსტრიქონიან სიმბოლოში (ნახ.3.3), რომელიც შედგება სიმბოლოს ნიშნების ორი ან მეტი კო-



ნახ.3.3. მრავალსტრიქონიანი სიმბოლო

რიზონტალური რიგისაგან (მაგალითად, „კოდი 49“, „16K“ და სხვ). თითოეული სტრიქონისათვის შენარჩუნებულია ზემოთ აღწერილი სტრუქტურა, ხოლო შტრიხული კოდის სიმბოლო წარმოადგენს ვერტიკალური თავისუფალი მინდვრებით შემოსაზღვრული სტრიქონების ერთობლიობას.

შტრიხული კოდების სიმბოლოების ამოკითხვა ხდება სპეციალური შუქტექნიკური ხელსაწყოთი – სკანერით, რომელიც ასხივებს სინათლის ნაკადს და შემდეგ აანალიზებს მის ანარეკლს. არეკვლილი სხივი შტრიხებისა და გამოტოვებების სიგანისა და არეკვლის უნარის შესაბამისად გარდაიქმნება სხვადასხვა ძალის ელექტრულ სიგნალად. სპეციალური მოწყობილობით (დეკოდერით) ეს სიგნალები გადაიყვანება მანქანური წარმოსახვის ციფრებად, ასოებად ან მონაცემების სხვა სიმბოლოებად და ავტომატურად შედის კომპიუტერში.

შტრიხული კოდირების ტექნოლოგია ზოგადად შეიცავს შემდეგ ოპერაციებს:

- ობიექტის იდენტიფიკაცია ციფრული, ასოითი ან ასოითი-ციფრული კოდის მინიჭებით;
- კოდის წარმოსახვა შტრიხების სახით განსაზღვრული სიმბოლიკის გამოყენებით;
- შტრიხული კოდების განთავსება ფიზიკურ მატარებლებზე (საქონელზე, ტარაზე, საფუთავზე, ეტიკეტზე, დოკუმენტებზე);
- შტრიხული კოდების ამოკითხვა;


▪ შტრიხული კოდების დეკოდირება მანქანური წარმოსახვის ციფრულ, ასოით და ასოით-ციფრულ მონაცემებად და კომპიუტერზე მათი გადაცემა.

ამ ოპერაციების შესრულება ხდება სტანდარტული წესების, ნორმების და მოთხოვნების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ თავსებადობას.

შტრიხული კოდები ფართოდ გამოიყენება საერთო მოხმარების საქონლის წარმოების და რეალიზაციისათვის, რაც შესაძლებელს ხდის საქონლის წარმოებისა და გაყიდვის აღრიცხვის ავტომატიზებას, მომხმარებლის მომსახურების სისწრაფისა და კულტურის ამადლებას, მიღებული და გაყიდული საქონლის ოპერატიულ აღრიცხვას ყოველ მაღაზიაში, სექციაში, საწყობში და სხვ.

ვაჭრობაში კოდირების ძირითადი ობიექტია საქონელი. მისი კონკრეტული ერთეული, რომელიც განსხვავდება ფასით, მასით, ზომით, ფერით და სხვ. ცალსახად იდენტიფიცირდება მისთვის უნიკალური ციფრული კოდის მინიჭებით. ეს საშუალებას იძლევა ჩატარდეს ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავება საქონლის ცალკეულ ასორტიმენტზე ანუ კოდის მიხედვით ცალსახად განისაზღვროს საქონლის ფასი და მისი სამომხმარებლო მახასიათებლები, რომლებიც წინასწარ შეყვანილია ეგმ-ში. საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდაა გავრცელებული კოდი EAN (European Article Numbering), რომელიც შექმნილია საერთაშორისო ასოციაცია EAN -ის მიერ (ბრიუსელი). ესაა 13 ან 8 თანრიგიანი ციფრული კოდი, წარმოდგენილი სხვადასხვა სიგანის შტრიხებითა და გამოტოვებებით (ნახ.3.4).

13-თანრიგიანი კოდი შეიცავს: იმ ქვეყნის კოდს, რომლის საწარმომაც მოახდინა საქონლის კოდირება; საკუთრივ საქონლის კოდს; საკონტროლო რიცხვს.



ნახ.3.4. EAN -ის 13 თანრიგიანი შტრიხული კოდის სტრუქტურა

ქვეყნის კოდის გაცემა ხდება ცენტრალიზებულად, ასოციაცია EAN –ის მიერ. ზოგიერთი ქვეყნის კოდი მოცემულია 3.1 ცხრილში.

ცხრილი 3.1

ქვეყნის კოდი	ქვეყანა	ქვეყნის კოდი	ქვეყანა	ქვეყნის კოდი	ქვეყანა
93	ავსტრალია	50	ინგლისი	520	საბურძნეთი
90-91	ავსტრია	539	ირლანდია	30-37	საფრანგეთი
779	არგენტინა	569	ისლანდია	880	სამხრეთ
00-09	აშშ და კანადა	729	ისრაელი		კორეა
94	ახალი ზელანდია	80-83	იტალია	888	სინგაპური
54	ბელგია და ლუქსემბურგი	860	იუგოსლავია	383	სლოვენია
380	ბულგარეთი	529	კვიპროსი	599	უნგრეთი
789	ბრაზილია	850	კუბა	64	ფინეთი
400-440	გერმანია	750	მექსიკა	859	ჩეხეთი
57	დანია	87	ნიდერლანდი	780	ჩილე
84	ესპანეთი	70	ნორვეგია	690	ჩინეთი
759	ვენესუელა	590	პოლონეთი	73	შვედეთი
869	თურქეთი	560	პორტუგალია	76	შვეიცარია
45-49	იაპონია	460-490	რუსეთი	489	ჰონკონგი

ცხრილიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ქვეყნისათვის გამოყოფილია კოდების დიაპაზონი, მაგალითად, საფრანგეთისათვის 30-37. ზოგიერთ ქვეყანას საშუალება ეძლევა ქვეყნის ორთაწრივ კოდის დეტალიზებისა შესამე თანრიგზე, მაგალითად, რუსეთის კოდი შეიძლება დეტალიზებულ იქნეს შესამე თანრიგზე დიაპაზონში 460-490 (ამ შემთხვევაში საწარმო-დამამზადებლის კოდირებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ოთხი თანრიგის გამოყენება). ზოგი ქვეყნისათვის გამოყოფილია ქვეყნის სამ თანრიგიანი კოდები, მაგალითად, არგენტინა 779.

ქვეყნის ციფრული კოდი ერთადერთი ინფორმაციაა შტრიხულ კოდში, რომელიც შეიძლება ჩამონათვალის ასებობისას შემოწმდეს ვიზუალურად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოდით ყოველთვის არ ხერხდება საქონლის დამამზადებელი ქვეყნის იდენტიფიცირება.

შტრიხული კოდის შემდეგი ხუთი (ან ოთხი) ციფრის - საწარმოს კოდის მინიჭება ხდება კონკრეტული საწარმოსათვის ცენტრალიზებულად ქვეყნის ნაციონალური ორგანოს მიერ. როგორც წესი, ესაა საქონლის დამამზადებელი. თუმცა შესაძლოა, რომ ეს იყოს საბითუმო ან საცალო ვაჭრობის საწარმო.

მომდევნო ციფრებს - საქონლის კოდს, საწარმო ირჩევს დამოუკიდებლად, ამასთან საქონლის საკლასიფიკაციო ნიშნების გამოყოფა მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ.

ბოლო მე-13 თანრიგი წარმოადგენს საკონტროლო ციფრს და გამოიყენება სკანერით შტრიხული კოდის ამოკითხვის სისწორის შესამოწმებლად. შემოწმება ხდება ავტომატურად EAN-ის ალგორითმის მიხედვით.

ალგორითმს აქვს შემდეგი სახე:

1. შეიკრიბოს შტრიხულ კოდში ლუწ ადგილებზე მდგომი ციფრები;


2. მიღებული ჯამი გამრავლდეს სამზე;

3. შეიკრიბოს შტრიხულ კოდში კენტ ადგილებზე მდგომი ციფრები (გარდა საკონტროლო ციფრისა);

4. შეიკრიბოს მე-2 და მე-3 პუნქტებში მიღებული რიცხვები;
 5. ჩამოსცილდეს ათეულები;
 6. გამოაკლდეს 10-ს მე-5 პუნქტში მიღებული რიცხვი.
- მიღებული შედეგი უნდა ემთხვეოდეს საკონტროლო ციფრს.

როგორც 3.4 ნახ.-დან ჩანს შტრიხული კოდის თავსა და ბოლოში მოთავსებულია დაგრძელებული განაპირა შტრიხები, რომლებიც მიუთითებენ სკანირების დაწყებასა და დამთავრებაზე (სკანერმა აღიქვა მთელი კოდი). ცენტრალური დაგრძელებული შტრიხები კოდს ყოფენ ორ ნაწილად, რაც აადვილებს კოდის ჩაწერის სისრულის ვიზუალურ შემოწმებას. ზომები, რომლებიც ნახაზზეა მითითებული შეესაბამება საქონლის ეტიკეტზე არსებული შტრიხული კოდების მაქსიმალურ ზომებს.

კოდი EAN-8 (ნახ.3.5) არის კოდი EAN-13-ის შემოკლებული მოდიფიკაცია და გამოიყენება მცირე ზომების მქონე საქონლისათვის.



ნახ.3.5. EAN-ის 8 თანრიგიანი შტრიხული კოდის სტრუქტურა

შტრიხული კოდების სიმბოლიკების გამოყენება რეგლამენტირებულია საერთაშორისო და ნაციონალური სტანდარტებით. მაგალითად, ევროპული სტანდარტების კომპლექსით „შტრიხული კოდირება“ იდენტიფიცირებულია 18 სხვადასხვა სიმბოლიკა, მათ შორის „კოდი ორი ხუთიდან“, „კოდი ორი ხუთიდან მონაცვლეობითი“, „კოდი 39“, „კოდი 128“, „კოდი 11“, „EAN/UPC“, „კოდი PDF 417“ და სხვ. კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისას გამოიყენება რომელიმე მათგანი.

ჩამოთვლილი კოდებიდან უმეტესი სწორხაზოვანია, თუმცა ბოლო დროს მეტწილად გამოიყენება მრავალსტრიქონიანი კოდები. მათში შტრიხის სიმაღლის შემცირებისა და მისი რამდენიმე რიგად განლაგების ხარჯზე მიიღწევა ხაზოვანთან შედარებით ინფორმაციის სიმკვრივის გადიდება.

მრავალსტრიქონიანი შტრიხული კოდებით შესაძლებელია დოკუმენტის ტექსტის წარმოდგენა კომპაქტური, მანქანურად წასაკითხი ფორმით და გამოიყენება მედიცინაში (ავადმყოფობის ისტორიების, სისხლის პროლუქტების მახასიათებლების წარმოსადგენად და სხვ.), პირადი შემადგენლობის დოკუმენტების აღსარიცხავად (პირადობის მოწმობა, საშვი), საარქივო საქმეში (დოკუმენტის ტექსტის წარმოსახვა) და სხვ.

შტრიხული კოდების ძირითადი მახასიათებლებია:

- კოდირებული ნიშნების ნაკრები (ციფრული, ასოით-ციფრული);

- კოდის ტიპი – უწყვეტი (ნიშნებს შორის ინტერვალის გარეშე) და წყვეტილი (ნიშნებს შორის ინტერვალით);

- მოდულის დასაშვები ზომების დიაპაზონი;

- ნიშნების სიმკვრივე – ნიშნების რაოდენობა ხაზოვანი კოდის 1 სმ სიგრძეზე ან მრავალსტრიქონიანი შტრიხული კოდის 1 სმ²-ზე;

- შტრიხული კოდის სიმბოლოს სიგრძე - მუდმივი ან ცვლადი;

- სიმბოლოს საკონტროლო ნიშნის არსებობა, რომელიც გამიზნულია შტრიხული კოდის წარმოსახვისა და ამოკითხვის სისწორის შესაფასებლად;

- ნიშნის თვითკონტროლი - მაკონტროლებელი ალგორითმის არსებობა, რომელიც ამოწმებს ცალკეული ნიშნის კოდირების სისწორეს;

- ამოკითხვის მიმართულების შეუზღუდაობა - კოდის ამოკითხვის შესაძლებლობა ნებისმიერი მიმართულებით, მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ.

კოდის არჩევისას გარდა აღნიშნული მახასიათებლებისა, საჭიროა მისი ოპტიკური პარამეტრების ცოდნა, რომლებიც გავლენას ახდენენ განთავსებისა და ამოკითხვის ხარისხზე. შტრიხული კოდის სიმბოლოს ამოკითხვა შესაძლებელია მაშინ, როცა ის ეთანადება გარკვეულ ოპტიკურ მოთხოვნებს და ამოკითხვის მოწყობილობა შესაბამისადაა გამართული.

შტრიხული კოდების სიმბოლიკა მრავალფეროვანია, ხასიათდება სხადასხვა შესაძლებლობებით, ამიტომ, მათი აგების წესებისა და მახასიათებლების განმსაზღვრელი სტანდარტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შტრიხული კოდების გამოყენების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

1996-1997 წლებში რუსეთში საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე შეიქმნა სტანდარტები, რომლებიც ადგენენ მოთხოვნებს შემდეგი შტრიხული კოდების სიმბოლიკისადმი: „ორი ხუთიდან მონაცვლეობითი“, „კოდი 39“, „კოდი 128“ და „PDF 417“.

სიმბოლიკა „ორი ხუთიდან მონაცვლეობითი“ შეიქმნა 1972 წ. იგი გამიზნულია მხოლოდ ციფრული მონაცემების კოდირებისათვის. სიმბოლიკის დასახელება ასახავს მის სტრუქტურას - ყოველი ნიშანი

შედგება ხუთი ელემენტისაგან (შტრიხების ან გამოტოვებისაგან), რომელთაგან ორი განიერია. ციფრული მონაცემების კოდირება ხდება წყვილ-წყვილად, წყვილის უფროსი თანრიგისა – შტრიხებით, უმცროსისა – გამოტოვებებით, საკოდირებელ რიცხვებს უნდა ჰქონდეთ თანრიგების ლუწი რაოდენობა. კოდი “ორი ხუთიდან მონაცვლეობითი” უწყვეტია, ახასიათებს დეკოდირების ორმიმართულიანობა და თვითკონტროლირებადია. გამოიყენება ავიაგადაზიდვების საერთაშორისო სისტემაში ავიაბილეთებისა და ბარგის კოდირებისათვის, ვაჭრობის სისტემაში, სასაწყობო მეურნეობაში და სხვ., რეკომენდებულია ხაოიანი ან გოფირებული გარე ზედაპირების მქონე სატრანსპორტო კონტეინერებისათვის.

სიმბოლიკა „კოდი 39“ შეიქმნა 1975 წ., ვინაიდან საჭირო გახდა შტრიხული კოდირების შესაძლებლობის გაფართოება ათი ციფრიდან სრულ ლათინურ ალფაბეტამდე სიმბოლიკის დასახელება ასახავს კოდის სტრუქტურას. ყოველი ნიშანი შედგება ცხრა ელემენტისაგან, რომელთაგან სამი განიერია. კოდი უწყვეტია, ორმიმართულებიანი, თვითკონტროლირებადი, უზრუნველყოფს მონაცემთა ნიშნების (26 ლათინური ასო, 10 ციფრი, 7 სპეციალური ნიშანი) და ნიშნების „დასაწყისი“ და „დასასრული“ კოდირებას.

ამ სიმბოლიკას თვლიან საიმედოდ, შესაძლებელია გამოიყენებოდეს საკონტროლო ნიშნის გარეშე და ამიტომ ხშირად სარგებლობენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიჩნეულია თავდაცვის სამინისტროსა და სამთავრობო შტრიხული კოდის სტანდარტულ სიმბოლიკად. არასამთავრობო დონეზე მას იყენებს მრავალი საწარმოო და სატრანსპორტო ასოციაცია: NEMA (ელექტროხელსაწყოების მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია), EIA (ელექტრონული მრეწველობის ასოციაცია) და სხვ. ამ კოდითვე სარგებლობენ სხვადასხვა ევროპული ორგა-

ნიზაციები: EDIFICE (კომპიუტერებსა და ელექტრონიკაში ტელესაკომუნიკაციო მონაცემების სამიმოცვლო ორგანიზაცია); ODETTE (საავტომობილო მრეწველობაში ტელესაკომუნიკაციო მონაცემების სამიმოცვლო ორგანიზაცია) და სხვ. იგი რეკომენდებულია საწარმოო და სატრანსპორტო იარაღების დასაბუქდად

სიმბოლიკა „კოდი 128“ შემოღებულ იქნა 1981 წ. მისი საშუალებით წარმოისახება ინფორმაციის დამუშავების სისტემებში გამოყენებული ყველა 128 სიმბოლო, რომელთა კოდირება ხდება 7 თანრიგიანი კოდით და რეგლამენტირებულია სტანდარტით ISO 646 „საინფორმაციო ტექნოლოგიები“.

„კოდი 128“ გამოიყენება საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში, მაგალითად, ფარმაცევტულ მრეწველობაში, სერიული სატრანსპორტო ტარის აღსანიშნავად და სხვ.

სიმბოლიკა „კოდი PDF 417“ შემოღებულ იქნა 1993 წ. ფირმა „Symbol technologies“-ს მიერ და მიზნად ისახავდა ზემკვირვი ორგანზომილებიანი კოდის შექმნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა 4 კილობაიტამდე* მოცულობის მონაცემთა პორტატული ნაკრების (portable data file - PDF) გამობეჭდვა ერთ შტრიხულ კოდში. მისი გამოყენება შესაძლებელია სისტემებში, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კომპიუტერულ ქსელებთან ან ქსელი მიუწვდომელია. ტრადიციული წრფივი კოდებისაგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენენ გასაღებს მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად, „კოდი PDF 417“ თვითონ შეიცავს ამ ინფორმაციას მანქანისათვის ამოსაკითხი ფორმით.

კოდს იყენებენ მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, მედიცინაში პაციენტის სამკურნალო ბარათში მონაცემების კოდირებისათვის, სარეჟიმო

* ინფორმაციის ერთეული, 1კილობაიტი=10³ ბაიტს.

ორგანიზაციებში მოწმობების და საშვების კოდირებისათვის და სხვ.

ზოგადად სომბოლიკები იყოფა ორ ჯგუფად: *სასაქონლო* და *ტექნოლოგიური*.

სასაქონლო შტრიხული კოდი გამოიყენება საწარმოო საქონლის იდენტიფიკაციისათვის. მას შეიმუშავეს EAN -ი.

ტექნოლოგიური შტრიხული კოდი გამოიყენება EAN-ის კოდთან ერთად და შესაძლოა მიუთითებდეს: ტიპს, სერიულ ნომერს, საგარანტიო ტალონის ნომერს და ა.შ. უფრო ხშირად გამოიყენება შენახვის ადგილის, ტარის, დეტალების, კვანძების, მასალების საიდენტიფიკაციოდ.

შტრიხული კოდირების ტექნოლოგიის რეალიზაცია ხდება სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით, რომელთა დანიშნულებაა: შტრიხული კოდის განთავსება; შტრიხული კოდის ამოკითხვა; მონაცემების შეკრება და დაგროვება; მონაცემების გადაცემა. მოწყობილობების უმეტესობა უზრუნველყოფს ერთდროულად რამდენიმე ოპერაციის შესრულებას. მაგალითად, ელექტრონული სავაჭრო სასწორი, რომელიც უზრუნველყოფს აწონას, შტრიხული კოდის მქონე ეტიკეტის ბეჭდვას, კლავიატურიდან ინფორმაციის შეყვანას, მონაცემების დაგროვებასა და ქსელის საშუალებით მის გადაცემას.

საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილია საფუთავზე შტრიხული კოდის განთავსებისადმი მოთხოვნები, კერძოდ:

- საქონლის ერთეულ შეფუთვას უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი შტრიხული კოდი;

- მასობრივი პროდუქციის კოდირებამდე აუცილებელია შტრიხული კოდის განთავსების ხარისხის შემოწმება;

- შტრიხული კოდის მატარებელი ორიგინალ-აფსკით შესაძლებელი უნდა იყოს გამოტოვებისა

და შტრიხების მკაფიოდ აღწარმოება და გადიდებისას არ უნდა წარმოიქმნას დამახინჯებები;

- საფუთავზე გადატანილი კოდის ზომა უნდა შეადგენდეს საბაზო გამოსახულების 80-დან 200%-ს;

- შტრიხული კოდი ისე უნდა განთავსდეს, რომ არ დაამახინჯოს საფუთავის მიმზიდველობა და საქონლის გარე ხედი;

- ძირითადად, შტრიხული კოდი უნდა განთავსდეს საფუთავის მარჯვენა ქვედა კუთხეში;

- მანძილი შტრიხული კოდიდან საფუთავის კიდებამდე არ უნდა იყოს 20 მმ-ზე ნაკლები;

- შტრიხული კოდის დატანა უნდა ხდებოდეს შავი, ლურჯი, მუქი მწვანე ან მუქი ყავისფერი საღებავებით (წითელი და ყვითელი საღებავის გამოყენება დაუშვებელია);

- ფონის სახით უმჯობესია თეთრი, თუმცა დასაშვებია ყვითელი, ნარინჯისფერი და ღია ყავისფერი;

- ფონზე არ დაიშვება ნახატი, ტექსტი, ხაზები და პერფორაცია.

შტრიხული კოდის განსათავსებლად უმეტესად გამოიყენება პრინტერი, რომელიც უზრუნველყოფს ეტიკეტების ოპერატიულ დამზადებას.


არსებობს მატრიცული, თერმოგრაფული, ლაზერული პრინტერები, რომლებიც იყენებენ შტრიხული კოდების სხვადასხვა სიმბოლიკას. ისინი გასხვავდებიან მწარმოებლურობით (15000-მდე ეტიკეტი საათში), გაბარიტული ზომებით, წონით და დიზაინით.

შტრიხული კოდების ამომკითხავი მოწყობილობები (სკანერები) პირობითად შესაძლოა დაიყოს ორ ჯგუფად: ამომკითხავი (ჩაშენებული დეკოდერის გარეშე) და ჩაშენებული დეკოდერით. ელექტროქსელთან მიერთებულის გარდა გამოიყენება ავტონომური ხელის ამომკითხავები (ბატარეებზე).

ჭვრიტიანი ამომკითხავი (ნახ.3.6) გამოიყენება შტრიხების ან მაგნიტური კოდის მქონე ბარათების

ამოსაკითხავად, რომლითაც სარგებლობენ პერსონალური იდენტიფიკაციის სისტემებში (მიწვდომის კონტროლისას, სატაბელო აღრიცხვისათვის, უნაღდო ანგარიშსწორებისათვის და სხვ.)


ხელის მოწყობილობებიდან ყველაზე მარტივია ამომკითხავი ფანქარი (ნახ.3.7). მასში გამოყენებულია კოდების ამოკითხვის კონტაქტური მეთოდი. გამოიყენება დოკუმენტების, ნაკეთობების, საქონლის, ლაბორატორიული სინჯების და სხვ. რეგისტრაციისათვის. 3.8 ნახ.-ზე ნაჩვენებია სხვა ტიპის სკანერები.



ნახ.3.6. ჭკრიტიანი ამომკითხავი



ნახ.3.7. ამომკითხავი ფანქარი



ნახ.3.8. სკანერები

ინფორმაციის შემკრებ მოწყობილობებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შტრიხული კოდირების ტექნოლოგიაში. მათ მიეკუთვნება ტერმინალები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკანერით ამოკითხული შტრიხული კოდების შეკრებას.

ტერმინალებს ჩაშენებული სკანერითა და კომპიუტერით აქვს კლავიატურა და დისკლეი, ამიტომ გარდა შტრიხული კოდის ამოკითხვისა, შესაძლებელია კლავიატურიდან დამატებითი ინფორმაციის შეყვანა, რომელიც შესაძლოა შემოწმდეს ვიზუალურად დისკლეის საშუალებით. საბოლოოდ შეკრებილი ინფორმაცია გადაეცემა საქსელო ეგმ-ს.

არსებობს მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ შტრიხული კოდირების ოპერაციის რეალიზაციისათვის საჭირო ოპერაციების კომპლექსს. მაგა-

ლითად, ეტიკეტ-პისტოლეტის სახის ხელის პორტა-
ტული მოწყობილობა. იგი აღჭურვილია ღაზურული
სკანერით, ასოით-ციფრული კლავიატურით, ენერგო-
დამოუკიდებელი მეხსიერებით, და თერმოგრაფული
პრინტერით, რომელიც ამზადებს ეტიკეტებს შტრი-
ხული კოდით.

ინფორმაციის გადაწოდი მოწყობილობების
ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ კონტროლერები,
რომლებიც ახორციელებენ არა მხოლოდ ინფორმა-
ციის შეკრებას პერიფერიული მოწყობილობებიდან,
არამედ მათ გადაცემას კომპიუტერზე. მათ აქვთ
სტანდარტული ინტერფეისი, რაც უზრუნველყოფს
პერიფერიულ მოწყობილობებთან და კომპიუტერთან
ურთიერთქმედებას.

შტრიხული კოდირების ტექნიკური საშუალებე-
ბის მუშაობისათვის აუცილებელია სახარჯი მასა-
ლები. პირველ რიგში ესაა სხვადასხვა ზომის ქაღალ-
დი პრინტერისათვის, სხვადასხვა ფორმატის თვით-
წებვადი ეტიკეტები და სხვ. სახარჯი მასალების ხა-
რისხზე დამოკიდებულია შტრიხული კოდების ხარის-
ხი, მათი საიმედოობა და ხანგამძლეობა. ცხადია, რომ
მოთხოვნები სახარჯი მასალებისადმი რეგლამენტირე-
ბული უნდა იყოს სახელმწიფო სტანდარტებით.

შტრიხული კოდირების ტექნოლოგია უნდა ემყა-
რებოდეს საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონი-
ზებულ სახელმწიფო სტანდარტებს.
საერთაშორისო სტანდარტებით რეგლამენტირე-
ბულია:

- ტერმინები და განმარტებები, აგების წესები, შტრიხული კოდირების სიმბოლიკისადმი მოთხოვნები;
- შტრიხული კოდების განთავსების ხარისხი-
სადმი მოთხოვნები და შტრიხული კოდების ხარისხის
კონტროლის მეთოდები;

- საქონელზე, ტარაზე, შესაფუთზე, ეტიკეტებზე იარლიყებზე და დოკუმენტებში შტრიხული კოდების განთავსებისადმი მოთხოვნები;

- შტრიხული კოდირების ტექნოლოგიაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებებისადმი მოთხოვნები და მათი გამოცდის მეთოდები;

- მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში შტრიხული კოდების გამოყენებისადმი მოთხოვნები.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სფეროში გამოყენებული შტრიხული კოდებისადმი მოთხოვნები რეგლამენტირებული უნდა იყოს სახელმწიფო ან მეწარმე სუბიექტების სტანდარტებით.

რუსეთში შტრიხული კოდირების საკითხზე მუშაობს ავტომატური იდენტიფიკაციის საგარეო ეკონომიკური ასოციაცია (ЮНИСКАН) მისი ამოცანაა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს საქონლის შტრიხულ კოდირებასა და ავტომატიზებულ იდენტიფიკაციაში. ЮНИСКАН-ი წარადგენს რუსეთისა და დსთ-ში შემაგალი ქვეყნების ინტერესებს EAN-ში, აქვს უფლება დაამუშაოს რუსეთის საწარმოებისათვის ციფრული კოდები EAN-ის სისტემით და შეიტანოს ისინი თავის მონაცემთა ბაზებში. საწარმოებს უფლება აქვთ გამოიყენონ მხოლოდ ЮНИСКАН -ის მიერ რეგისტრირებული შტრიხული კოდები.

4. სასაქონლო ნიშანი

4.1. სასაქონლო ნიშნის წარმოშობა და განვითარება

სასაქონლო ნიშანი საბაზრო ეკონომიკის პროდუქტია. იგი ეყრდნობა იმ ქვეყნის კულტურულ და ეროვნულ ტრადიციებს, რომლის საქონლის იდენტიფიცირებისა და რეკლამირების მიზნითაც შეიქმნა. ვინაიდან საბაზრო სისტემა აგებულია კონკურენციის პრინციპზე, სასაქონლო ნიშანი პროდუქციის და მისი გამომშვეები ფირმის იდენტიფიკატორის როლს ასრულებს და საბოლოოდ როგორც ფირმის, ისე საქონლის დიფერენციალური უპირატესობების რეალიზებას ემსახურება. ფაქტიურად მისი საშუალებით ხდება ნაკეთის იდენტიფიკაცია ერთადერთი სიტყვის ან პირობითი აღნიშვნის საშუალებით.

საქონლის მარკირების ისტორიას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თავისი ეროვნული ფესვები და თავისებურებები ახასიათებს, მაგრამ ავტორების უმეტესობა თვლის, რომ საქონლის მარკირების უძველესი ნიმუშებია დაღები ნინევიის აგურებზე, ძველ-ბერძნულ კერამიკაზე და რომის წყალგაყვანილობის მილებზე.

საკუთრების ისტორიულმა დაყოფამ კერძო და საზოგადოებრივ საკუთრებად საჭირო გახადა განმასხვავებელი აღნიშვნების ე.წ. „ტამგების“ შექმნა. მათი საშუალებით ხდებოდა ამა თუ იმ მესაკუთრის ქონების გამორჩევა. აღნიშვნებს ამოწვავდნენ ცხოველების (ცხენების, ძროხების) სხეულზე, ჭრიდნენ წვრილფეხა საქონლის ყურებზე, ტვიფრავდნენ თიხის ჭურჭელზე. მიწათმფლობელის საზღვრის ან სახელმწიფო საზღვრის აღსანიშნავად აღნიშვნებს ჭრიდნენ ქვებზე, ხეებზე, ბოძებზე.

სხვადასხვა ავტორები თვლიან, რომ საქონლის დადაღვა – საკმოდ ძველი ჩვეულება, გამოსახულია

ძველ ეგვიპტურ ბარელიეფებზე. ევროპის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული დადაღვის პრაქტიკა კონკისტადორების მეშვეობით გავრცელდა ამერიკის კონტინენტზე. ამ პერიოდის ემბლემები, დაღებზე ასოების ან სხვა გამოსახულებების კომბინაციები, ერთდროულად რანჩოს ემბლემებსაც წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნიშნები ჯოგის მფლობელის სასაქონლო ნიშნად გადაიქცა. შემდგომ დაღები გახდა ამერიკის შეერთებული შტატების რიგი ფირმების კომერციულ სიმბოლოებად. ყოველ რეგიონს (ტექსასს, არიზონას, ალაბამას, კენტუკის და სხვ.) გააჩნდა თავისებური სტილის დაღები, რაც საშუალებას იძლეოდა ადვილად განესაზღვრათ საქონლის წარმოშობა (ნახ.4.1).



Flying Diamond
NEBRASKA



Crosss Circle
TEXAS



Question Mark
NEW MEXICO



Hole in Box
NEW MEXICO

ნახ.4.1

ამერიკელი კოვბოები თავიანთი დაღებისათვის ძირითადად მთავრულ ასოებს იყენებდნენ (ზოგჯერ ციფრებსაც). მათი ფანტაზიის შესაბამისად ასოები დახტოდნენ, იწვნენ, სეირნობდნენ და ა.შ. (ნახ.4.2).



ნახ.4.2

ზოგჯერ კოვბოები ასოების მაგივრად იყენებდნენ ნაღის, ჯვრის და სხვ. გამოსახულებებს (ნახ. 4.3).



ნახ.4.3

თანამედროვე ამერიკაში რიგი ფირმების სასაქონლო ნიშნებზე გვხვდება სიმბოლოები, რომლებიც ნასესხებია საქონლის ჯოგის დადაღვის სიმბოლოებისაგან, თუმცა მათ მესაქონლეობასთან კავშირი არა აქვთ.

ცხენის დადაღვა გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში. ფეოდალიზმის ხანაში მხოლოდ მაღალი წოდების კუთვნილი საქონელი იღაღებოდა (ნახ.4.4). ყმას შეეძლო ბატონისათვის დაღი გამოეთხოვა და სამაგიეროდ „დაღის გადასახადი“ მიერთმია. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შეძლებულმა გლეხებმაც იწყეს ცხენის დადაღვა თავისი ნიშნებით ან თავისი გვარის პირველი ასოთი.



დადიანის დაღი




ხაინდრავას დაღი

ნახ.4.4. ცხენის დაღები


დადაღვა ფართოდ გამოიყენებოდა ხელოსნურ წარმოებაში, კერძოდ სამეთუნეო ნაკეთობების მარკირებისათვის, ჯერ საფრანგეთში, ხოლო გვიან შუასაუკუნეებში გერმანიაში. სხვადასხვა ავტორების აზრით ნაკეთობების რეგულარული მარკირება ევროპაში დაიწყო 1723 წლიდან, როდესაც მეისენის ფაბრიკამ თავისი ნაკეთობების დაღად აღიარა ასოები KPM (აბრევიატურა Königliche Porzellan Manufaktur – სამეფო ფაიფურის მანუფაქტურა), ხოლო 1724 წ. – გადაჯვარედინებული ხმლები (საქსონიის გერბის მიხედვით). მეისენური ნიშნების ნიმუშები ნაჩვენებია 4.5 ნახ.-ზე.

მეისენის გამოცდილება გაიზიარეს გერმანიის სხვა საწარმოებმაც. მარკირებისათვის იყენებდნენ ჰერალდიკურ ნიშნებს.



ნახ.4.5

საფრანგეთში გამოყენებულ ნიშნებს შორის გვხვდება რელიგიური სიმბოლოები, მასონური ნიშნები, ფულის ნიშნები, მფლობელის საკუთრების აღმნიშვნელი დაღები, ჰერალდიკური სიმბოლოები და სხვ. 1766 წლიდან საფრანგეთში ფაიფურის მწარმოებლისაგან მოითხოვდნენ, რომ მას თავის ნაკეთობებზე განეთავსებინა პოლიციის უწყებებში რეგისტრირებული ნიშნები. 4.6 ნახ.-ზე ნაჩვენებია ფრანგული ფაიფურის ნაკეთობების სამარკირებელი ნიშნების ნიმუშები



ნახ.4.6

რუსეთში 1830 წ. მიიღეს კანონი, რომელშიც დაფიქსირებული იყო საქონლის დადაღვის ზუსტი წესები და მეთოდები. კანონის თანახმად საქონლის ან დაღის გაყალბების შემთხვევაში გამყალბებელი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯებოდა. საქონელზე განთავსებული აღნიშვნა (დაღი) მიუთითებდა, რომ დამამზადებელი განეკუთვნებოდა ხელოსანთა ამ-

ქრულ ორგანიზაციას (ვაჭართა გილდიას) და ამავე დროს ხარისხის ნიშნის როლსაც ასრულებდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოიცა დეკრეტი „სასაქონლო ნიშანზე ბაჟის შესახებ“, რომლის მიხედვით სასაქონლო ნიშნად არ იქნებოდა აღიარებული ნიშანი, რომელიც: საყოველთაოდ მოიხმარება გარკვეული სახის საქონლის აღსანიშნავად ე.წ. თავისუფალი ნიშნები; შედგება ნახატების, ასოების, სიტყვების ან ციფრებისაგან, რომელთა შინაარსს, განლაგებას ან შეხამებას არ გააჩნია თავისებური განმასხვავებელი ნიშნები, არამედ მიუთითებს მხოლოდ საქონლის წარმოების ადგილს, თარიღს, წესს, მის ფასს, ზომას ან წონას, აგრეთვე შედგენილობას, ხარისხს და დანიშნულებას. დეკრეტით გათვალისწინებული იყო სასაქონლო ნიშნების დაცვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების აუცილებელ, ლოგისტიკური სერვისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ხშირად „უტყვ გამოიდგელსაც“ უწოდებენ. მსოფლიო პრაქტიკაში სასაქონლო ნიშანი გახდა ბაზრის ისეთივე ატრიბუტი, როგორიცაა სადაზღვევო პოლისი ან აქცია.

მარკეტინგის თვალსაზრისით სასაქონლო ნიშანი აყალიბებს ფირმის სახეს, მის ცნობადობას ბაზარზე და წარმოადგენს საქონლის საბაზრო სიმბოლიკის ერთ-ერთ ელემენტს. ჯერ კიდევ 1952 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ გამოკვლევაში „შვიდი დიზაინერი სასაქონლო ნიშნის დიზაინის შესახებ“ წერდნენ, რომ „სასაქონლო ნიშანი ესაა სიმბოლოს ან წარწერისმაგვარი საქონელზე ან მომსახურებაზე, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ მეწარმე ან სპონსორი და რომელიც აკმაყოფილებს მათ კანონიერ სიამაყეს და აკისრებს მათ პასუხის-

მგებლობას". თვით სასაქონლო ნიშნის ხარისხის შესახებ ისინი წერდნენ „ნებისმიერი დიზაინის შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს ძირითად კითხვებზე პასუხი: იძლევა თუ არა სასურველ ეფექტს; მკაფიოა თუ არა; დასამახსოვრებელია თუ არა, ორიგინალურია თუ არა".

მსოფლიო პრაქტიკაში საქონლის საბაზრო ატრიბუტიკის რამდენიმე კატეგორია გამოიყენება, როგორცაა:

სასაქონლო მარკა – ესაა სახელი, ნიშანი ან სიმბოლო (ნახატი) ან მათი შეხამება, რომლითაც ხდება სხვადასხვა გამყიდველების მიერ ბაზარზე შემოთავაზებული პროდუქტის ან მომსახურების იდენტიფიცირება. ცნობილია მარკების აღნიშვნის ოთხი ტიპი:

საფირმო სახელი (მარკის დასახელება) – სიტყვა, ასო ან სიტყვებისა და ასოების ჯგუფი, რომელიც შეესაბამება გამოშვებულ პროდუქციას (მაგალითად, „Ford“, „BA3“, „Chevrolet“ და სხვ.)

საფირმო (სამარკო) ნიშანი – ესაა სიმბოლო, ნახატი, აღნიშვნა, ფერი ან ფერთა შეხამება, რომელიც საშუალებას იძლევა ამოვიცნოთ ამ ფირმის საქონელი მის მსგავსთა შორის. მაგალითად, ოთხი გადაჯაჭვული რგოლის გამომსახველი საფირმო ნიშნის მიხედვით ადვილი საცნობია „Audi“-ს ფირმის ავტომობილი, გამოყენებული შრიფტისა და ეტიკეტზე ფერების შეხამებით ფირმა „Coca-cola-ს“ მატონიზირებელი სასმელი.

სავაჭრო ნიშანი – ესაა პერსონიფიცირებული სავაჭრო მარკა.

სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სასაქონლო მარკის შემადგენელ ელემენტს. ზემოთმოყვანილი კატეგორიებისაგან განსხავებით მას აქვს იურიდიული ძალა, დაცულია კანონით.

ნებისმიერი ფირმის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის კანონის დარღვევით გამოყენების თავიდან ასაცილებლად შემოღებულია სპეციალური მუხლი გამაფრთხილებელი მარკირების შესახებ. ეს ხდება სპეციალური აღნიშვნით - ასო R, რომელსაც ათავსებენ სასაქონლო ნიშნის შემდეგ (ზემოთ ან ქვემოთ). 4.7 ნახ.-ზე ნაჩვენებია კომპანია „Herbalife“-ის კომბინირებული სასაქონლო ნიშანი



ნახ. 4.7

სასაქონლო ნიშნის გამაფრთხილებელი მარკირება გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით და ზოგჯერ R ასოს გარდა გამოიყენება ასოთშეთანხმება TM ან სხვა რამ, ქვეყანაში მიღებული კანონის შესაბამისად.

ამრიგად, სასაქონლო ნიშანი ფირმის საკუთრების ობიექტია და მხოლოდ მას აქვს მისი გამოყენების, განკარგვის, ფლობის და უკანონოდ გამოყენების აკრძალვის უფლება.

სასაქონლო ნიშანს აქვს ღირებულება, მაგალითად, ფირმა „როუნტის“ სასაქონლო ნიშანი ღირს \$2,5 მილიარდი, „კრაფტის“ - \$13 მილიარდი.

სასაქონლო ნიშნის რეკლამისუნარიანობის დამადასტურებელია მომხმარებლის ყურადღების მიპყრობა იმ საქონლისადმი, რომელზედაც განთავსებულია. მისი საშუალებით ცდილობენ რეკლამირების ფუნდამენტური პრინციპის „ყურადღება-ინტერესი-სურვილი-ქმედება“ ძირითადი მდგენელების რეალიზებას.

რეკლამისუნარიანი სასაქონლო ნიშნის შექმნის სტრატეგია ითვალისწინებს რამდენიმე ეტაპს:

- ინფორმირებას შემოთავაზებული საქონლის შესახებ;

- შეგნების წარმოქმნას, რომ ამ ფირმის ან ამ სასაქონლო ნიშნით აღნიშნული საქონელი საჭიროა;

- ორიგინალური და ადვილად შესასრულებელი სასაქონლო ნიშნის დამუშავებას, რაც ხელს შეუწყობს მის ადვილად დახსომებას და საქონლის ხარისხთან ასოცირებას;

- მზაობის ფორმირებას, რომ გახდეს ამ სასაქონლო ნიშნის მქონე საქონლის მფლობელი;

- გაყიდვის ხარისხიანად ორგანიზებას და სწორად გაკეთებული არჩევანის გამო მომხმარებლისათვის დადებითი ემოციის შექმნას.

რეკლამირების თეორიიდან ცნობილია, რომ რეკლამაში მთავარია ტექსტი, რომელიც იყოფა სათაურად და ტექსტურ ნაწილად, რომელშიც განსაკუთრებით გამოყოფენ სარეკლამო ნიუთის დასახელებას. როგორც წესი, ასეთი დასახელებაა სასაქონლო ნიშანი, რომელიც სარეკლამო ტექსტში რამდენჯერმე მეორდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათაურს, ვინაიდან მას 5-6-ჯერ მეტი ადამიანი კითხულობს, ვიდრე ძირითად ტექსტს.

ფსოქოლოგებმა და რეკლამის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ გამვლელები უფრო ამჩნევენ განცხადების მარჯვენა მხარეს ვიდრე მარცხენას. ამიტომ, ბილბორდებზე სიტყვებსა და ნახატებს ისე ათავსებენ, რომ ძირითადი ელემენტები მის მარჯვენა ნაწილში აღმოჩნდეს.


სასაქონლო ნიშნების დარგში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის კ. ვერკმანის აზრით „ნაკეთობის ფსიქოლოგიური თვისებები ასახავენ პრესტიჟულობას, ფასეულობას, გრძნობით აღქმებს, სექსუალურ ასოციაციებს, მიმზიდველობას, იდუმალებას“.

ბევრი საპარფიუმერიო ფირმა ცდილობს თავისი პროდუქციის დასახელებაში გამოჰყოს გარკვეული ეროტიკული შარმი, რაც ასეთი სასაქონლო ნიშნის შემქმნელების აზრით აამაღლებს ამ პროდუქციის მომხმარებელი სუბიექტის ფიზიკურ მომხიბვლელ-

ბას. სხვა ფორმები ცდილობენ გრძნობით აღქმებზე აქცენტირებას, მაგალითად, „Райское наслаждение“.

სასაქონლო ნიშნისა და სასაქონლო მარკის შექმნა სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანაა ნებისმიერი ფირმისათვის. არჩეული სიმბოლო უნდა შესაბამებოდეს ფირმის სახეს, იყოს მაქსიმალურად სტაბილური და დიდი ხნის განმავლობაში უცვლელი, გამოშვებული პროდუქციის მრავალსახეობის მიუხედავად.

სასაქონლო ნიშნის მაფორმირებელი საკლასიფიკაციო ნიშნები მოცემულია 4.8 ნახ.-ზე.



ნახ.4.8. სასაქონლო ნიშნის მაფორმირებელი საკლასიფიკაციო ნიშნები

არსებობს აგრეთვე *ჯგუფური სასაქონლო მარკები*, როდესაც ერთი დასახელება გამოიყენება რამდენიმე სახის საქონლის აღსანიშნავად. ამის მაგალითია კომპანია "Xerox"-ის პროდუქცია. თუმცა ბაზარზე ერთი და იგივე დასახელების მქონე ერთნაირი ფუნქციური მიმართულების ძვირი და იაფი პროდუქციის არსებობამ შესაძლოა ბაზრის სექტორის ნიველირება გამოიწვიოს. ეს კი სახიფათოა ფირმა-მწარმოებლის იმიჯისათვის.

4.2. სასაქონლო ნიშნის შემუშავება და გამოყენება

სასაქონლო ნიშნების ყველაზე გავრცელებული სახეებია: სიტყვითი, გამოსახულებითი, კომბინირებული, მოცულობითი და მათი შერწყმით მიღებული.

სიტყვითი სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ასოების ან სიტყვების შეთანხმებას. ამ წესით შესრულებულია სასაქონლო ნიშნების 80%, რადგან მათი შექმნა და აღწარმოება ადვილია. როგორც წესი, იგი პირდაპირ უკავშირდება კომპანიის დამაარსებლის სახელს ან მის საფირმო დასახელებას და რაც მთავარია ადვილად აღიქმება მომხმარებლის მიერ. წარმოადგენს რა ფაქტიურად პროდუქციის დაღს (ბრენდს), იგი გამოარჩევს საფირმო საქონელს ბაზარზე ერთგვარი ნაკეთობებისაგან და მათი 20-40%-ით მაღალ ფასში გაყიდვის საშუალებას იძლევა.

სიტყვითი სასაქონლო ნიშანი შესაძლოა იყოს:

- კომპანიის დამაარსებლების ინიციალების ჩამონათვალი (ABC, AAA);

- სახელების, გვარების, სიტყვების, კომერციული ტერმინების შერწყმა (Аерофлот);

- გამოგონილი დასახელება, რომელსაც უკავშირი არა აქვს ფირმის საქმიანობასთან („ეკსონი“, „მერკური“);

- ციფრებისა და სიტყვების შერწყმა („შანელი №5”, „XX საუკუნე ფოქსი”);

- მითოლოგიური სახე („ჰერაკლე”, „ჰერმესი”);

- საკუთარი სახელი („ფორდი”, „ვერსაჩე”, „პიერ კარდენი”);

- გეოგრაფიული დასახელება („მანჰატენი”, „ვაზბეგი”);

- უცხო სიტყვები („ლუქსი”, „ფორტუნა”); და სხვ.

გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი შედგება სიბრტყეზე, მოცულობაში ან ჰოლოგრაფიული სახით შესრულებული სხვადასხვა კომპოზიციების, ხაზების, გეომეტრიული ფიგურების, კონტურების და ფერადი გამოსახულებებისაგან. მაგალითად, “შერსედეს-ბენც”-ის სამქიმიანი ვარსკვლავი, “ბმვ”-ს ოთხფრთიანი პროპელერი, “ფოლკსვაგენ”-ის შეერთებული “V” და “W” ასოები და სხვ.

კომბინირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს აღწერილი ორი სახეობის შეხამებას ერთი კომპოზიციის სახით. მაგალითად, HERBALIFE (ნახ.4.7).

არსებობს აგრეთვე *ხმოვანი სასაქონლო ნიშანი*, რომელიც გამოიყენება რადიოსადგურების, რადიოპროგრამების, დამკვიდრებული ტელეგადაცემების სიგნალების (მელოდიების) სახით. ფირმა “ჰარლეი დევიდსონის” მიერ სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრირებულია მოტოციკლის ძრავის ხმაური, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ამ ფირმის პროდუქციისათვის.

სასაქონლო ნიშნის შექმნისას აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინება, რომელთა შესრულება შესაძლებელს გახდის შეიქმნას მომხმარებლის მიერ აღქმადი, დამახსოვრებადი და ადვილად ცნობადი ნიშანი. ეს მოთხოვნებია:

- ინდივიდუალურობა;

- სიმარტივე (ხაზების მინიმალური რაოდენობა, ფერების შეხამების ოპტიმალურობა);

▪ მიმზიდველობა, რომელსაც შეუძლია “გააღვიძოს აზრი და გრძნობა”;

▪ სარეკლამო-გრაფიკული შესრულების მაღალი ხარისხი;

▪ მხატვრულ გრაფიკული და სარეკლამო თვისებების შენარჩუნება შესრულების სხვადასხვა ვარიანტების (ამოქარგვა, ამოტვიფრვა, ჩამოსხმა, ტრაფარეტით ან შაბლონით დატანა, გადიდება, შემცირება) გამოყენებისას;

▪ კანონის მიერ დაცულობა მისი რეგისტრაციის შემდეგ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

მეწარმეები ზოგჯერ მიმართავენ არაკორექტულ ქმედებას, როდესაც პროდუქციის დასახელების სახით იყენებენ ცნობილი ბრენდის მსგავს დასახელებას. რუსეთის ბაზარზე არსებული ასეთი პროდუქცია, რომლის დასახელება ასოცირდება ცნობილ ბრენდთან “Sprite”, ნაჩვენებია 4.9 ნახ.-ზე. ქართულ ბაზარზე მსგავსი მაგალითია წვეწაწური დასახელებით “National”, რომელიც ასოცირდება ფირმა “National” –ის პროდუქციასთან.



ნახ.4.9

შესაძლებელია გამოიყოს სიტყვითი აღნიშვნების შექმნის შემდეგი ხერხები:

- ინიციალების გამოყენება შრიფტზე დაყრდნობით;
- ტრადიციული მონოგრამის გამოყენება გადახლართული ელემენტებით;
- ელემენტების ჯვრისებრი აგება;
- ელემენტების წყვეტილად გამოსახვა, ტრაფარეტის იმიტაციით;

- სრული დასახელების გაფორმება შრიფტის საშუალებით;

- ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის გამოყენება;

- კომპოზიციის სარკულად გამეორებადი ნაწილების გამოყენება;

- ზოგადენობრივი ფონდის სიტყვების გამოყენება;


- საერთო სიტყვებისა და მოტივების გამოყენება;

- რომელიმე ელემენტის საფუძველზე ხელოვნური სიტყვის შექმნა.

ექსპორტისათვის გამიზნული საქონლისათვის სიმბოლოს არჩევისას ითვალისწინებენ გასაღების გეოგრაფიულ რაიონს, ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმს, რელიგიურ მრწამსს, ჩვეულებებს, ცრურწმენებს. მაგალითად, დაუშვებელია ინდოეთში ექსპორტირებისას საქონელსა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაზე ძროხის, აფრიკაში - ლომის განთავსება, ვინაიდან იქ ეს ცხოველები გაღმერთებულია. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში პირიქით, ლომისა და დრაკონის გამოსახულება ხელს შეუწყობს საქონლის წარმატებით რეალიზაციას.

სასაქონლო ნიშნის შემუშავება იწყება დამკვეთისა და შემსრულებლის მსჯელობით პროექტირების შესაძლო მიმართულების შესახებ, რომლის მსვლელობისას ყალიბდება ორივე მხრის ძირითადი მოთხოვნები და ხდება ინფორმაციის გაცვლა. შემდეგ განიხილავენ და ამტკიცებენ აღნიშვნის შემუშავებაზე ტექნიკურ დავალებას, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოების ყველა ეტაპს სამხატვრო-ტექნიკურ საბჭოზე სასაქონლო ნიშნის დამტკიცების ჩათვლით და მისი რეგისტრაციით კომპეტენტურ ორგანოში.

სასაქონლო ნიშნის შემუშავების ძირითადი ეტაპები ნაჩვენებია 4.10 ნახ.-ზე.



ნახ.4.10

ცნობილია, რომ სასაქონლო ნიშნის გამომსახველობა, დამახსოვრებადობა და საბოლოოდ მომხმარებელზე ზემოქმედების უნარი დამოკიდებულია იმ ტექნოლოგიურ საშუალებებზე, რომელთა გამოყენებით ხდება მისი შესრულება. ამიტომ, სასაქონლო ნიშნის დამუშავებისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნაკეთობის ზედაპირზე მისი განთავსების ადგილს, ნაკეთობის ზედაპირის და სასაქონლო ნიშნის ფართობების მასშტაბურ ფარდობას, განთავსების (დატანის) ტექნოლოგიას.

სასაქონლო ნიშნის განთავსებისადმი მოთხოვნები განსაზღვრული უნდა იყოს სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით. სტანდარტი უნდა შედგებოდეს ქვედანაყოფებისაგან. პირველ ქვედანაყოფში განისაზღვრება სტანდარტის გავრცელების სფერო, მოცემულია დაცული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი დახასიათება, მისი გამოსახულება და ზომები. ნომინალური ზომები უნდა აირჩეს პარამეტრული რიგიდან: 2,5; 4; 6; 10; 16; 25; 40; 50; 60; 80; 100; 125; 160; 200. ამავე ქვედანაყოფში მითითებულია აგრეთვე ნაკეთობაზე სასაქონლო ნიშნის დატანის მეთოდები, მაგალითად, “მცირეგაბარიტული თხელი ნაკეთობებისათვის დასაშვებია სასაქონლო ნიშნიანი დაღის გამოყენება”.

სტანდარტის მეორე ქვეთავში ჩამოთვლიან ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასაქონლო ნიშანი. აგრეთვე განსაზღვრავენ ნიშნის დატანის ტექნოლოგიას, მაგალითად, “სასაქონლო ნიშანი შესაძლოა ნაკეთობაზე გამოისახოს ამოჭმით, ჩამოსხმით, გრავირებით, ბეჭდვით, შტამპვით, დაკერებით ან სხვ. მეთოდით. შესაძლოა გამოსახულება იყოს ამობურცული, 0,15-0,20 მმ სიმაღლის. სასაქონლო ნიშანი უნდა შესრულდეს ერთ ფერში, ერთი ფერის ფუძეზე”.

ამავე ქვედანაყოფში რეგლამენტირებული უნდა იყოს მოთხოვნები, რომელიც წაეყენება ნაკეთობაზე განთავსებული სასაქონლო ნიშნის ზედაპირს, მაგალითად, “არ დაიშვება ზედაპირზე ნაჭყლეტები, უსწორობები, ხიწვები, ბუშტულები და სხვ.”

მესამე ქვედანაყოფი შეიცავს მოთხოვნებს საქონელზე ნიშნის განთავსების ადგილისადმი, მაგალითად, “სასაქონლო ნიშანი უნდა განთავსდეს ნაკეთობის გარე ზედაპირზე”.

ასეთი სტანდარტის არსებობა საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის შესრულების სისწორე.

სასაქონლო ნიშნის განთავსების ადგილის არჩევისას მთავარია, რომ იგი იყოს ხედვადი, ე.ი. ისე განთავსდეს, რომ მომხმარებელმა სწრაფად შეამჩნიოს და გამოარჩიოს მარკირების სხვა რეკვიზიტებისაგან. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი მასშტაბის სწორად შერჩევა.

სასაქონლო ნიშნის აღწარმოების ყველაზე ცნობილი თანამედროვე ხერხებია ბეჭდვა, ამოტვიფრვა, დეკალკომანია, ამოჭმა, მეტალიზება, წებოთი ან მექანიკური დამაგრება ნაკეთობაზე, გრავირება, დაშტამპვა, ამოქარგვა, ჩამოსხმა ნაკეთობასთან ერთად და სხვ.

ერთ-ერთი დამახასიათებელი ხერხია ბეჭდვა – სასაქონლო ნიშნის იდენტური ანაბეჭდის პოლიგრაფიული წესით მიღება საღებავის გადატანით საბეჭდო ფორმიდან ქალაღზე ან სხვა მასალაზე. ასეთი წესით ამზადებენ ეტიკეტებს, იარლიყებს, საფუთავებს და სხვ. არსებობს ბეჭდვის სამი ძირითადი სახე: მაღალი, ბრტყელი და ღრმა.

ხის, ფაიფურის და ლითონის ნაკეთობებზე სასაქონლო ნიშნის განსათავსებლად იყენებენ დეკალკომანიას – სასაქონლო ნიშნების, იარლიყების, საბავ-

შვო ნახატების გადასაყვანი გამოსახულებების დამზადების პოლიგრაფიულ მეთოდს.

დეკალკომანიის გამოყენებისას გამოსახულებას ლითოგრაფიული წესით ბეჭდავენ წებოს ფენით სპეციალურად გრუნტირებულ ქაღალდზე. გადაყვანის მიზნით გამოსახულებას ასველებენ ან ათბობენ, რის შედეგადაც წებოს გრუნტი იხსნება (ლღვება), ხოლო აფსკი სასაქონლო ნიშნის გამოსახულებით გადადის ნაკეთობის ზედაპირზე. ამ გზით შესაძლებელია ფერთა ნებისმიერი შეხამების მიღება.

ტყავზე, ლითონის ფურცელზე, მუყაოზე და სხვ. მასალებზე ნიშნების განსათავსებლად იყენებენ ამოტვიფრვას, რის შედეგადაც მასალის ზედაპირზე რჩება სასაქონლო ნიშნის რელიეფური გამოსახულება.

მინაზე, ლითონზე ან ხეზე სასაქონლო ნიშნის განსათავსებლად ხშირად იყენებენ ელექტროქიმიურ ან ქიმიურ ამოჭმას, რომელიც ითვალისწინებს ნაკეთობის ზედაპირის უბნების მჟავით დამუშავებას.

სასაქონლო ნიშნების განთავსების ერთ-ერთი მეთოდია მოლითონება, ნივთიერების ფენის დატანა ცივ ან გარკვეული ტემპერატურამდე გაცხელებულ ნაკეთობაზე. არსებობს მოლითონების ელექტროლიტური, ქიმიური, აირ-აღიანი, ქიმიური ნაერთების დალექვით, ელექტროფორეზით და სხვ. მეთოდები.

ამოქარგვის საშუალებით სასაქონლო ნიშნების აღწარმოება ხდება ქსოვილებზე, ტყავზე, მაუდზე, ტანსაცმელზე და სხვ. მზა ნაკეთობებზე. შესაძლებელია ფერთა ნებისმიერი შეხამების მიღება. ამ მეთოდით განთავსებული სასაქონლო ნიშანი ხშირად ხდება ნაკეთის მოდური აქსესუარი.

როგორც 4.10 ნახ.-ზეა ნაჩვენები, სასაქონლო ნიშნის შემუშავების დასკვნითი ეტაპია მისი რეგისტრირება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ხდება შემდეგნაირად. ამ ქვეყ-

ნის კანონმდებლობის შესაბამისად არსებობს ორი სრულიად დამოუკიდებელი, მაგრამ ურთერთდაკავშირებული უფლება სასაქონლო ნიშანზე: მის რეგისტრაციაზე და მის გამოყენებაზე. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ვაჭრობის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების (US Department of Commerce/Patent and Trademark Office), კომპეტენციაა, და რეგულირდება 1946 წელს მიღებული კანონით (Trademark Act of 1946).

აღნიშნული უწყების მუშაობის პრინციპი ემყარება პირველობის ობიექტურ უფლებას - ვინც პირველი შეიტანს განაცხადს რეგისტრაციაზე და იყენებს მოცემულ სასაქონლო ნიშანს, მას აქვს განსაკუთრებული უფლებები. სახელმწიფო ნიშნის მოქმედების ვადაა 10 წელი, მომდევნო ათი წლით პროლონგირების უფლებით. თუმცა, სასაქონლო ნიშნის გამოყენების მე-5 და მე-6 წლებს შორის მისი მფლობელი მოვალეა საპატენტო უწყებაში შეიტანოს წერილობითი დადასტურება, რომელშიც არგუმენტირებული იქნება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შენარჩუნების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. ამ პროცედურის გარეშე რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის რამდენიმე ვარიანტს. უპირველესად, თუ ფირმა იყენებს სასაქონლო ნიშანს და გადაწყვიტა მისი რეგისტრირება, მას შეაქვს განაცხადი რეგისტრაციაზე, რასაც ასაბუთებს ნიშნის უკვე გამოყენების ფაქტით. მეორეს მხრივ, თუ ფირმამ გადაწყვიტა გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, მაგრამ პრაქტიკულად მას ჯერ არ იყენებს, შეაქვს განაცხადი გამოყენების განზრახვის შესახებ. მესამე ვარიანტია განაცხადის შეტანა იმ საფუძველზე, რომ მოცემული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია სხვა ქვეყანაში, რომელთანაც აშშ-ს აქვს საერთაშორისო შეთანხმება სამრეწ-

ველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაცვის სფეროში.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად განმცხადებელი მოვალე არაა თავად ჩაატაროს ძიება სასაქონლო ნიშნის სისუფთავეზე. ეს უნდა გააკეთოს საპატენტო რწმუნებულმა ან სპეციალურმა პროფილურმა ფირმამ.

განაცხადის შეტანის შემდეგ საპატენტო უწყება ახორციელებს შემდეგ სამუშაოებს:

- ატარებს განაცხადის წინასწარ ექსპერტიზას დადგენილი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;

- ექსპერტიზის დადებითი შედეგების შემთხვევაში განაცხადს მიენიჭება რიგითი ნომერი და განმცხადებელს წერილობით ეცნობება განაცხადის შეტანიდან ორი თვის განმავლობაში;

- უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში ყველა დოკუმენტი, საგანაცხადო ბაჟის ჩათვლით უბრუნდება განმცხადებელს.

- ოთხი თვის განმავლობაში ექსპერტი მოვალეა შეამოწმოს განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე;

- უზუსტობებისა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სახელმწიფო ექსპერტს გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;

- წერილობით უარის თქმის შემთხვევაში ექსპერტის შენიშვნების უარყოფა ან კორექტირება განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს არა უგვიანეს ოთხ თვეში მისთვის დოკუმენტაციის გაგზავნიდან;

- თუ განაცხადზე შენიშვნები არ არის სახელმწიფო ექსპერტი სასაქონლო ნიშნის აღნიშვნას აგზავნის პუბლიკაციისათვის ყოველკვირეულ ჟურნალში „Official Gazette“;

- საპატენტო უწყება განმცხადებელს უგზავნის წერილობით შეტყობინებას ნიშნის გამოქვეყნების შესახებ, თარიღის ჩვენებით.

საქართველოში მოქმედებს „საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ“ (იხ. დანართი), რომელიც აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვას, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

5. სერტიფიკაცია

5.1. სერტიფიკაციის არსი

სერტიფიკაცია პროცედურაა, რომლის საშუალებითაც მესამე მხარე წერილობით ადასტურებს, რომ პროდუქცია, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

მსოფლიოში ასეული წლებია მოქმედებენ ე.წ. „საკლასიფიკაციო ორგანიზაციები“ - არასამთავრობო დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც აფასებენ გემებს მათი დაზღვევის მიზნით, რაც ფაქტიურად, მესამე მხარის მიერ სერტიფიკაციაა. ასეთი ორგანიზაციის მაგალითია Lloyd's Register (ლოიდის რეგისტრი) - ჩვენი დროის ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა ინგლისში 1834 წ. და ამჟამად აქვს წარმომადგენლობა მსოფლიოს 127 ქვეყანაში. მსგავსი ორგანიზაციაა ბიურო ვერიტასი, რომელიც 1828 წლიდან მოქმედებს საფრანგეთში.

საკლასიფიკაციო ორგანიზაცია არსებობს რუსეთშიც. ესაა საზღვაო რეგისტრი (პირველადი დასახელება იყო რუსული რეგისტრი), რომელიც დააარსეს სადაზღვევო ორგანიზაციებმა სამოქალაქო გემების სერტიფიკაციის მიზნით. სერტიფიკაცია თავიდანვე ტარდებოდა საერთაშორისო წესებით. ამიტომ გემების მფლობელთათვის საზღვაო რეგისტრთან ურთიერთობა თავიდანვე გახდა არა მარტო პრესტიჟული, არამედ მომგებიანიც, ვინაიდან იმ

ხომალდის დაზღვევა, რომლის უსაფრთხოება დადასტურებულია ავტორიტეტული ორგანოს მიერ იაფია, ხოლო ასეთი ხომალდის დაქირავება (ფრახტი) უფრო ძვირი. დღეისათვის საზღვაო რეგისტრი ერთ-ერთი ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის სისტემების სერტიფიკაცია.

სიტყვა სერტიფიკაცია ლათინურიდან წარმოდგება და ნიშნავს „გაკეთებულია სწორად“ (certum-სწორი facere-გაკეთება). დასარწმუნებლად, რომ პროდუქტი „გაკეთებულია სწორად“, საჭიროა ვიცოდეთ, რა მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს იგი და როგორ მივიღოთ შესაბამისობის სარწმუნო მტკიცებულებები. სწორედ ამ მიზნით ტარდება შესაბამისობის სერტიფიკაცია.

შესაბამისობა - პროდუქციისადმი, პროცესისადმი ან მომსახურებისადმი დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

შესაბამისობის სერტიფიკატი სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს, რომ სათანადო სახით იდენტიფიცირებული პროდუქცია, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება კონკრეტულ სტანდარტს ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტს.

სერტიფიკაცია ხელს უწყობს:

- ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გაუმჯობესებას მასში პროგრესული მოთხოვნების შეტანის გზით;
- წარმოების საორგანიზაციო-ტექნიკური დონის ამაღლებას;

- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას.

სერტიფიკაცია ითვლება ხარისხის მნიშვნელოვან მექანიზმად. იგი უზრუნველყოფს პროდუქციის ობიექტურ შეფასებას, ადასტურებს მის უსაფრთხოებას, სამომხმარებლო თვისებებს.

საზღვარგარეთის ბევრ ფირმაში დიდძალი სახსრები და დრო იხარჯება მომხმარებლისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ მათი პროდუქცია მაღალხარისხიანია (ლიტერატურიდან ცნობილია - დანახარჯები ამ სამუშაოზე შეადგენს საწარმო-დამამზადებლის საერთო დანახარჯების 1-2%-ს).

იმ პროდუქციის სერტიფიკაცია, რომელიც საშიშია მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ტარდება სავალდებულო წესით საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ამგვარად, სერტიფიკაციის მიზანია დაიცვას მომხმარებელი უხარისხო და საშიში პროდუქციისაგან, წარმოადგინოს უტყუარი და ზუსტი ინფორმაცია მისი ხარისხის შესახებ და, შესაბამისად, გაათავისუფლოს მყიდველი ხარისხის შეფასების რთული და შრომატევადი პროცედურისაგან.

სერტიფიკაციის გამოყენებით შესაძლებელია:

- პროდუქციის ხარისხისადმი შიდა და საზღვარგარეთელი მომხმარებლების ნდობის უზრუნველყოფა;

- მომხმარებლის დაცვა არაკეთილსინდისიერი დამამზადებლისაგან;

- პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონებისათვის;

- მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციის არჩევის პროცესის გაადვილება;

- მომხმარებლის უზრუნველყოფა პროდუქციის ხარისხის შესახებ საჭირო ინფორმაციით;

- არასერტიფიცირებული პროდუქციის გამომშვებთან კონკურენციაში წარმატების მიღწევა.

ასხვავებენ სერტიფიკაციის სამ ძირითად დონეს:

1) ცალკეული პროდუქციის სერტიფიკაცია;

2) საწარმოო ტექნოლოგიური პროცესის სერტიფიკაცია;

3) საწარმოს ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია (იგი ითვლება სერტიფიკაციის უმაღლეს დონედ).

გათვალისწინებით იმისა, თუ ვინ ატარებს სერტიფიკაციას, შესაძლოა გამოვყოთ სერტიფიკაციის სამი სახე:

- *თვითსერტიფიკაცია* – ატარებს პროდუქციის დამამზადებელი ან მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია;

- *მომხმარებლის მიერ ჩატარებული სერტიფიკაცია*;

- *მესამე მხარის სერტიფიკაცია*, მას ახორციელებს ორგანიზაცია, რომელიც არ არის დამოკიდებული არც მომხმარებელზე და არც დამამზადებელზე.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს მესამე მხარის მიერ ჩატარებული სერტიფიკაცია.

სერტიფიკაციის პროცედურის ერთ-ერთი დოკუმენტია შესაბამისობის დეკლარაცია, რომელსაც გასცემს თავად დამამზადებელი.

შესაბამისობის დეკლარაცია დოკუმენტია, რომელშიც დამამზადებელი (გამყიდველი) აცხადებს, რომ დეკლარაციაში აღნიშნული პროდუქცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

„საქართველოს კანონი პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ განმარტავს, რომ მწარმოებელი ვალდებულია პროდუქციის ბაზარზე გატანამდე შეადგინოს და ხელი მოაწეროს (მიიღოს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციას.

5.2. ნებაყოფლობითი და სავალდებულო სერტიფიკაცია

სერტიფიკაცია არსებობს სავალდებულო და ნებაყოფლობითი. ხშირად სავალდებულო სერტიფიკაციას კანონმდებლობით რეგულირებულ სფეროში სერტიფიკაციას უწოდებენ, ხოლო ნებაყოფლობითის კანონმდებლობით არარეგულირებულში. განვიხილოთ მიზეზები, რომლის გამოც იყოფა სერტიფიკაციის გამოყენების სფეროები.

სავალდებულო სერტიფიკაცია ვრცელდება პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია გარემოს, სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ასეთი საქონლისადმი კანონით დადგენილი მოთხოვნები ყველა მეწარმის მიერ უნდა სრულდებოდეს შიდა ბაზარზეც და იმპორტის დროსაც – ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანისას. საქონლისა და მომსახურების ნომენკლატურა, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას, განისაზღვრება სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანიზაციების მიერ და უნდა შეესაბამებოდეს კანონს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოებს ახორციელებს

დადგენილი წესით აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოები და საგამოცდო ლაბორატორიები. სქემაზე (ნახ.5.1) ნაჩვენებია სავალდებულო სერტიფიკაციის გავრცელების ზოგიერთი სფერო.

სავალდებულო სერტიფიკაციის

- პროდუქცია*
- სამანქანათმშენებლო კომპლექსის საქონელი;
 - ელექტროტექნიკური, ელექტრონული და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის საქონელი;
 - სამედიცინო ტექნიკა;
 - სოფლის მეურნეობის საქონელი და კვების პროდუქცია;
 - ეტერიზირებული ბიოლოგიური პრეპარატები,

- მომსახურება*
- საყოფაცხოვრებო;
 - სამგზავრო ტრანსპორტი;
 - კავშირგაბმულობა;
 - ტურისტული და საექსკურსო;
 - ვაჭრობა;
 - საზოგადოებრივი კვება;
 - სხვ.

ნახ.5.1. სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციისა და მომსახურების სახეები

ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებში პროდუქციის გამოცდა და შემდგომი შეფასება ტარდება ჰარმონიზებული დირექტივების შესაბამისობაზე უსაფრთხოებაში (მაგალითად, 90/106/EEC-სამშენებლო პროდუქცია, 88/378/EEC-სათამაშოების უსაფრთხოება). ამ დირექტივებში მოცემულია მინიმალური მოთხოვნები პროდუქციის უსაფრთხოების მაჩვენებლებისადმი და მათი შეფასების მეთოდები. ევროპულ თანამეგობრობაში შემავალი რომელიმე ქვეყნის ნაციონალური მოთხოვნები შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე დირექტივებშია მითითებული.

სავალდებულო სერტიფიკაცია შეიძლება ჩატარდეს ორი ფორმით:


1) კონკრეტული სახელმწიფოს სერტიფიკაციის სისტემისა და ერთგვაროვანი პროდუქციის შესაბამისი ჯგუფების სერტიფიკაციის სისტემის დოკუმენტების მიხედვით;

2) დამამზადებლის განცხადება-დეკლარაციის საფუძველზე, ევროკავშირის დოკუმენტებზე დამყარებული სერტიფიკაციის წესების შესაბამისად.

მეორე ფორმის გამოყენების უფლებას იძლევა სახელმწიფოში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სამუშაოების მაკოორდინირებელი უმაღლესი ორგანო.

რუსეთის სერტიფიკაციის სისტემაში არსებობს სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული იმპორტული და სამამულო (რუსეთის) პროდუქციის ჩამონათვალი. ამ ჩამონათვალისადმი პროდუქციის შესაბამისობა განისაზღვრება სეს სნ და დარგობრივი კლასიფიკატორის კოდების შესაბამისად. ამრიგად, თუ პროდუქცია შედის ამ ჩამონათვალში აუცილებელია მისი სერტიფიცირება.

ნებაყოფლობითი სერტიფიკაცია ტარდება იმ პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომელიც არ შედის სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციისა და მომსახურების ჩამონათვალში. ამავსე სახის სერტიფიკაცია უტარდება ხარისხის სისტემებს. 5.2 ნახ.-ზე მოყვანილია ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ობიექტების ჯგუფები.



ნახ.5.2. ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ობიექტები

ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია როგორც ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ორგანო. ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის აუცილებლობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სერტიფიკაციის ობიექტის არაშესაბამისობა სტანდარტებთან ან ნორმატივებთან შეხებაშია მსხვილი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, ინდუსტრიის დარგების და მომსახურების სფეროების ეკონომიკურ ინტერესებთან.

საქართველოს კანონის „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ მე-3 მუხლის მიხედვით „...ნებაყოფლობით სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურება სავალდებულო არ არის და კონკრეტული პროდუქციის სერტიფიცირება ნებაყოფლობითია. ...სავალდებულო სერტიფიცირება დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში და მას განახორციელებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო“.

5.3. სერტიფიკაციის სქემები

სერტიფიკაცია ტარდება სერტიფიკაციის სისტემაში მიღებული სქემებით.

სერტიფიკაციის სქემების შერჩევა ხდება ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემებში – თვით პროდუქციის, მისი წარმოების, მიმოქცევის და გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით. სერტიფიკაციის კონკრეტული სქემის არჩევას მოცემული პროდუქციისათვის განსაზღვრავს სერტიფიკაციის ორგანო.

ისო-ს და ევროსაბჭოს მიერ მიღებული სერტიფიკაციის სქემა პროდუქციისათვის მოცემულია 5.1 ცხრილში.

საქართველოში მოქმედი ეროვნული სტანდარტის სსტ 5.020:2006 „შესაბამისობის შეფასება. პროდუქციის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი“ თანახმად საქართველოში პროდუქციის სერტიფიკაცია ტარდება სერტიფიკაციის 1, 3, 5, 7 და 8 სქემების მიხედვით.

ცხრილი 5.1

პროდუქციის სერტიფიკაციის სქემები

სქემის ნომერი	გამოცდები და შესაბამისობის დასაბუთების სხვა საშუალებები	წარმოების (ხარისხის სისტემის) შემოწმება	სერტიფიცირებული პროდუქციის (ხარისხის სისტემის) შემდგომი კონტროლი
1	ტიპის გამოცდა	-	დამამზადებელთან ალბულო ნიმუშის გამოცდა
1ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	-
2	ტიპის გამოცდა	-	ვაჭრობაში ალბულო ნიმუშების გამოცდა
2ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	ვაჭრობაში ალბულო ნიმუშების გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი
3	ტიპის გამოცდა	-	დამამზადებელთან ალბულო ნიმუშის გამოცდა
3ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	დამამზადებელთან ალბულო ნიმუშის გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი
4	ტიპის გამოცდა	-	ვაჭრობაში და დამამზადებელთან ალბულო ნიმუშის გამოცდა
4ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	ვაჭრობაში და დამამზადებელთან ალბულო ნიმუშის გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი
5	ტიპის გამოცდა	წარმოების ან ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია	სერტიფიცირებული ხარისხის სისტემის (წარმოების) კონტროლი. ვაჭრობაში და (ან) დამამზადებელთან ალბულო ნიმუშების გამოცდა
6	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია	სერტიფიცირებული ხარისხის სისტემის კონტროლი
7	პარტიის გამოცდა	-	დამამზადებელთან ალბულო ნიმუშის გამოცდა
8	თითოეული ნიმუშის გამოცდა	-	-
9	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	-	-
9ა	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	-
10	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	-	ვაჭრობაში ან დამამზადებელთან ალბულო ნიმუშების გამოცდა
10ა	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	ვაჭრობაში ან დამამზადებელთან ალბულო ნიმუშების გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი

1...6 და 10 სერტიფიკაციის სქემები გამოიყენება ისეთი პროდუქციის სერტიფიკაციის დროს, რომელსაც დამამზადებელი უშვებს სერიულად სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში. 7, 8, 9 სქემები უკვე გამოშვებული პარტიის ან ერთეული წარმოების ნაკეთობის სერტიფიკაციის დროს.

კონკრეტულად სქემები გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

სქემა 1 – შეზღუდული (მცირე) მოცულობის პროდუქციის რეალიზაციის დროს, რომლის მიწოდება ხდება მოკლე დროის განმავლობაში ცალკეულ პარტიებად (იმპორტული პროდუქციისათვის – მოკლევადიანი კონტრაქტების დროს);

სქემა 2 – იმპორტული პროდუქციისათვის ხანგრძლივი კონტრაქტების დროს;

სქემა 3 პროდუქციისათვის, რომლის სტაბილურობა მისი სერიული წარმოების დროს ეჭვს არ იწვევს;

სქემა 4 – სერიული წარმოების პროდუქციაზე ყოველმხრივი და მტკიცე საინსპექციო კონტროლის აუცილებლობისას;

სქემა 5 – სერიული წარმოების პროდუქციისათვის, რომელსაც გააჩნია სერტიფიცირებული ხარისხის სისტემები;

სქემა 6 – ისეთი პროდუქციის სერტიფიკაციის დროს, რომლისთვისაც: შერჩეული პროდუქციის მოცულობა არ არის საკმარისი გამოშვებული პროდუქციის შესაფასებლად, ტექნოლოგიური პროცესები მგრძობიარეა გარე ფაქტორებისადმი, პროდუქციის ვარგისიანობის ვადა უფრო ნაკლებია გამოცდების ჩატარებისათვის საჭირო დროზე, ხშირად ხდება პროდუქციის მოდიფიკაცია და სხვ.;

სქემა 7 – პროდუქციის პარტიისათვის;

სქემა 8 – როდესაც მოცემული პროდუქციის წარმოებას ან რეალიზაციას აქვს ერთჯერადი ხასიათი (ერთეული ნაკეთობისათვის);

სქემა 9 – მცირე მოცულობის არაგანმეორებადი იმპორტული პროდუქციის პარტიის სერტიფიკაციის დროს, როდესაც პროდუქცია დამზადებულია მსოფლიო ბაზარზე აღიარებული ფირმის მიერ, ან ერთეული ნაკეთობის კომპ-

ლექტის სერტიფიკაციის დროს, როდესაც ისინი შეძენილია სამამულო საწარმოო ან სხვა ობიექტებისათვის;

სქემა 10 – სამამულო პროდუქციის ხანგრძლივი წარმოების დროს მცირე მოცულობებით გამოშვებულ პროდუქციაზე.

მომსახურების სერტიფიკაციის სქემები მოცემულია 5.2 ცხრილში.

ცხრილი 5.2

მომსახურების სერტიფიკაციის სქემები

სერტიფიკაციის სქემის ნომერი	შემსრულებლის ოსტატობის შეფასება	მომსახურების გაწევის პროცესის შეფასება	საწარმოს ატესტაცია (შეფასება)	ხარისხის სისტემის შეფასება	მომსახურების შედეგების შემოწმება (შერჩევა)	შესაბამისობის დეკლარაციის განხილვა	საინსპექციო კონტროლი
1	I				I		I
2		I			I		I
3					I		I
4			I		I		I
5				I			I
6						I	I
7				I		I	I

ცხრილში არსებული აღნიშვნა „I“ ნიშნავს, რომ პროცედურა ტარდება.

სქემა 1 გამოიყენება მომსახურებისათვის, რომლის ხარისხს და უსაფრთხოებას განაპირობებს შემსრულებლის ოსტატობა (მაგალითად, ხელოსანი-შემკეთებელი, ექსკურსიის მძღოლი, პარიკმახერი ანუ სტილისტი, მასაჟისტი, პედაგოგი და სხვ.). რეკომენდებულია ინდივიდუალური მეწარმეების და მცირე საწარმოების მიერ გაწეული მომსახურების შესაფასებლად.

სქემა 2 ითვალისწინებს მომსახურების გაწევის პროცესის შეფასებას ტექნოლოგიური პროცესის, შემსრულებლის ოსტატობის, მომსახურების პირობების, პროცესის უსაფრთხოების და სტაბილურობის გათვალისწინებით.

სქემა 3 გამოიყენება საწარმოო (მატერიალური) მომსახურების სერტიფიკაციისას, მაგალითად, ინდივიდუალური შეკვეთით ნაკეთობის დამზადებისა და რემონტისას.

სქემა 4 ითვალისწინებს საწარმოს შეფასებას, რომლის დროსაც მოწმდება არა მარტო მომსახურების ხარისხი, არამედ საწარმოსათვის გარკვეული კატეგორიის, კლასის,

ვარსკვლავის მინიჭების სისწორე. საინსპექციო კონტროლი შესაძლოა ჩატარდეს სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ამ სქემის გამოყენება რეკომენდებულია მომსახურების სფეროს მსხვილი საწარმოების სერტიფიკაციისათვის.

სქემა 5 რეკომენდებულია სახიფათო (მაგალითად, სამედიცინო, მგ ზავრთა გადაყვანა და სხვ.) სამუშაოების და მომსახურების სერტიფიკაციისათვის.

სქემა 6 და *7* ითვალისწინებს შესაბამისობის დეკლარაციის და მასზე დართული დოკუმენტაციის გამოყენებას. სქემა 6-ს იყენებენ მაღალის დონის ხარისხის მქონე მომსახურების შემსრულებელი იმიჯის მქონე მცირე საწარმოს მომსახურების სერტიფიკაციისას. სქემა 7-ს იყენებენ როდესაც შემსრულებელს აქვს ხარისხის სისტემა. შესაბამისად, მომსახურების გაწევის შეფასება მდგომარეობს საწარმოს შემოწმებაში იმ მიზნით, რომ დადასტურდეს მომსახურების შესაბამისობა ხარისხის სისტემის სტანდარტებთან.

საქართველოში მოქმედი ეროვნული სტანდარტის სსტ 5.010:2006 „შესაბამისობის შეფასება. მომსახურების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი“ თანახმად მოქმედებს მომსახურების სერტიფიკაციის შემდეგი სქემები (ნახ.5.3).

სერტიფიკაციის სქემის ნომერი	მომსახურების შემსრულებლის შეფასება	მომსახურების გაწევის პროცესის შეფასება	ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია	მომსახურების შედეგების შერჩევითი შემოწმება (გამოცდა)	საინსპექციო კონტროლი
1	I			I	მომსახურების შემსრულებლის შეფასება
2		I		I	მომსახურების გაწევის პროცესის კონტროლი
3	I	I		I	შემსრულებლის და მომსახურების გაწევის პროცესის კონტროლი
4			I		ხარისხის სისტემის მომსახურების შესრულების შემოწმება

ნახ.5.3. მომსახურების სერტიფიკაციის სქემები, რომლებიც გამოიყენება საქართველოში

მოძსახურების და სამუშაოს შესრულების შედეგების შემოწმებისას, სერტიფიკაციის ობიექტების სპეციფიკის გათვალისწინებით, გარდა ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მეთოდებისა, გამოიყენება სოციოლოგიური და საექსპერტო მეთოდები (ხარისხის შეფასება კლიენტების გამოკითხვით, კერძების დეგუსტაცია, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და სხვ.)

ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში გამოყენებულია მოდულების სახით აგებული სერტიფიკაციის სქემები (ნახ.5.4).

დაპროექტება	მოდული A	მოდული B ნაკეთობის ნიმუშის გამოცდა ევროკავშირის წესების მიხედვით მესამე მხარის (სპეციალურად დანიშნული ორგანოს) მიერ				მოდული G	მოდული H დაპროექტების, წარმოების, გამოცდის და კონტროლის უზრუნველყოფის სისტემის არსებობა
	შიდა საწარმოო კონტროლი დამამზადებლის მიერ	წარმოება	მოდული C ნიმუშისადმი ნაკვეთობის შესაბამისობა	მოდული D წარმოების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არსებობა	მოდული E ნაკეთობის გამოცდის და კონტროლის უზრუნველყოფის სისტემის არსებობა	მოდული F ნაკეთობის გამოცდა მესამე მხარის მიერ	

ნახ.5.4. შეფასების მოდულები

ყოველი მოდული შესაძლოა შეიცვალოს (შეივსოს) კონკრეტული ღირებულებების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ დამამზადებლის დეკლარაცია პროდუქციის შესაბამისობის შესახებ არ არის ბაზარზე გასვლის ნებართვა, იგი მხოლოდ ევროკავშირში თავისუფალი ვაჭრობის გარანტიას.

მოდულების არსი და გამოყენების პირობები მოყვანილია 5.3 ცხრილში.

მოდულების არსი და გამოყენება

მოდული	მოდულის არსი	გამოყენების სტადია
A	დამამზადებელი მესამე მხარის ჩარევის გარეშე აცხადებს ღირექტივის მოთხოვნების შესაბამისობას, მტკიცებულებად გამოიყენება ნაკეთობის ტექნიკური დოკუმენტაცია.	დაპროექტება და წარმოება
Aa	A მოდულის პროცედურაში მესამე მხარის ჩართვა.	
B	ამორჩეული ნიმუშის გამოცდა მესამე (ეკროპული კომისიის მიერ რეგისტრირებული) მხარის მიერ.	დაპროექტება
C	დამამზადებელი აცხადებს ყველა ნაკეთობის შესაბამისობას ნიმუშისადმი B მოდულის მიხედვით.	წარმოება
D	დამამზადებელს უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ნაკეთობის წარმოების, გამოცდის და კონტროლისას (ის(ო) 9002-ის მიხედვით)	წარმოება
E	დამამზადებელს უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ნაკეთობის გამოცდის და კონტროლისას (ის(ო) 9003-ის შესაბამისად)	წარმოება
F	თითოეული ნაკეთობის ცალობითი გამოცდა მესამე მხარის მიერ.	წარმოება
G	ნაკეთობის ცალობითი გამოცდა მესამე მხარის მიერ. გამოიყენება ცალობითი ან წვრილსერიული წარმოებისას	დაპროექტება და წარმოება
H	დამამზადებელს უნდა ჰქონდეს სრული საწარმოო ციკლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (ის(ო) 9001-ის შესაბამისად)	დაპროექტება და წარმოება

5.4. სერტიფიკაციის წესი

სერტიფიკაცია ტარდება კონკრეტული სისტემის საზღვრებში და არჩეული სქემის მიხედვით. მისი ჩატარების თანამიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული სისტემის წესებს, მაგრამ სერტიფიკაციის პროცესის ძირითადი ეტაპები უცვლელია და არ არის დამოკიდებული სერტიფიკაციის სახესა და ობიექტებზე. მასში შეიძლება გამოიყოს ხუთი ძირითადი ეტაპი:

1. განაცხადი სერტიფიკაციაზე;
2. დადგენილ მოთხოვნებთან სერტიფიკაციის ობიექტის შესაბამისობის შეფასება;
3. შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზი;
4. გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ;
5. სერტიფიცირებული ობიექტის საინსპექციო კონტროლი.

სერტიფიკაციის პროცესის განზოგადებულ სქემას აქვს 5.5 ნახ.-ზე ნაჩვენები სახე.

საქართველოს კანონის “პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” თანახმად პროდუქციის/საქონლის პარტიის შესაბამისობის შეფასების პროცედურები დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

შესაბამისობის შეფასების პროცედურები ხორციელდება შემდეგი ფორმებით:


- მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციის მიღებით;

- მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან კონკრეტული პროდუქციის შესაბამისობის შეფასების მიზნით მისი აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოსთვის წარდგენით.

საქონლის პარტიის თავისებურებებიდან, მისი ტექნიკური სირთულისა და საფრთხის სიდიდიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგლამენტი უნდა ითვალისწინებდეს პროდუქციის ბაზარზე გატანამდე ჩასატარებელ შესაბამისობის შეფასების პროცედურათა შესაძლებელ ვარიანტებს.

განაცხადი სურტიფიკაციაზე

- სურტიფიკაციის ორგანოს არჩევა
- განაცხადის განხილვა
- განაცხადის წარდგენა
- გადაწყვეტილება განაცხადზე



გადაწყვეტილება სურტიფიკაციის შესახებ

- შესაბამისობის სურტიფიკატის გაფორმება (შესაბამისობის ნიშანი)
- შესაბამისობის სურტიფიკატის გაცემაზე უარის თქმა

საინსპექციო კონტროლი

სურტიფიკატის და შესაბამისობის ნიშნის გამოყენების მართებულობის პერიოდული შემოწმება

ნახ. 5.5. სურტიფიკაციის პროცესის განზოგადებული სქემა

პროდუქციის აღიარებულ ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის შეფასებისას გამოიყენება პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში მიღებული შესაბამისობის შეფასების პროცედურა.

სერტიფიკაციაზე განაცხადის ეტაპზე ხდება განმცხადებლის მიერ სერტიფიკაციის ორგანოს არჩევა, რომელიც შეძლებს ჩაატაროს მისთვის საინტერესო ობიექტის შესაბამისობის შეფასება სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის სფეროს მიხედვით. თუ მოცემული სამუშაოს ჩატარება შეუძლია სერტიფიკაციის რამდენიმე ორგანოს, მაშინ განმცხადებელს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ მათგანს. განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს სერტიფიკაციის სისტემით დადგენილი ფორმით. სერტიფიკაციის ორგანო განიხილავს მას და განმცხადებელს აცნობებს გადაწყვეტილებას (გარკვეული ფორმით), რომელშიც მითითებულია სერტიფიკაციის ყველა ძირითადი პირობა, მათ შორის სერტიფიკაციის სქემა, საგამოცდო ლაბორატორიის დასახელება (თუ სერტიფიკაციის სქემით გათვალისწინებულია გამოცდის ჩატარება), ნორმატიული დოკუმენტების დასახელება, რომელთა შესაბამისობაზეც უნდა ჩატარდეს სერტიფიკაცია.

სერტიფიკაციის პროცედურის ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი ინფორმაცია, მაგალითად:

- გამოცდის ოქმები (მისაღები, პერიოდული, საინსპექციო და სხვ.);
- ჰიგიენური დასკვნები (ჰიგიენური სერტიფიკატი);
- სანეპიდსაღვურის სამსახურის დოკუმენტი წარმოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ;
- სახანძრო უშიშროების სერტიფიკატი;
- მაკომპლექტებელი ნაკეთობების, მასალების, ტარის მიმწოდებლის სერტიფიკატები;
- მინდვრის პასპორტი ან მიწის ნაკვეთის ნიადაგის ხარისხის სერტიფიკატი, აგროქიმიური სამსახურის მიერ გაცემული;
- მცენარეთა საკარანტინო ორგანოების დასკვნა;
- ვეტერინარული სერტიფიკატი;
- საზღვარგარეთის სერტიფიკატი;

- საზღვარგარეთის ლაბორატორიებში გამოცდის ოქმები;

- დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვ.

ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება პროდუქციაზე უცხო ქვეყნების სერტიფიკატების აღიარება, რომლის პროცედურა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- ✓ საზღვარგარეთის სერტიფიკატის აღიარებაზე განაცხადის და მასთან დართული მასალების წარდგენა;

- ✓ მიღებული მასალების ანალიზი და პროდუქციის იდენტიფიკაცია;

- ✓ გადაწყვეტილების მიღება საზღვარგარეთის სერტიფიკატის აღიარების ან უარის თქმის შესახებ;

- ✓ საზღვარგარეთის სერტიფიკატის გადაფორმება ადგილობრივ სერტიფიკატზე და მისი რეგისტრაცია.

5.5. პროდუქციის შესაბამისობის შეფასება

შესაბამისობის შეფასების ეტაპი განსხვავებულია სერტიფიკაციის სხვადასხვა ობიექტებისათვის. პროდუქციის შემთხვევაში იგი შედგება ნიმუშის აღებისა და იდენტიფიკაციისაგან და მისი გამოცდისაგან. ნიმუში უნდა იყოს ისეთივე, როგორც მომხმარებლისათვის მიწოდებული პროდუქციაა. ნიმუშების აღება ხდება მზა პროდუქციიდან შემთხვევითობის პრინციპით, დადგენილი წესის შესაბამისად. შერჩეულ ნიმუშებს განაცალკევებენ ძირითადი პროდუქციისაგან, არჩევის ადგილზევე ფუთავენ, ლუქავენ ან პლომბავენ და ადგენენ აქტს. ნიმუშის შენახვის, ტრანსპორტირების და გამოსაცდელად მომზადების ყველა სტადიაზე, აგრეთვე გამოცდის პროცესში, დაცული უნდა იყოს პროდუქციაზე ნორმატიულ დოკუმენტაციაში მოყვანილი მოთხოვნები. ნიმუშების მოძრაობის ყველა ეტაპი სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარებისას რეგისტრირდება ყურნალში, სადაც მითითებულია პროდუქციის დასახელება, დამამზადებელი, შენახვის ვადა, ნიმუშების რაოდენობა, გამოცდის შედეგები, სერტიფიკატის ნომერი და სხვ. და დასტურდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

საგამოცდო ლაბორატორიას ან სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია ამონარჩევში დამატებით ჩართოს ყველა სახის პროდუქციის (გარდა მალეფუჭდებადისა) თითონიმიში საკონტროლო ეგზემპლარის სახით შესანახად. მისი შენახვის ვადა უნდა შეესაბამებოდეს სერტიფიკატის მოქმედების ან პროდუქციის ვარგისობის ვადას, რომლის გასვლის შემდეგ ნიმუშები უბრუნდება განმცხადებელს.

გამოცდისათვის ნიმუშების არჩევას აწარმოებს საგამოცდო ლაბორატორია ან მისი დავალებით სხვა კომპეტენტური ორგანიზაცია. თუ გამოცდა ტარდება ორ ან მეტ ლაბორატორიაში, ნიმუშის აღება შეიძლება აწარმოოს სერტიფიკაციის ორგანომ.

სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება საგამოცდო ლაბორატორიებში, რომლებიც აკრედიტებულია იმ გამოცდების ჩატარებაზე, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული პროდუქციის სერტიფიკაციისას გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობაზე აკრედიტებული ლაბორატორია არ არსებობს, ან იმდენად შორსაა, რომ რთულდება ნიმუშის ტრანსპორტირება, იზრდება გამოცდის ხარჯები და ვადები, სასერტიფიკაციო გამოცდა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ კომპეტენტურობაზე აკრედიტებულ ლაბორატორიაში კონკრეტული პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

ლაბორატორიის მიერ ჩატარებული მუშაობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საგამოცდო ლაბორატორიის და სერტიფიკაციის ორგანოს უფლებამოსილი სპეციალისტები. მასში ზუსტად უნდა იყოს ნაჩვენები გამოცდის და დამოწმების შედეგები და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია: ლაბორატორიის დასახელება; მისამართი; ოქმის აღნიშვნა; დამკვეთის გვარი და მისამართი; გამოსაცდელი ნიმუშის და საზომი საშუალებების დახასიათება და აღნიშვნა, ნიმუშის მიღების, გამოცდის ან დამოწმების ჩატარების თარიღი; ნორმატიული დოკუმენტის დასახელება და აღნიშვნა, რომლის მიხედვითაც ტარდება გამოცდები და დამოწმებები; გაზომვებისა და დაკვირვებების შედეგები; ოქმის შემდგენი პასუხისმგებელი

პირის ხელმოწერა და თანამდებობა; ოქმის შედგენის თარიღი.

გამოცდის ოქმს წარუდგენენ განმცხადებელს და სერტიფიკაციის ორგანოს. გამოცდის ოქმის ასლი უნდა ინახებოდეს სერტიფიკაციის მოქმედების ვადაზე არა ნაკლები დროის განმავლობაში.

პროდუქციის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი დადგენილია საქართველოს ეროვნული სტანდარტით სსტ 5.020:2006 -ით და ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს:

- სერტიფიკაციაზე განაცხადის და მასთან დართული მასალების წარდგენა სერტიფიკაციის ორგანოში;
- განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება და განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმება;
- პროდუქციის იდენტიფიკაცია და პროდუქციის ნიმუშის აღება;
- პროდუქციის ნიმუშის გამოცდა;
- მიღებული შედეგების ანალიზი და სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- სერტიფიკატის რეგისტრაცია და გაცემა;
- სერტიფიცირებული პროდუქციის საინსპექციო კონტროლი;
- ინფორმაცია სერტიფიკაციის შედეგებზე.

სტანდარტში მითითებულია, რომ სამამულო და იმპორტული წარმოების პროდუქციის სერტიფიკაცია ტარდება ერთი და იგივე წესით.

ცნობილია, რომ სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ნიმუშზე.

ნიმუში აღება პროდუქციაზე ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ნიმუშს იღებს სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი, განმცხადებლის თანდასწრებით და ფორმდება ნიმუშის აღების აქტი. ამავე დროს წარმოებს პროდუქციის პარტიის იდენტიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ნიშანდების (შტრიხ-კოდი, დამამზადებელი, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, ნორმატიული დოკუმენტი, აგრეთვე წარდგენილი პარტიის მოცულობა, შეფუთვა, ტარა, მასა და სხვ.) შესაბამისობის

შემოწმებას სასაქონლო-სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტებში მითითებულ ინფორმაციასთან.

კვების, სოფლის მეურნეობისა და საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ პროდუქციაზე დამზადების თარიღის და ვარგისიანობის ვადის უქონლობის შემთხვევაში ნიმუშის აღება არ წარმოებს და პროდუქცია სასერტიფიკაციოდ არ მიიღება.

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიაში. გამოცდის დროს გამოიყენება პროდუქციის ნორმატიულ დაკუმენტებში მოყვანილი გამოცდის მეთოდები ან ატესტირებული მეთოდები. გამოცდის შედეგის მიუხედავად გამოცდის ოქმი უნდა გაეგზავნოს სერტიფიკაციის ორგანოს და განმცხადებელს გამოცდილი ნიმუშის შენახვის (ჩამოწერის, განმცხადებელთან დაბრუნების და სხვ.) პროცედურა უნდა დადგინდეს სერტიფიკაციის წესით, კვების პროდუქტის ჩამოწერა დასტურდება ჩამოწერის აქტით. საკონტროლო ნიმუშის შერჩევა, აღება და დალუქვა ხდება სერტიფიკაციის ჩამტარებელი ორგანოს მიერ და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გადაეცემა განმცხადებელს ნიმუშის აღების აქტის ერთ ეგზემპლართან ერთად. მეორე ეგზემპლარი ინახება სერტიფიკაციის ორგანოში.

კონკრეტული სერტიფიკაციის სქემით გათვალისწინებულ შემთხვევაში ტარდება პროდუქციის წარმოების მდგომარეობის ანალიზი და ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია. ანალიზის დროს მოწმდება საწარმოო სისტემის შემდეგი ელემენტები:

- წარმოებაში ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა შემაჯალი კონტროლი;
- კონტრაქტები (ხელშეკრულებები);
- პროდუქციის იდენტიფიკაცია;
- კონტროლი და გამოცდების ჩატარება;
- საკონტროლო, გამზომი და საგამოცდო დანადგარების მართვა;
- მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი მოქმედებები;
- დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებები, შენახვა, შეფუთვა, ნიშანდება, კონსერვაცია, მიწოდება;
- ხარისხის შესახებ მონაცემების რეგისტრაცია.

5.6. მომსახურების შესაბამისობის შეფასება

მომსახურების სერტიფიკაციისას უნდა შემოწმდეს მომსახურების მახასიათებლები (მაჩვენებლები) და გამოყენებულ იქნეს გამოცდის (შემოწმების) მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა: ა) ჩატარდეს მომსახურების იდენტიფიკაცია; ბ) დადასტურდეს სასერტიფიკაციო მომსახურების შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

მომსახურების შესაბამისობის შეფასება დამოკიდებულია მის სახეზე. არამატერიალური ხასიათის მომსახურების შეფასება (მაგალითად, მოძრავი და უძრავი ქონების შეფასება) ხდება საექსპერტო ან სოციოლოგიური მეთოდით. მატერიალური მომსახურების შემოწმება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და რემონტი) ეყრდნობა მომსახურების შედეგების გამოცდას, რაც გათვალისწინებულია მომსახურების სერტიფიკაციის სქემებით.

მომსახურების შედეგის გამოცდა ხდება დადგენილი წესით აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიებში ან განმცხადებლის ბაზაზე მისივე საგამოცდო და ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამოყენებით სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტების მიერ. აღჭურვილობა დამოწმებული და დაკალიბრებული უნდა იყოს. როდესაც ტარდება სარემონტო მომსახურების სერტიფიკაცია (მაგალითად, ავტომობილი ან საკერავი მანქანა), გამოცდის დროს ხდება გარემონტებული ნაკეთობების არჩევითი შემოწმება. თუ მომსახურების სახე ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციის მოთხოვნებს, მაშინ რემონტის ან მომსახურების შემდეგ უნდა შეფასდეს ნაკეთობის უსაფრთხოების მაჩვენებლები. მომსახურების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციისას ძირითადად ხდება ფუნქციური მაჩვენებლების შეფასება. შესამოწმებელი ნაკეთობების რაოდენობას და მათი არჩევის წესს განსაზღვრავს სერტიფიკაციის ორგანო სერტიფიკაციის სისტემის ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

შემოწმების შედეგების მიხედვით ფორმდება ოქმი.

მომსახურების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი დადგენილია საქართველოს ეროვნული სტან-

დარტით სსტ 5.010:2006, რომლის თანახმად მომსახურების სერტიფიცირება ითვალისწინებს:

- მომსახურების შემსრულებლის ოსტატობის შეფასებას (მოწმდება პერსონალის პროფესიონალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობა, მომსახურების შემსრულებლის კვალიფიკაცია, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისა და მომსახურებაზე ტექნიკური დოკუმენტების ცოდნა, წარმოდგენილი მომსახურების სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, მომსახურების შესრულების სიზუსტე);

- მომსახურების გაწევის პროცესის შეფასებას (მოწმდება: აუცილებელი ნორმატიული და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის არსებობა, გამოსაყენებელი ტექნოლოგიური მოწყობილობების, ინსტრუმენტების, გამზომი და საკონტროლო საშუალებების არსებობა, აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, უსაფრთხოების კონტროლის სისტემის და მომსახურების ხარისხის შეფასების პროცესების არსებობა, კვალიფიცირებული პერსონალის არსებობა, მომხმარებლის უზრუნველყოფა მომსახურების პირობებით, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვა);

- ხარისხის სისტემის სერტიფიკაციას;

- მომსახურების შედეგების შერჩევით შემოწმებას.

ზოგადად, მომსახურების სერტიფიცირების ეტაპები მსგავსია პროდუქციის სერტიფიცირების ეტაპებისა (განაცხადის წარდგენა და ა.შ.)

5.7. შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ

შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზის ეტაპი ითვალისწინებს გამოცდებისა და შემოწმებების შედეგების განხილვას სერტიფიკაციის ორგანოში.

პროდუქციის სერტიფიკაციისას განმცხადებელი სერტიფიკაციის ორგანოში წარადგენს განაცხადზე გადაწყვეტილებაში მითითებულ დოკუმენტებს და საგამოცდო ლაბორატორიაში პროდუქციის ნიმუშების გამოცდის ოქმს. სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტები ამოწმებენ ოქმში ასახული გამოცდის შედეგების შესაბამისობას მოქმედ

ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. ამის შემდგომ მიიღებენ გადაწყვეტილებას შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესახებ ან ჩაატარებენ დამატებით გამოცდებს. ანალოგიურია მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოს ქმედებები მომსახურების შედეგის შესაბამისობის შემოწმებისას.

პერსონალის სერტიფიკაციისას საგამოცდო კომისიის ოქმი გადაეცემა სერტიფიკაციის კომისიას, რომელის შედეგება ორგანოს ხელმძღვანელობისა და ექსპერტებისაგან. კომისიის დადებითი გადაწყვეტილება (გამოცდის ოქმის დამტკიცების შემდეგ) წარმოადგენს სერტიფიკატის გაცემის საფუძველს.

გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ ითვალისწინებს განმცხადებლისათვის სერტიფიკატის გადაცემას ან უარის თქმას. სერტიფიკაციის სქემით გათვალისწინებული გამოცდის დადებითი შედეგის და წარმოდგენილი დოკუმენტების ექსპერტიზის საფუძველზე სერტიფიკაციის ორგანო აფორმებს შესაბამისობის სერტიფიკატს, ატარებს მას რეგისტრაციაში სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის რეესტრში და გასცემს ლიცენზიას შესაბამისობის ნიშნის გამოყენებაზე. სასერტიფიკაციო გამოცდების უარყოფითი შედეგების შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო გასცემს დასკვნას, რომელშიც მითითებულია სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის მიზეზი.

სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება სერტიფიკაციის სისტემის წესებით. სერიული წარმოების პროდუქციაზე, მომსახურებაზე და საწარმოს ხარისხის სისტემაზე იგი არ აღემატება სამ წელს, ხოლო პროდუქციის პარტიაზე – პროდუქციის ვარგისობის ან შენახვის ვადას, პერსონალზე – ხუთ წელს.

თუ მომსახურებაზე ტექნიკურ დოკუმენტაციაში ან მომსახურების შესრულების ტექნოლოგიურ პროცესებში მოხდა ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სერტიფიკაციისას დადასტურებულ მომსახურების შესაბამისობაზე, განმცხადებელმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას დამატებითი შემოწმების (გამოცდების) ან არაგეგმიური საინსპექციო კონტროლის ჩატარების შესახებ.

სერტიფიკატის ნიმუში მოყვანილია 5.6 ნახაზზე.



შესაბამისობის შუამსება

ლოგო

შპს „სურმატარი“

დიბოროთაძის (ორბანის) დასახლება

მთის ქ. 222, ტ. 776655

ორბანის რაიონი (თბილისი), თსაშპ, ტელეფონური კოდი

GEO -268-00000000-0-0-0000 01.01.2006 და 01.01.2009 მდე

-საბარტონო აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული აკრედიტაციის
აქტისათვის სადამსტრაციო ნაბიჯი, მომხმარებლის ვადა

სერტიფიკატის ბლანკის ნომერი 000000

შესაბამისობის სერტიფიკატი

ძალაშია 01.01.2007 წ-დან 01.01.2009 წ-მდე

წინამდებარე სერტიფიკატი აღსებურებს, რომ სათანადო დენტიფიკაციის
გადასრულებულია

მინა მრავალფუნოვანი ტყვიაგუმტარი B-3 კლასის. ჯამური სისქე 43 მმ
სერიული წარმოება

სექ 26 12 13

სეს სნ 7008 00 890

დაამუშავებელი შპს „AAA“ საბურთალოს რაიონი, 380094, თბილისი
საქართველო

შესაბამისობის ნორმატიული დოკუმენტების

გოსტ რ 51136-98 პენქტი 7.8

მოთხოვნებს

გამმცხადებელი შპს „AAA“ საბურთალოს რაიონი, 380094, თბილისი
საქართველო

სერტიფიკატის გაცემის საშუალებელი

კომისიის ოქმი 1.00.00.00-00 29.05.2006;

შსს საექსპერტო-კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს
ბალისტიკური-სროლითი გამოცდის ექსპერტის ცნობა 1 00-00-00

დამატებითი ინფორმაცია მინა მრავალფუნოვანი ტყვიაგუმტარი B-3 კლასის შედეგადა
10+10+6+6+5=37 მმ სისქის შინის ფირფიტებისა და 6 მმ სისქის პოლიმერისაგან.

ორბანის ნაღვამკვანელი

ინიციალი, გვარი

ბელმოწერა

მოსამართლი

ინიციალი, გვარი

ბელმოწერა

რეგისტრირებულია სახელმწიფო რეგისტრში

30.12.2006

№ 00.00.00-00

ნახ.5.6. შესაბამისობის სერტიფიკატის ნიმუში

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სერტიფიკატის ასლის გამოყენება. ასლი დასტურდება სერტიფიკაციის ორგანოს უფროსის ხელმოწერით და ბეჭდით ან ნოტარიუსის მიერ. ბლანკის მეორე მხარეს კეთდება წარწერა „ასლი“.

5.8. შესაბამისობის ნიშანი

შესაბამისობის ნიშანი მიუთითებს, შეესაბამება თუ არა გარკვეული სახის პროდუქცია ამა თუ იმ ტექნიკურ რეგლამენტს, სტანდარტს, სერტიფიკაციის ორგანოს მოთხოვნებს და ა.შ.

შესაბამისობის ნიშანი დადგენილი წესით რეგისტრირებული ნიშანია, რომლითაც სერტიფიკაციის წესების შესაბამისად ხდება პროდუქციის ნიშანდება იმის დამადასტურებლად, რომ პროდუქცია შეესაბამება კონკრეტული სტანდარტების ან სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

ნიშნები არსებობს ეროვნული, საერთაშორისო, დარგობრივი და აგრეთვე საქონლის გარკვეული ჯგუფისათვის გამიზნული. მათი გამოყენების რეგულირება ხდება სტანდარტიზაციის ორგანოების სპეციალური კანონების მიხედვით და შესაძლებელია პროდუქციაზე შესაბამისობის სერტიფიკატის მიღების შემდეგ.

შესაბამისობის ეროვნული ნიშანი - ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

როდესაც პროდუქცია შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებში მოცემულ მოთხოვნებს, დამამზადებელი ახდენს მის ნიშანდებას (მარკირებას) 5.7 ნახ.-ზე ნაჩვენები სპეციალური ნიშნით CE - (Communautes Europeennes). ამ ნიშნის გამოყენება განი-



ნახ. 5.7

საზღვრება შემდეგი მოთხოვნებით:

- ეროვნული ნიშნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ამ ნიშანთან ერთად თუ ისინი (ეროვნული ნიშნები) არ აღნიშ-

ნაკვეთ უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას;

- CE ნიშანი არ გულისხმობს შესაბამისობის შეფასების კონკრეტულ პროცედურას, თუმცა მოდულური მიდგომა გვიჩვენებს, რომ ნიშნის მინიჭება ხდება საწარმოო სტადიაზე შეფასებისას;

- შეფასებისას მესამე მხარის მოწვევის შემთხვევაში დასაშვებია მისი ნიშნის ან ბეჭდის დატანა CE ნიშანთან ერთად;

- CE ნიშანი ადასტურებს, რომ ევროკავშირის საკანონმდებლო ნორმები უსაფრთხოების გარანტიას იძლევა.

საქართველოში შესაბამისობის ეროვნული ნიშნის გამოსახულება და ზომები დადგენილია სტანდარტით სსტ 1.11



ნახ.5.8

(ნახ.5.8). იგი დაისმება სერტიფიცირებული პროდუქციის ყოველ ნაკეთობაზე, დამამზადებლის ნიშანდების (სასაქონლო ნიშნის) ახლოს ნაკეთობის მოუხსნად ნაწილზე, აგრეთვე მას აღნიშნავენ საექსპლუატაციო და თანმხლებ დოკუმენტაციაზე (პასპორტი, იარლიყი, ეტიკეტი და სხვ.). ნიშანი უნდა იყოს ხილული, ადვილად გარჩევადი და მოუცილებადი. თუ პროდუქციის თავისებურებებიდან გამომდინარე ნიშნის განთავსება შეუძლებელია პირდაპირ პროდუქციაზე, მაშინ მას განათავსებენ საფუთავზე.

პროდუქციაზე შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში დამამზადებლის მიერ შესაბამისობის ნიშნის გამოყენება არ დაიშვება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით 2006 წელს ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი „დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის შემოღების და გაზომვის საშუალებებზე დატანის წესის თაობაზე“.

ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი განკუთვნილია იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმაცია გაზომვის საშუალებების დამტკიცებულ ტიპთან შესაბამისობის შესახებ.

ნიშნის გამოსახულება გამოიყენება „სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული

სააგენტოს" მიერ ან აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ გაზომვის საშუალებებზე და (ან) მათ თანმხლებ საექსპლუატაციო დოკუმენტებზე აღნიშვნისათვის.

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად დაუშვებელია დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმება, ან დამოწმების აღიარება, თუ მასზე არ არის დატანილი ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი. უკვე ხმარებაში არსებულ დაკანონებულ გაზომვის საშუალებებზე ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი დაიტანება მისი პირველადი ან პერიოდული დამოწმების დროს.


ნიშანი გამოიყენება ფერადი ვარიანტით (ნახ. 5.9). დიამეტრის ნომინალური ზომები შეირჩევა 50; 60; 100 მმ პარამეტრული რიგის შესაბამისად.



ნახ.5.9 გაზომვის საშუალებების ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი

ნიშანი კეთდება სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხით, ან სპეციალურად დამზადებული დაღის საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მკაფიო და ნათელ გამოსახულებას გაზომვის საშუალების ვარგისიანობის მთელი ვადის განმავლობაში.

დამოწმებულ ხელსაწყოებს დამმოწმებელი აღნიშნავს დაღით, რომლის ერთ-ერთი ნიშნულში ნაჩვენებია 5.10 ნახაზზე.




ე } დამამოწმებელი ორგანოს ან ლაბორატორიის აღნიშვნა (სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო);

07 – დამოწმების წელი - 2007;

56 – დამმოწმებლის პირადი ნომერი.

ნახ.5.10 დამმოწმებლის დაღის ანაბეჭდი (მარცხნივ) და მასზე არსებული აღნიშვნების გაშიფრვა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული შესაბამისობის ნიშნები და ზოგიერთი საერთაშორისო ნიშანი მოცემულია 5.11 ნახ.-ზე.



ნახ.5.11

5.11. ნახაზზე მოცემულია შემდეგი ნიშნები:

- ა – (Ростест) – ხარისხის ნიშანი, რუსეთის ფედერაცია;
- ბ – GS-mark - პროდუქცია შეესაბამება ხარისხის და უსაფრთხოების გერმანულ სტანდარტებს;
- გ – CSA - სტანდარტების კანადის გაერთიანება;
- დ – FCC - კომუნიკაციის ფედერალური კომისია (ამერიკის შეერთებული შტატები);
- ე – BSI - ბრიტანეთის სტანდარტების ინსტიტუტი;
- ვ – TUV Product Service - სერტიფიკაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ზ – ENEC "European Norms Electrical Certification" – ელექტროტექნიკური და ელექტრონული მოწყობილობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი;
- თ – Woolmark შალისაგან დამზადებული ნაწარმი;
- ი – EnergyStar სერტიფიკაციის ნიშანი (ამ ნიშნით მარკირებული პროდუქცია მოიხმარს ნაკლებ ენერჯიას);
- კ – ოქროს ნიშანი - რუსული მარკა ენიჭება პროდუქციასა და მომსახურებას, თუ ის შეესაბამება საერთაშორისო დონეს და სიახლისა და ეფექტურობის შემცველ ტექნოლოგიებს.

აქვე გთავაზობთ მცირე ინფორმაციას სერტიფიკაციის ზოგიერთი საერთაშორისო ორგანოსა და რამდენიმე ქვეყნის სერტიფიკაციის ორგანოების მიერ გამოყენებულ შესაბამისობის ნიშნებისა და სერტიფიკატების შესახებ.

TÜV NORD Gruppe ტექნიკური მომსახურების ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელია გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში. ორგანიზაციას ჰყავს 6000 თანამშრომელი, რომელთა დახმარებით ტარდება კონსულტაციები, ტესტირება, ექსპერტიზა, ტექნიკური უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ხარისხის სისტემების, აგრეთვე პროდუქციის შესაბამისობის დადასტურება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით. როგორც საინსპექციო ორგანიზაცია, ჯგუფი წარგზავნის თავის პერსონალს და მასში შემაჯავლი კომპანიების წარმომადგენლებს გერმანიის სხვა რეგიონებში და ევროპის 36 სხვა ქვეყანაში, აზიაში და ამერიკაში. ჯგუფი მხარს უჭერს გერმანული კომპანიების უცხოურ ბიზნესს თავისი საერთაშორისო წარმომადგენლობის და კომპანიების დახმარებით. ჯგუფის პრინციპებია: დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი, პატიოსნება. ჯგუფის აქციონერებია ტექნიკური საინსპექციო ორგანოები: RWTÜV, TÜV Hannover.

TÜV NORD -ის კლიენტებს შორის არიან მსოფლიოში ცნობილი კომპანიები: ThyssenKrupp, SONY, Daimler-Chrysler, BMW, Ford, Daewoo, FIAT Group, Pepsi Cola, Bayer, Formosa Group, Indian Oil Corp., Siemens, SAP, XEROX Corp., ABB Group და სხვ. მარკირება ხდება 5.12 ნახ.-ზე ნაჩვენები ნიშნებით.



ნახ. 5.12. TÜV მარკირების ზოგიერთი ნიშანი

TÜV CERT - სერტიფიკაციის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც გერმანიაშია. მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სერტიფიკაციის სისტემაა და წევრია სერტიფიკაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (Independent International Organization for Certification). TÜV CERT-ის მიერ სერტიფიცირებულია 30 ათასი ფირმის ხარისხის მენეჯმენტის სისტემები 84 ქვეყანაში. აგრეთვე ატარებენ პროდუქციის, მომსახურების და პერსონალის სერტიფიცირებას. TÜV CERT-ის მიერ გაცემული სერტიფიკატის ნიმუში ნაჩვენებია 5.13 ნახ.-ზე. ორგანიზაციაში მოღვაწეობს ტექნიკისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს 20 000-ზე მეტი სპეციალისტი.



ნახ. 5.13. TÜV CERT-ის მიერ გაცემული სერტიფიკატის ნიმუში

AFAQ AFNOR Certificatin -სერტიფიკაციის ცენტრი, რომელიც ერთ-ერთია სტანდარტიზაციის საფრანგეთის ასოციაცია AFNOR-ის სტრუქტურაში შემაჯავლი 3000 კომპანიიდან. იგი უფლებამოსილია ჩაატაროს საშენი მასალების და წნევის ქვეშ მომუშავე აღჭურვილობის შესაბამისობის შეფასება არსებულ დირექტივებთან. აგრეთვე იგი ახორციელებს NF მარკირების კონტროლს.

NF მარკირებას აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი. გამოწვეულია სამედიცინო დანიშნულების პროდუქცია (მასალები, წამლები, აღჭურვილობა), სადაც გამოცდა, მათ შორის კლინიკური, აუცილებელია. ასეთი საქონლის მარკირება ხდება ნიშნით NF-MEDICAL.

შესაძლებელია ამ ნიშნით მარკირებული იყოს საზღვარგარეთული პროდუქცია, თუ იგი შეესაბამება ანალოგიური ფრანგული პროდუქციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ე.წ. „მარკირების ქსელი“ შედგება პროცესში მონაწილე სერტიფიკაციის ორგანოების, აუდიტორების და საგამოცდო ლაბორატორიებისაგან. 5.14 ნახ.-ზე ნაჩვენებია NF მარკირების ზოგიერთი ნიშანი.



ა

ბ

გ

დ

ნახ.5.14. NF მარკირების ზოგიერთი ნიშანი: ა) AFAQ AFNOR Certification-ის სერტიფიკაციის ნიშანი; ბ) სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქციისათვის; გ) ეკოლოგიური პროდუქციისათვის; დ) მომსახურებისათვის

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) "საქპატენტი" – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს;
- ბ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);
- გ) მადრიდის შეთანხმების ოქმი – „1989 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი; (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)
- დ) საერთაშორისო კლასიფიკატორი – 1957 წლის 15 ივნისს ნიცის შეთანხმებით მიღებული და ხელმოწერილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორი (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, ენევაში 1977 წლის 13 მაისს);
- ე) მოწმობა – ამ კანონის შესაბამისად სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;
- ვ) განაცხადი – მოწმობის გასაცემად აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ზ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მოწმობას;
- თ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს განაცხადი მასზე გვიან შეგანილ განაცხადთან შედარებით;
- ი) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;
- კ) საგამოყენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

ლ) პაგენგრწმუნებული - სამრეწველო საკუთრების სფეროში სხვისი სახელით მოქმედი "საქპაგენგში" რეგისტრირებული პირი;

მ) სააპელაციო პალატა - „საქპაგენგთან“ არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველი ორგანო; (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

ნ) გაერთიანება - მეწარმეთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს ან მისი წარმოშობის ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ო) სასაქონლო ნიშნის დაუცველი ნაწილი - სასაქონლო ნიშნის ნაწილი, რომელზედაც არ ვრცელდება მფლობელის განსაკუთრებული უფლებები. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

მუხლი 3. სასაქონლო ნიშანი

1. სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომ - საქონელი).

2. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიგევა ან სიგეები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

3. სასაქონლო ნიშანი დაცულია "საქპაგენგში" მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

4. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6^{bis} მუხლის შესაბამისად. სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდება „საქპაგენგის“ სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, დაინგერესებული პირის მოთხოვნით. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

მუხლი 4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც:

ა) არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) წარმოადგენს ერთ არასტილიზებულ (სგანდარტულ) ასოს ან ციფრს, ან ცალკე აღებულ მხოლოდ ერთ ფერს;

გ) არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ;

დ) აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად;

ე) საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება;

ვ) წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება;

გ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და გრადიციებს, მწიგნობრივ ნორმებს;

თ) შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ;

ი) მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის სახელმწიფო გერბს, დროშას, ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; საერთაშორისო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასინჯო დამდას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენსა და მედალს; საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს, ან წარმოადგენს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიმბოლოების იმიტაციას. ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ან მფლობელის თანხმობა მათი გამოყენების თაობაზე.

2. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება ისეთი მოცულობითი ნიშანი, რომლის ფორმაც:

ა) განპირობებულია მხოლოდ საქონლის თვისებებით;

ბ) აუცილებელია გექნიკური შედეგის მისაღწევად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტები არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოგანამდე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად, ეს ნიშანი განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა განაცხადში მითითებული საქონლის მიმართ.

მუხლი 5. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის
თქმის შედარებითი საფუძვლები (20.12.2005 N
2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი:

ა) იმავე საქონლის მიმართ რეგისტრირებული, უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტიფიკაცია;

ბ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტიფიკაცია, ხოლო საქონელი – იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტიფიკაცია ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტიფიკაცია ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

ე) საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტიფიკაცია, მსგავსია, შეიცავს მას ან ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება იდენტიფიკაცია ან მსგავსი საქონლისათვის, ანდა ასეთი სასაქონლო ნიშნით სარგებლობით მოხდება დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების რეპუტაციის გამოყენება. ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული მისი გამოყენების უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანში;

ვ) საქართველოში დაცული, უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიშნის იდენტიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიშნზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი;

გ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტიფიკაცია ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია, და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

თ) შეიცავს რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს – ამ პიროვნებასთან ან მის მემკვიდრეებთან შეუთანხმებლად, ხოლო თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის

კუთვნილებას წარმოადგენს – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის გარეშე;

ი) შეიცავს საქართველოს ისტორიული ძეგლების დასახელებას ან გამოსახულებას – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის გარეშე.

მუხლი ნ. განსაკუთრებული უფლება

1. რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის:

ა) იდენტურია და საქონელიც იდენტურია;

ბ) იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან გიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება:

ა) სასაქონლო ნიშნის დაგანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე;

ბ) ისეთი საქონლის შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეგანა ან საწყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება ხორციელდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ნიშანდებული საქონლით; (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

გ) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება ან გაწევა;

დ) სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქებზე.

4. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირს ეკრძალება:

ა) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტიური ან მსგავსი ნიშნის დაგანა შესაფუთ საშუალებაზე, ეტიკეტზე და ა.შ.;

ბ) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტიური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის ან შეფუთვის შეთავაზება, მიმოქცევაში შეტანა, გასაღება ან გასაღებისათვის მომზადება, მათი იმპორტი ან ექსპორტი.

მუხლი 7. განსაკუთრებული უფლების ფარგლები

1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს:

ა) საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს;

ბ) სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების აღიარების, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს;

გ) დაცული სასაქონლო ნიშანი, თუ ის აუცილებელია საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, მათ შორის, თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი. ამ შემთხვევაში დაცული სასაქონლო ნიშანი მესამე პირმა უნდა გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანობის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

მუხლი 8. სასაქონლო ნიშნის გამოქვეყნება საცნობარო ლიგერაგურაში

თუ სასაქონლო ნიშნის რეპროდუქცია ლექსიკონში, ენციკლოპედიაში ან სხვა საცნობარო ლიგერაგურაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს გვარეობით ცნებას იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც იგი რეგისტრირებულია ან მოითხოვება მისი რეგისტრაცია, გამომცემელი, აღნიშნული ნიშნის მფლობელის მოთხოვნით, ვალდებულია ამ საცნობარო ლიგერაგურის მომღვეწო გამოცემაში აღნიშნოს, რომ გამოქვეყნებული სიმბოლო რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს.

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება და შენარჩუნება

მუხლი 9. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე

1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე წარედგინება "საქპატენტის" განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ.
2. განაცხადი ივსება დადგენილი წესით, ქართულ ენაზე.
3. უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მოქმედი საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე, "საქპატენტთან" ურთიერთობას წარმართავს მხოლოდ "საქპატენტში" რეგისტრირებული წარმომადგენლის - პატენტრწმუნებულის მეშვეობით.
4. განაცხადი ეხება მხოლოდ ერთ სასაქონლო ნიშანს.
5. განაცხადი შეიცავს:
 - ა) თხოვნას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ;
 - ბ) განმცხადებლის სრულ სახელს (სახელწოდებას) და იურიდიულ მისამართს;
 - გ) სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას;
 - დ) იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. დასაშვებია საქონლის ჩამონათვალის უცხო ენაზე წარდგენა დანართის სახით, რომლის ქართულ ენაზე თარგმანაც "საქპატენტის" წარედგინება განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში;
 - ე) წარმომადგენლის ვინაობას და მისამართს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ;
 - ვ) განმცხადებლის ან წარმომადგენლის ხელმოწერას განაცხადზე.

6. განაცხადის ექსპერტიზისათვის აუცილებელი სხვა მონაცემებისა და საბუთების ნუსხა, მისი წარდგენის ვადები და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 10. განაცხადის "საქპატენტში" შეტანის თარიღი

განაცხადის "საქპატენტში" შეტანის თარიღად ითვლება "საქპატენტში" მისი ჩაბარების დღე, თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 11. პრიორიტეტი

1. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება განაცხადის შეტანის თარიღით, თუ განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექს-

პერგიზისათვის დადგენილი საფასური გადაიხდება განაცხადის შეგანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

2. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე შეიძლება დადგინდეს პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში პირველი განაცხადის შეგანის თარიღით (საკონვენციო პრიორიტეტი), თუ ამ თარიღიდან განაცხადის "საქპატენტში" შეგანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა.

3. პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენილ ექსპონატზე გამოყენებული სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი დგინდება ექსპონატის გამოფენის პირველი დღით (საგამოფენო პრიორიტეტი), თუ გამოფენაზე მისი ჩვენების დღიდან შესაბამისი განაცხადის "საქპატენტში" შეგანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა. საგამოფენო და საკონვენციო პრიორიტეტები ერთმანეთის ვადას არ აგრძელებს.

4. განმცხადებელი, რომელსაც სურს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობა, ვალდებულია "საქპატენტში" განაცხადის შეგანის თარიღიდან ერთი თვის ვადაში აცნობოს ამის შესახებ "საქპატენტს" და განაცხადის შეგანიდან 3 თვის ვადაში წარადგინოს ასეთი მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთები.

5. საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური გადაიხდება განაცხადის "საქპატენტში" შეგანიდან ერთი თვის ვადაში.

6. თუ რამდენიმე სასაქონლო ნიშანს დაუდგინდა ერთი და იგივე პრიორიტეტი, უპირატესობა ენიჭება სასაქონლო ნიშანს, რომლის ფაქტობრივი გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრე დაიწყო. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

მუხლი 12. სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ექსპერტიზა

1. სასაქონლო ნიშნის განაცხადზე "საქპატენტი" აგარებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას და არსობრივ ექსპერტიზას.

2. "საქპატენტს" შეუძლია განმცხადებელს მოსთხოვოს ექსპერტიზისათვის საჭირო დამატებითი მასალა. დამატებითი მასალა "საქპატენტს" წარედგინება განმცხადებლისათვის შესაბამისი შეტყობინების ჩაბარების დღიდან 2 თვის ვადაში. ამ ვადის დარღვევისას "საქპატენტი" გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

3. განაცხადი, რომელიც საქონლის ორ ან მეტ დასახელებას შეიცავს, განმცხადებლის მოთხოვნით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეიძლება გაიყოს ორ ან მეტ განაცხადად პირველ განაცხადში

არსებული საქონლის გადანაწილებით თითოეულ განაცხადზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. გამოყოფილ განაცხადებს უნარჩუნლებათ პირველი განაცხადის შეგანის თარიღი.

4. "საქპაგენტი" სასაქონლო ნიშნის განაცხადებზე ინფორმაციას გასცემს მხოლოდ პრიორიტეტის დადგენის შემდეგ.

5. განმცხადებელს უფლება აქვს: (20.12.2005 N 2380 ძალაში 2006 წლის 1 მარტიდან)

ა) მოითხოვოს ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განაცხადის განხილვის შეჩერება დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. შეჩერების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;

ბ) გაეცნოს ექსპერტიზის დროს გამოყენებულ მასალას და მოითხოვოს მისი ასლი;

გ) განაცხადზე პრიორიტეტის დადგენამდე შეავსოს, შეცვალოს, შეასწოროს ან დაამუშავოს განაცხადის მასალა. პრიორიტეტის დადგენის შემდეგ აღნიშნული ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა. ამასთანავე, სასაქონლო ნიშნის ცვლილები-სას დასაშვებია მხოლოდ ისეთი უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც არ აფართოებს მისი დაცვის ფარგლებს, ხოლო საქონლის ჩამონათვის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ მისი შემზღვევა ან დამუშავება;

დ) გამოითხოვოს განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე;

ე) დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ აღადგინოს საქმის წარმოება განაცხადზე. განაცხადზე საქმის წარმოების აღდგენა დასაშვებია, თუ მისი შეწყვეტა მოხდა განაცხადის მონაცემების გამოქვეყნებამდე, ამ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად.

6. განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის, ექსპერტიზის, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების, პროცედურული ვადების შეჩერების, გაგრძელებისა და აღდგენის, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული ინსტრუქციით "სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ."

მუხლი 13. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეგანიდან 2 თვის ვადაში, ხოლო თუ განმცხადებელი ითხოვს საკონვენციო ან საგამოყენო პრიორიტეტს - ამ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში. თუ განმცხადებელს გაეგზავნა შეტყობინება დამატებითი მასალის მოთხოვნით, ექსპერტი-

ზა ჩერდება შეგყობინებაზე პასუხის მიღებამდე, მაგრამ არა უმეტეს ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადისა.

2. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ადგენს არის თუ არა განაცხადი გაფორმებული ამ კანონის შესაბამისად.

3. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს, განმცხადებლის სახელზე გაიცემა ცნობა განაცხადის შეტანის თარიღის დადგენის შესახებ საკანცელარიო ნომრისა და შეტანილი საბუთების ჩამონათვალის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, განმცხადებელს ეცნობება განაცხადის მასალის მიღებაზე დასაბუთებული უარი.

4. თუ განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური არ გადაიხდება ან გადახდილი თანხა საქონლის ერთი კლასის წარდგენისათვის დადგენილ თანხაზე ნაკლებია, "საქპატენტი" მიიღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში გადაიხდება განაცხადით გათვალისწინებული კლასების წარდგენისათვის დადგენილ თანხაზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ ერთი კლასის წარდგენისათვის საკმარისი თანხა, ექსპერტიზა გარდება განმცხადებლის მიერ შერჩეულ კლასებზე, ხოლო ასეთი შერჩევის არარსებობის შემთხვევაში, პირველი მდენ კლასზე, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.

5. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე "საქპატენტი" გამოიგანს გადაწყვეტილებას განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის ან განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და აცნობებს განმცხადებელს.

მუხლი 14. არსობრივი ექსპერტიზა

1. არსობრივი ექსპერტიზა გარდება განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრებიდან n თვის ვადაში.

2. არსობრივი ექსპერტიზა ამოწმებს, არსებობს თუ არა ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული რეგისტრაციამზე უარის თქმის საფუძველები.

3. არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე განმცხადებელს ეგზავნება გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციამზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ.

მუხლი 15. გამოქვეყნება

1. "საქპატენტი" სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამზე არსობრივი ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში – ბიულეტენი).

2. თუ განმცხადებელი სარგებლობს ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით, "საქპაგენტი" განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში სააპელაციო პალატის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოგანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

21. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე არსობრივი ექსპერტიზის მიერ საქონლის მთლიანი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ გამოგანილ უარყოფით გადაწყვეტილებაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე დადებითი გადაწყვეტილებით შეცვლის შემთხვევაში „საქპაგენტი“ განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

3. ბიულეტენში ქვეყნდება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, ცნობები მფლობელის შესახებ და მისამართი, საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი.

მუხლი 16. ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო პალატაში

1. განმცხადებელს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

2. განმცხადებელს არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

3. ამოღებულია (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

4. განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დინგერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მოტივით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნები. ამასთანავე, დაუშვებელია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო პალატაში იმავე საფუძველით. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

5. სააპელაციო პალატა საჩივარს იხილავს მისი შეგანის დღიდან 3 თვის ვადაში. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

6. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 17. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

1. თუ ამ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში სააპელაციო პალატაში არ იქნება შეგანილი სააპელაციო საჩივარი, ან მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეგანილი საჩივრის საფუძველზე სააპელაციო პალატა გამოიგანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, „საქპატენტი“ ახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

2. რეესტრში შეგანილი იქნება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, ცნობები მისი მფლობელის შესახებ, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღი, საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

3. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს „საქპატენტში“ სათანადო განცხადების წარდგენის შემდეგ გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მოითხოვოს დამოწმებული ამონაწერი.

მუხლი 18. მოწმობა სასაქონლო ნიშანზე

1. სასაქონლო ნიშნის რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ „საქპატენტი“ გასცემს მოწმობას სასაქონლო ნიშანზე.

2. მოწმობით დასტურდება სიმბოლოს რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, მფლობელის განსაკუთრებული უფლება აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა.

მუხლი 19. რეესტრში ცვლილებების შეგანა

1. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო მონაცემების თითოეული ცვლილება შეგანილი იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ამასთანავე, სასაქონლო ნიშნის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ ისეთი უმნიშვნე-

ნელო ცვლილება, რომელიც არ აფართოებს მისი დაცვის ფარგლებს, ხოლო საქონლის ჩამონათელის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ მისი შემლუღვა ან დაზუსტება. ცვლილება ძალაშია მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

2. რეესტრში შეგანილი ცვლილებები ქვეყნდება მომდევნო ბიულეტენში.

3. ცვლილებები შეგანილი იქნება მოწმობაშიც.

მუხლი 20. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით და აითვლება „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუმლუღავად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს „საქპატენტი“ ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ „საქპატენტში“ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. აღნიშნული განცხადების „საქპატენტში“ წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა წარმოებს რეგისტრაციის მოქმედების ბოლო წლის განმავლობაში.

3. ჩანაწერი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შეგანილი იქნება რეესტრსა და მოწმობაში და ქვეყნდება ბიულეტენში.

4. თუ განცხადება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით არ იქნა წარდგენილი „საქპატენტში“ ან საფასური არ იქნა გადახდილი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში გადაიხადოს აღნიშნული საფასური. ამ ვადის გაშვების შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უქმდება რეგისტრაციის მოქმედების გასვლის დღიდან, მისი აღდგენის უფლების გარეშე და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

5. ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელება, რომელშიც საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუსველი ნაწილის სახით არის ჩართული, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით განცხადების „საქპატენტში“ წარდგენისას სასაქონლო

ნიშნის რეგისტრაციის მფლობელს აქვს ამ გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება.

6. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მისი მფლობელის მოთხოვნით გაუქმდა, რეგისტრაციის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 21. ამოღებულია (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

მუხლი 22. საფასური

სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, არსობრივი ექსპერტიზის, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის, ცვლილებების რეგისტრაციის, გამოქვეყნების, მოწმობის გაცემის, რეესტრიდან ამონაწერის გაცემის, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურული ვადების შეჩერების, აღდგენისა და გაგრძელების, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებებისთვის გადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური. საფასურის ოდენობა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასაშვებია საფასურების ოდენობის გადასინჯვა შესაბამისი საერთაშორისო ნორმების, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით.

მუხლი 23. ამოღებულია (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

თავი III

სასაქონლო ნიშნის გამოყენება და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

მუხლი 24. სასაქონლო ნიშნის გამოყენება (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება საქართველოს გერიგორიაზე განხორციელებული ისეთი ქმედებები, როგორცაა მისი აღბეჭდვა იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, ასევე ამ საქონლის შეფუთვაზე, გამოფენასა და ბაზრობაზე წარმოდგენილ ექსპონატებზე, აბრაზე, ოფიციალურ ბლანკზე, ეტიკეტზე, რეკლამაში, ბეჭდვით გამოცემაში, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სხვაგვარი გამოყენება მფლობელის, ლიცენზიაგის ან მესამე პირის მიერ მფლობელისაგან მინიჭებული უფლების საფუძველზე. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ნაცვლად მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ნიშნის გამოყენებაც.

2. ისეთი სასაქონლო ნიშნების გამოყენება, რომლებშიც საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანხმობით, რაც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

მუხლი 25. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები გადაეცემა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასაქონლო ნიშანი გადაეცემა სხვა პირს საწარმოსთან ერთად ან მის გარეშე.

3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ითვალისწინებს საქონლის მთლიან ჩამონათვალს ან მის ნაწილს.

4. საწარმოს გადაცემა გულისხმობს სასაქონლო ნიშნის გადაცემასაც, თუ გადაცემის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ ფორმდება წერილობით. წერილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას.

6. თუ „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მიიჩნევა, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემაში შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას იმ საქონლის თვისებების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის, მწარმოებლის ან სხვა მახასიათებლების შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, „საქპატენტი“ რეესტრში არ შეიგანს ცნობას გადაცემის შესახებ, ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათვიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

6¹. უფლებების გადაცემა სასაქონლო ნიშანზე, რომელშიც საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებების მიმღებ პირს აქვს ამ გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

7. სასაქონლო ნიშნის გადაცემისას სათანადო ცვლილებები შეიგანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

8. სასაქონლო ნიშნის ახალ მფლობელს არ შეუძლია გამოიყენოს რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები მესამე პირის წინააღმდეგ, ვიდრე რეგისტრში არ შეიტანება სათანადო ცვლილებები სასაქონლო ნიშნის გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 26. სალიცენზიო ხელშეკრულება

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისმა მფლობელმა (ლიცენზიარმა) შეიძლება მიანიჭოს სხვა პირს (ლიცენზიაგს) სალიცენზიო ხელშეკრულებით. სალიცენზიო ხელშეკრულება იდება როგორც საქონლის მთლიანი ჩამონათვალის, ისე მისი ნაწილის მიმართ.

2. ლიცენზია არის განსაკუთრებული ან მარტივი.

3. თუ ხელშეკრულებიდან არ ჩანს ლიცენზიის ხასიათი, იგულისხმება მარტივი ლიცენზია. ამ შემთხვევაში ლიცენზიარის უფლებაა თვითონაც გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი და დადოს სხვა სალიცენზიო ხელშეკრულება.

4. განსაკუთრებული ლიცენზია არ აძლევს ლიცენზიარს უფლებას დადოს სხვა სალიცენზიო ხელშეკრულება და გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. განსაკუთრებული ლიცენზიიდან გამომდინარე უფლებები ძალაშია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ლიცენზიაგს ეკრძალება სალიცენზიო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ან ქველიცენზიის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

6. სალიცენზიო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს ამ კანონით გათვალისწინებული თავისი განსაკუთრებული უფლებები ლიცენზიაგის მიმართ, თუ დარღვევა ეხება ხელშეკრულების ვადას, სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფორმას, იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც გაიცა ლიცენზია, გერიგორიას, სადაც სასაქონლო ნიშანი შეიძლება იქნეს გამოყენებული, საქონლის ხარისხს. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

7. სასაქონლო ნიშანზე სალიცენზიო ხელშეკრულების დადების ფაქტის რეგისტრაცია წარმოებს "საქპატენტში" და შესაბამისი ინფორმაცია ქვეყნდება ბიულეტენში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

8. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიაგი აძღრავს სარჩელს მხოლოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით.

9. ლიცენზიაგს უფლება აქვს მისთვის მიყენებული მიანის ანაზღაურების მიზნით ჩაერთოს სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შესახებ გამართულ სასამართლო პროცესში.

10. სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემა ან ლიცენზია არ ვრცელდება მესამე პირის სახელზე ადრე გაცემულ ლიცენზიაზე.

11. სალიცენზიო ხელშეკრულების დადება ისეთი სასაქონლო ნიშნის თაობაზე, რომელშიც საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიაგს აქვს ამ გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

თავი IV

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაკარგვა

მუხლი 27. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს „საქპატენტი“:

ა) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით;

ბ) სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ ღარჩა მემკვიდრე, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

ა) სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც არის ეს ნიშანი რეგისტრირებული საქართველოში. თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეგანამდე შუალედში, არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება;

ბ) სასაქონლო ნიშანი იქცა გვარეობით ცნებად იმ საქონლისთვის, რომლის მიმართაც ის არის რეგისტრირებული;

გ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, თვისების, ხარისხის, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებით არის განპირობებული. ასეთ გარემოებებზე ჩაითვლება, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დაწესებული იმპორტის შეზღუდვები ან ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები.

4. თუ სასაქონლო ნიშნის გაუქმების საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ამ ნაწილის მიმართ.

5. საქონლის მთელი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

მუხლი 28. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის

ბათილად ცნობა (20.12.2005 N 2380
ბალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

ა) სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით;

გ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე;

დ) სასაქონლო ნიშანი შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელზედაც უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეგანამდე, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა;

ე) ამგვარი რეგისტრაციით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები, რომლებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნისათვის დადგენილი პრიორიტეტის თარიღამდე.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ ნაწილის მიმართ.

3. საქონლის მთელი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში

შესაბამისი ცვლილებები შეიგანება რეესტრში და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

მუხლი 29. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შედეგები (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმდა ამ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად ითვლება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ჩანაწერის რეესტრში შეტანის დღიდან, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში სხვა თარიღი არ იქნება მითითებული.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი ამ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად ითვლება სასაქონლო ნიშანზე ამ უფლებების წარმოშობის დღიდან, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში სხვა თარიღი არ იქნება მითითებული.

3. ზიანის ანაზღაურების საკითხები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V

კოლექტიური ნიშანი

მუხლი 30. უფლებები კოლექტიურ ნიშანზე (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და რომელიც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით.

2. კოლექტიური ნიშნის განმცხადებელი და მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ გაერთიანება ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

3. აკრძალულია კოლექტიური ნიშნის გადაცემა ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემა.

4. კოლექტიურ ნიშანზე მთლიანად ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 31.

გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის გამოყენება კოლექტიურ ნიშნად

1. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვებიდან გამონაკლისის სახით კოლექ-

გიურ ნიშნად დასაშვებია ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას (აღგილის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი ან სხვაგვარი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე). (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

2. გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა არ გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმ საქონლისათვის, რომელიც არ წარმოიშვა შესაბამის გეოგრაფიულ ადგილზე, რაიონში, რეგიონში, ქვეყანაში, თუ ასეთი აღნიშვნა მცდარ წარმოდგენას ქმნის საქონლის წარმოშობის შესახებ.

3. თუ გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა მიუთითებს საქონლის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე, ასეთი აღნიშვნა გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმავე წარმოშობის მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომელსაც აქვს შესაბამისი თვისებები და ხარისხი.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები აგრეთვე ვრცელდება იმ სახელზე, აღნიშვნასა და ნიშანზე, რომლებიც გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის მსგავსია.

მუხლი 32. კოლექტიური ნიშნის დებულება

1. განაცხადი კოლექტიურ ნიშანზე უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს. განაცხადს თან უნდა დაერთოს კოლექტიური ნიშნის დებულება.

2. კოლექტიური ნიშნის დებულება უნდა შეიცავდეს:

ა) გაერთიანების სახელწოდებას;

ბ) გაერთიანების წევრთა სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;

გ) გაერთიანების მიზანს;

დ) კოლექტიური ნიშნით სარგებლობისა და მისი გამოყენების კონტროლის პირობებს;

ე) გაერთიანების წევრთა უფლება-მოვალეობებს კოლექტიურ ნიშანზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;

ვ) იმ საქონლის ჩამონათვალსა და ერთიან მახასიათებლებს ან საერთო მაჩვენებლებს, რომლისთვისაც განკუთვნილია კოლექტიური ნიშანი.

3. თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ სახელს, დებულება უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერ პირს, რომლის საქონელი წარმოიშვა აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში და აკმაყოფილებს დებულებით განსაზღვრულ კოლექტიური ნიშნის გამოყენების პირობებს, უფლება აქვს გახდეს გაერთიანების წევრი და პქონდეს ამ ნიშნით სარგებლობის უფლება.

4. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს კოლექტიური ნიშნის დებულებას.

მუხლი 33. კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის ექსპერტიზა (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის დროს ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად დგინდება, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, აგრეთვე 32-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთანავე, ექსპერტიზა არ გამოიგანს უარყოფით გადაწყვეტილებას კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე, თუ განმცხადებელი შეასწორებს კოლექტიური ნიშნის დებულებას ისე, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი აღარ იარსებებს.

მუხლი 34. კოლექტიური ნიშნის დაცვის შემლუღვა

გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები და მესამე პირს აქვს ამ დასახელების გამოყენების მართლზომიერი საფუძველი.

მუხლი 35. გასაჩივრება

პირს, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს კოლექტიური ნიშნით, შეუძლია ამ უფლების დარღვევის თაობაზე სარჩელი შეიტანოს სასამართლოში მხოლოდ კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების ნებართვით, თუ კოლექტიური ნიშნის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 36. კოლექტიური ნიშნის დებულებაში ცვლილებების შეტანა

1. კოლექტიური ნიშნის მფლობელი ვალდებულია შეაგყობინოს "საქპატენტს" კოლექტიური ნიშნის დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. კოლექტიური ნიშნის დებულების ცვლილებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ კანონის 31-ე და 32-ე მუხლების მოთხოვნები.

მუხლი 37. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია უქმდება:

- ა) ამ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად;
- ბ) თუ კოლექტიური ნიშნის მფლობელი ამ ნიშანს იყენებს კოლექტიური ნიშნის დებულების დარღვევით.

მუხლი 38. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლების გამო

ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი, თუ ის რეგისტრირებული იყო ამ კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. თუ ბათილად ცნობის საფუძველია კოლექტიური ნიშნის დებულება, ის ბათილად აღარ იქნება ცნობილი, თუ კოლექტიური ნიშნის მფლობელი 2 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ ცვლილების შეტანის აუცილებლობის შესახებ, შეასწორებს დებულებას ისე, რომ ბათილად ცნობის საფუძველი აღარ იარსებებს.

თავი VI

სასაქონლო ნიშნების დაცვა მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით

(20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

მუხლი 39. განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე *(20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)*

1. ეს კანონი ვრცელდება იმ სასაქონლო ნიშნებზე, რომელთა დაცვა მოითხოვება მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით, თუ ამ ოქმით ან კანონის ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე მადრიდის შეთანხმების ოქმის მე-3 მუხლის თანახმად შეტანილი უნდა იქნეს „საქპატენტში“.

3. განაცხადს უნდა დაერთოს საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული ჩამონათვლის თარგმანი ინგლისურ ენაზე.

მუხლი 40. ჩანაწერი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ

1. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ შეტანილი განაცხადის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეტანილი იქნება განაცხადის მონაცემებში.

2. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეტანილი იქნება რეესტრში.

3. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეტანილი იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 41. მაღრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით საერთაშორისო რეგისტრაციის-საფუძველზე საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა (20.12.2005 N2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. სასაქონლო ნიშანზე, რომლისთვისაც საქართველოში დაცვის მინიჭება მოითხოვება მისი საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მაღრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით (შემდეგში – საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი), გარდება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზა.

2. ამ კანონის I-V თავებში გამოყენებული ტერმინის „რეგისტრაცია“ ნაცვლად საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში გამოყენებულ იქნეს ტერმინი „დაცვა“.

მუხლი 42. გამოქვეყნება და გასაჩივრება

1. სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემები ქვეყნდება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროს ეურნალში.

2. საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის საქართველოში დაცვის მინიჭების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ბიულეტენში გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში დამატებით ქვეყნდება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

3. ამ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადა აითვლება სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის ბიულეტენში გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 43. ამოღებულია (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

მუხლი 44. ეროვნული განაცხადის წარდგენა გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე (20.12.2005 N 2380 ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მაღრიდის შეთანხმების ოქმის მე-9quinquies მუხლის შესაბამისად ეროვნულ განაცხადთან ერთად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ დამოწმებული საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე ვრცელდებოდა საქართველოზე.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ეროვნული განაცხადის „საქპაგენგში“ შეგანის დღისათვის „საქპაგენგის“ მიერ

მიღებულია გადაწყვეტილება შესაბამისი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების თაობაზე, ეროვნულ განაცხადს არსობრივი ექსპერტიზა არ უგარდება.

3. თუ საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმების დღისათვის საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს საქართველოში მინიჭებული ჰქონდა დაცვა, „საქპატენტი“ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ეროვნულ განაცხადზე აგარებს მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რის შემდეგაც ახდენს რეესტრში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში.

თავი VII

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 45. პასუხისმგებლობა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის

1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

ა) თავისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა;


ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

გ) ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, წარმოადგენს მის ასლს ან იმიტაციას;

დ) სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მაგრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განკალკეება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Фелько В.П., Альбеков А.У. Маркировка и сертификация товаров и услуг: Учебное пособие. – Ростов н/Д: изд-во «Феникс», 1998. – 640 с.: ил.
2. სურსათის ეტიკეტირების სრული ტექსტები. კოდექს ალიმენტარის კომისია: თბილისი: გამომცემლობა „მამუკა გელაშვილი“, 2004 – გვ. 53.
3. ბალიაშვილი მ.ა. სტანდარტიზაცია ხარისხის მართვაში: სახელმძღვანელო. — თბილისი: — გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2001.
4. სერტიფიკაცია: დამხმარე სახელმძღვანელო /მ. ბალიაშვილი, თ. მენაბდე: ასოც. პროფ. მ. ბალიაშვილის რედაქციით. — თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი-ინფორმატიზაციის ცენტრი“, 2006. - 91 გვ.
5. ნ. ფოფორაძე, ხ. გაჩეჩილაძე, ხ. გველესიანი, მ. დაუთაშვილი. საიუველირო საქმე: თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005. – გვ.110.



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შეფუთვა.....	3
1.1. შეფუთვა – ლოგისტიკური სისტემის ელემენტი.....	3
1.2. საფუთავის კლასიფიკაცია.....	16
2. მარკირება.....	20
2.1. მარკირების ნაირსახეობები.....	20
2.2. მარკირების მატარებლების სახეები.....	28
2.3. კოდექს ალიმენტარიუსის მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირებისადმი.....	31
2.4. "E" ინდექსი საკვები პროდუქტების საფუთავზე.....	37
2.5. მოთხოვნები სატრანსპორტო მარკირებისადმი.....	45
2.6. მანიპულაციური მარკირების ნიშნები.....	48
2.7. ეკოლოგიური მარკირება და გამაფრთხილებელი ნიშნები..	52
2.8. სასტუმროს სერვისის მარკირება.....	59
2.9. კეთიშობილი ლითონების მარკირება.....	67
3. ინფორმაციის შტრიხული კოდირება.....	73
4. სასაქონლო ნიშანი.....	92
4.1. სასაქონლო ნიშნის წარმოშობა და განვითარება.....	92
4.2. სასაქონლო ნიშნის შემუშავება და გამოყენება.....	101
5. სერტიფიკაცია.....	111
5.1. სერტიფიკაციის არსი.....	111
5.2. ნებაყოფლობითი და სავალდებულო სერტიფიკაცია	114
5.3. სერტიფიკაციის სქემები.....	117
5.4. სერტიფიკაციის წესი.....	124
5.5. პროდუქციის შესაბამისობის შეფასება.....	127
5.6. მოძსახურების შესაბამისობის შეფასება.....	131
5.7. შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ	132
5.8. შესაბამისობის ნიშანი.....	135
დანართი.....	142
გამოყენებული ლიტერატურა.....	166

ბალიაშვილი მედეა

პროდუქციისა და მომსახურების
მარკირება და სერტიფიკაცია

(იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით)

გადაეცა წარმოებას 01.11.2006 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
10.12.2006 წ. ქალაქის ზომა 60x84 1/16. გარნიტურა AcadNusx.
ნაბეჭდი თაბახი 10,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,5.
ტირაჟი 100 ეგზ. შეკვეთა 06/9.

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიზაციის
ცენტრი“

ქ.თბილისი, მ. კოსტავას, 77

ორიგინალ-მაკეტი დამზადებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ინფორმატიზაციის ცენტრში

ქ.თბილისი, მ. კოსტავას, 77

ტირაჟი დაბეჭდილია ინდივიდუალურ საწარმოში „გოჩა
დალაქიშვილი“

ქ.თბილისი, მ. კოსტავას, 77